ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №7 (2025) 28.10.2006 • ფასი 30 თეთრი

რას ნიშნავს ჩუნეთის ავტონომიის უარყოფა საქართველოსადმი?

მე-3 გვ.

ქართულ-სომხური ურთიერთობა

მე-4 გვ.

ღია წერილი მერაბ ბერძენიშვილს

როგორი იყო პრეზიდენტის გამოსვლა გაეროში? როგორია გაეროს ახალი დოკუმენტი აფხაზეთზე? როგორია პრეზიდენტის პერსპექტივა ჯამში?

მე-2-3 გვ.

რუსები „ქართველ პარტიზანებს" ამზადებენ

ქართული მედისწრეა

მე-7-8 გვ.

მართლა შენდება თუ არა ქართული ჯარი?

მე-8 გვ.

მე-9 გვ.



ნიუ-იორკის ტერაქტი – ახალი ეკოქის მიჯნა?

ბრიტანელები მუსლიმანდებიან. რატომ?

მე-11 გვ.

ვის ეოლიჯო (ჯეჯერო-ჯიო) ლიჯანის ოჟი?

(ახალი აღმოსავლეთის მოჯენათა ახალი ხვეული)

მე-12 გვ.

რა მოელით ქურთებს თურქეთსა და მსოფლიოში?

მე-13-14 გვ.



ჩოგის ჰანი და ისლამი

მე-14 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოგოჩი იყო ქრეზიდენტის გამოსვლა გაეროში? ხოგოჩია გაეროს ვარჯიშ დოკუმენტი აფხაზეთზე? ხოგოჩია ქრეზიდენტის ქრისქექტივა ქამში?

ინტერვიუ სახალხო ფრონტის თავმჯდომარესთან ნოდარ ნათაძესთან



ნოდარ ნათაძე

„საქართველო“: ჩვენი კითხვები გითხარით. რას გვიპასუხებთ?

ნ.ნათაძე: გაეროში პრეზიდენტის გამოსვლიდან დავიწყებ. თუ ყოფილხართ ტანვარჯიშის ჩემპიონატებზე? იქ არის სავალდებულო პროგრამა, ანუ არის ვარჯიშები პროგრამით, რომელიც ყველა მონაწილისთვის ერთია. რიგრიგობით გამოდიან, ასრულებენ ვარჯიშს და მსაჯები ქულებს უწერენ. იწყებენ ათი ქულით და შემდეგ აკლებენ, მეათედობით და მეასედობით, ყოველი შეცდომის გამო. შემდეგ მოდის თავისუფალი პროგრამა. ყველა მონაწილეს თავთავისი, განსხვავებული ვარჯიში აქვს. იქ იწყებენ შეფასებას ისევ ათი ქულით, მაგრამ თუ საკუთარი ვარჯიში ნაკლები სირთულისაა, შეიძლება შეფასება დაიწყონ ცხრა ქულიდან, რვანახევრიდან და ა.შ. თუ რაღაცა განსაკუთრებული მოხდა — ვთქვათ, მძიმე ტრავმა ან მონაწილის რამე უხიაგი ქმედება, — მაშინ მონაწილე სულაც მოიხსნება შეჯიბრებიდან. ასევეა სახელმწიფოს პრეზიდენტის გამოსვლა გაეროს ტრიბუნიდან. გამოსვლას აქვს თავისი სავალდებულო ნაწილი. სახელდობრ, პრეზიდენტმა, თუ გაეროს ხშირი სტუმარი არ არის, უნდა ღია ტექსტით დაადასტუროს თავისი ერთგულება გაეროს მუშაობის ძირითადი პრინციპებისადმი. ეს საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა იმ ზომით, რომ მისი გამოსვლის ამ ნაწილმა მთელი ტექსტის ექვსზე ცოტა მეტი გვერდიდან დაიკავა ორი. ვიღაცას შეიძლება მიაჩნია, რომ უნდა ყოფილიყო ერთი, ან ერთნახევარი, ან ორნახევარი. მე ამაზე ვერ ვიმსჯელებ. სავალდებულო პროგრამის ნაწილია ისიც, რომ პრეზიდენტმა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის პრობლემების ისეთი ხედვა, როგორიც მის ინტერესებშია, და წარმოადგინოს ისე, რომ მსმენელებისათვის თუ სასიხარულო არა, ვერშეკამათებადი მაინც იყოს და, ამდენად, უნდათ თუ არ უნდათ, მისაღები. საქართველოს პრეზიდენტმა ეს ვერ გააკეთა. ვერც გააკეთებდა, რადგან მთელი მისი საგარეო პოლიტიკა, — შევარდნაძის მონური ანტიქართული პოლიტიკის პირდაპირი და უშუალო გაგრძელება (დეტალების გამოკლებით) — არ არის ის ფონი, რომელზეც შეგიძლიათ უცებ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა დაიწყოთ. რა უნდა გაეკეთებინა სააკაშვილს მანამდე, თუ გაეროში კაცურად გამოსვლას გაივლებდა აზრად, ამის სათქმელად საკუთარ ფორმულირებათა ნაცვლად მირჩევნია ამ თემაზე ინტენსიურად მომუშავე იურისტის პაატა დავითაიას ფორმულირებები დავიმოწმო. აგერ მაქვს გაზეთის ამონარიდი და პირდაპირ წაგიკითხავთ:

„მინდა მოვუწოდო საქართველოს ხელისუფლებას, გააკეთოს ის, რაც ილჰამ ალიევმა გააკეთა. ალიევმა ყველაფერი გააკეთა, რომ ამ მიმართულებით ყველა პრობლემა მოხსნილიყო ყარაბაღში. პირველ რიგში, მათ თქვეს, რომ ირღვევა ადამიანის უფლებები, ხდება სამართლებრივი უფლებების შელახვა: ადამიანის უფლებები დაირღვა (ყველგან ამაზე იყო საუბარი). იქ არიან დამნაშავეები და გაიცა საერთაშორისო სანქციები. ამის შემდგომ ალიევმა გააკეთა განცხადება, რომ აპირებს ომს და პასუხი ვერავინ გასცა. ორი თვის წინ გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია და სომხეთი აგრესორად გამოიყვანა, რომელმაც აზერბაიჯანის ტერიტორიების ანექსია მოახდინა. ამას უყარა კენჭი თვით რუსეთმაც, რომელიც სომხეთის მხარეზეა. ეს იმიტომ მოხდა, რომ სწორი სამართლებრივი შეფასება იყო. ამ რეჟიმში უნდა ხდებოდეს ყველაფრის კეთება. ამ გზამ გაამართლა, ეს ცალსახად ჩანს.

„აზერბაიჯანს სერიოზული მიღწევები აქვს. აზერბაიჯანმა გაიარა ის გზა, რა გზასაც მე ვთავაზობ ხელისუფლებას. იცით თქვენ ჩემი დამოკიდებულება აზერბაიჯანის მიმართ. მე მათ გარკვეულ კონსულტაციას ვუწევ. ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ გზამ გაამართლა. ეს ჩანს. ჩვენთან არ არის ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომა. თუ ვაცხადებთ, რომ ანექსია მოხდა, მაშინ ვსვამ ელემენტარულ კითხვას — რატომ არ არის სანქციები გაცემული არძინბას, ტურამბას, გუთბას, ხაჯინბას, ბაღაფშის დაკავებაზე? ამიტომ 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“ იკრიბება პარლამენტის წინ და მოვითხოვთ სანქციების გაცემას დამნაშავეებზე, ვინც ჩაიდინა დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. მაშინ ვნახავ, მართლა მიდის ბრძოლა თუ არა. თუ ეს მარტო საგაზეთო ბრძოლაა, ამისთვის ქუჩაში ხალხის გამოყვანა არ უნდა მჭირდებოდეს. საქმის აღძვრა უნდა ხდებოდეს ავტომატურ რეჟიმში, რადგან ყველამ იცის, რაც მოხდა აფხაზეთში“.

მე მგონი, ბ-ნ დავითაიას სიტყვებიდან ნათელია, რომ ამ საკითხში საქართველოს პრეზიდენტი ჩაიჭრა. უფრო სწორად, სხდომაზე უკვე ჩაჭრილი მივიდა. ჩაჭრილი იყო საქართველოს საკუთრივი ინტერესების თვალსაზრისით, თორემ ის, რომ აფხაზეთში და ცხინვალში რუსეთი აგრესორია, რაც პრეზიდენტმა ძალიან კარგად თქვა, საქართველოს ინტერესთა მხოლოდ მცირე ნაწილის გამომხატველია. მთავარი სათქმელი იყო, რითაა იგი აგრესორი — სახელდობრ, იმის გაუღერება სრული კატეგორიულობით მალალი ტრიბუნიდან, რომ რუსეთი ჩვენს მიწას, ჩვენს ეთნიკურ ტერიტორიას გვეცილება, და არა ჩვენს სახელმწიფოს ფარგლებში შემთხვევით მოქცეულს, ჩვენს წინაპართა მიერ ვილაცა სხვისი მიწის დაპყრობის შედეგად, როგორც არაინფორმირებულ მსოფლიოს ჰგონია, ვისაც „აფხაზეთი“, ლოგიკურად, „აფხაზების“ ანუ აფსუების მიწაწყლად მიაჩნია და „ოსეთი“ — ოსების მიწაწყლად. პროგრამის ამ ნაწილში პრეზიდენტი, შეიძლება ითქვას, იარაღიდან ჩამოვარდა.

საქ: მაგრამ ჩვენი პრეზიდენტი ხომ არატიპიურ, არასტანდარტულ ვითარებაში იმყოფებოდა!

ნ.ნ. ნაწილობრივ არა, ნაწილობრივ — კი. მაგრამ სწორედ ამიტომ იყო საჭირო არატიპიური ტაქტიკისა და სტრატეგიის გამოყენება. სწორედ ეს უნდა მომხდარიყო პროგრამის, ასე ვთქვათ, საკუთარ ნაწილში. საქართველოს — ამ უდავოდ მაღალინტელექტუალური და ექსტრემალურად მწვავე პრობლემის მქონე ქვეყნის — პრეზიდენტმა მსოფლიო ფორუმზე უნდა წარმოადგინოს ზოგადსაკაცობრიო, ე.წ. გლობალური პრობლემების ოდნავ მაინც გაუმჯობესებული, გაფართოებული, გაღრმავებული ხედვა, რომელსაც გამჭოლ მიზნად ექნება საკაცობრიო ხედვის წარმართვა საქართველოსთვის სასარგებლო მიმართულებით. დიპლომატია სწორედ ეს არის. მოვიყვან ისტორიულ მაგალითს. XIX საუკუნის „გაეროში“, ვენის კონგრესზე (1815), დამარცხებული საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტალეირანმა, ისარგებლა რა თავისი ინტელექტუალური უპირატესობით მონაწილეების წინაშე (ყველას წინაშე, გარდა მეტერნიხისა), კონგრესს „შეუცურა“ ევროპის დარეგულირების ის ერთადერთი პრინციპი, რომლითაც საფრანგეთს თავისი ტერიტორიების შენარჩუნება შეეძლო — ლეგიტიმურობის პრინციპი: „ყველა დინასტიას ის დარჩეს, რაც საფრანგეთის შვიდგზის წყეული რევოლუციის დაწყებამდე ჰქონდა“ — და საფრანგეთის დინასტიას ბურბონებს მართლაც საფრანგეთის ტერიტორია უდანაკარგოდ დარჩათ. სააკაშვილს შეეძლო გაეროსთვის ეთქვა: თუ წესად დაკანონდა, რომ დემოგრაფიული დინამიკა განსაზღვრავს სახელმწიფოს ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილის პოლიტიკურსა და იურიდიულ სტატუსს, — როგორც ჩვენ გვთხოვენ „ოსეთის“ შექმნას იმიტომ, რომ ცხინვალის ზონაში ოსები ქართველებზე მეტად გამრავლდნენ იმიგრაციის შედეგად, — ეს ნიშნავს მთელ მსოფლიოში ეთნიკური წმენდისა და მისი ძირითადი იარაღის — გენოციდის — სტიმულირებას“. ამ არგუმენტისათვის, რომელსაც პასუხი არა აქვს, მას ვერც ვინმე გაამტყუნებდა, ვერც წინააღმდეგობას გაუწევდა. მსოფლიო დაინახავდა, რომ პატარა საქართველოს ჭკვიანი და, რაც მთავარია, კბილიანი პრეზიდენტი ჰყავს, რომელთანაც კარგი ურთიერთობა ჯობს ცუდს, მით უმეტეს, რომ ევროპას უკვე ესმის, რა სირთულეები მოაქვს მისთვის კოსოვოს სერბიისთვის

პაატა დავითაია

წართმევის პრაქტიკულად უკვე შეთანხმებულ პროექტს. ეს ეფექტი იმ წამს, შესაძლოა, უჩინარია, მაგრამ ღრმად და ხანგრძლივად მოქმედია, თავისი არაფორმალური ხასიათის მიუხედავად. ანალოგია რომ გავავლოთ: სოფლის ქორწილში არავინ მსჯელობს იმაზე, ლამაზია პატარძალი თუ არა, მაგრამ შინ მიმავალი მანდილოსნები უსათუოდ გამოთქვამენ და სამუდამოდ დაიხსომებენ თავის შთაბეჭდილებას, მიტუას ბიჭმა ლამაზი ქალი მოიყვანა თუ ულამაზო.

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაში პროგრამის ეს ნაწილი — თავისუფალი პროგრამა, რომლის გამოც მაყურებელი ტანვარჯიშის ჩემპიონატზე ბილეთს ყიდულობს და რომლითაც ტანვარჯიში, როგორც სპორტის სახე, წინ მიდის, — სულაც არ იყო. რაც შეეხება მის მიერ თავის გამოსვლაში ოთხჯერ უკანონო გამოთქმის „სამხრეთ ოსეთი“ ხმარებას, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა იურიდიულად, ეს პირდაპირი სახელმწიფო ღალატია, რასაც გერმანულად ძალიან საინტერესო სახელი — Hochverrat, „მაღალი ღალატი“ — ეწოდება.

საქ: დღეს ეს თემა უკვე გაეროს უკანასკნელი დოკუმენტის თემამ დაჩრდილა. მისი ნომერია 1716. ხვდებით, არა, რაზე გეკითხებით?

ნ.ნ: დიახ, დაჩრდილა. მაგრამ ეს, ფაქტობრივად, ერთი თემაა. გაეროს დოკუმენტი, რომელიც უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო, შეიქმნა, როგორც მკვეთრად ანტიქართული, თანაც — კონკრეტული პოლიტიკური შედეგების მქონე დოკუმენტი. უცნაურია, მაგრამ გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ იგი გერმანიამ შეადგინა, თუმცა მისი ნამდვილი ავტორი და ზურგი რუსეთია. საბედნიეროდ, ამ დოკუმენტს ნესტარი გამოაცალეს, — როგორც რუსები წერენ, იგი „გამოშიგნეს“ — ამერიკელებმა. დღეს იგი ძალიან ცუდია, სახელდობრ, იმით, რომ აფხაზეთის კონფლიქტს ეწოდება არა „კონფლიქტი აფხაზეთში (საქართველო)“, როგორც ადრე იხსენიებოდა ხოლმე, არამედ „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“, და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების სტანდარტულ ფრაზას აღარ მოსდევს, როგორც ადრე მოსდევდა, ფრაზა იმის შესახებ, რომ მიზანია კარგად განისაზღვროს აფხაზეთის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. ეს ჩვენთვის უარყოფითი სიახლე უკვე რამდენსამე წინა დოკუმენტშიც იყო. მაგრამ ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა უნდა დატოვონ კოდორის ხეობა, როგორც რუსულ პროექტს უნდოდა, იქ აღარ არის. გაუარესება, რომელზეც მოგახსენებთ, იმითაა გამოწვეული, რომ ვერც მტერი (რუსი), ვერც ბრძოლის მსაჯული და მაყურებელი (მსოფლიო) ვერ ხედავს ქართულ პოზიციასა და მის გამტარებლებში ვერც სიბრძნეს (პირდაპირ ვთქვათ: ჭკუას), ვერც კბილს. პრეზიდენტს არც ერთხელ არ უთქვამს „საქართველოში ოსები დიასპორა არიან და, ამდენად, საერთაშორისოდ მიღებული არც ერთი ნორმით ტერიტორიული ავტონომია არ ეკუთვნით. ნუ იგონებთ ჩვენთვის ახალ, კერძო ნორმებს“ ან „აფხაზეთი ქართველი ერის ეთნიკური ტერიტორიაა. ქართველი მოსახლეობა აქ ავტოხთონურია. იხილეთ ესა და ეს მეცნიერული გამოკვლევები“, ან „ერთი აფხაზის ხმას აფხაზეთის მოწყობის პრობლემის გადაჭრაში არ შეიძლება ჰქონდეს მეტი ძალა, ვიდრე ერთი ქართველის ხმას. ეს ბარბაროსული ანტიდემოკრატიაა“ ან „რა საფუძველი აქვს უშიშროების საბჭოს მიერ რუსი მემშვიდობეების მოქმედების მოწონებას, როცა მათი მფარველობითა და მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მხოლოდ გალის რაიონში 2000-ზე მეტი კაცი მოკლეს?“ ან „რა უფლება აქვს რუსეთს თავისი ჯარის ყოლისა „სამშვიდობო მისიით“, როცა იგი, ჯერ ერთი, საქართველოს მეზობელია, მეორეც, თავისი აღიარებული მიკერძოებული ინტერესები აქვს თავის მო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მე-2 გვერდიდან

ქალაქეთა „დაცვის“ სახით? რუსეთის ზეწოლის გაძლიერება, გაეროს დოკუმენტების გაუარესების ჩათვლით, საქართველოს ხელისუფლების ამ უკბილობისა და სიბრძნის დეფიციტის პირდაპირი შედეგია. პრეზიდენტი ისე იქცევა, როგორც მოღალატე სარდალი, რომელიც არ უბრძანებს არტილერიას ცეცხლის გახსნას, როცა ეს ბრძოლის მოგების ერთადერთი და გადამწყვეტი საშუალებაა.

საქ. მაშ გამოდის, რომ ამ ახალ დოკუმენტს თქვენ აფასებთ, როგორც საქართველოს დიპლომატიის დამარცხებას, მაგრამ არშემდგარ კატასტროფას?

ნ.ნ. დიახ, ზუსტად ასე.

საქ: და ამ ვერშედგომასაც ამერიკელებს მიაწერთ, როგორც იმ პროექტის „გამომშიგნავებს“, და არა საქართველოს ხელისუფლებას?

ნ.ნ. ასე გამოდის.

საქ: რას მოელით ამ ფონზე?

ნ.ნ. მირჩევნია ასე გითხრათ: რის მეშინია?

საქ. კი ბატონო.

ნ.ნ. რუსეთს აფხაზეთის დამოუკიდებლობა არ უნდა, რადგან ეს მისთვის პრეცედენტადაც სახიფათოა და კონკრეტულადაც, ჩრდილოეთი კავკასიის მეზობლობაში. მას უნდა აფხაზეთის მიერთება (პროგრამა-მაქსიმუმი), ჯერ-ჯერობით კი — იქ რაც შეიძლება დიდხანს სისხლიანი კონფლიქტის შენარჩუნება (პროგრამა-მინიმუმი, რამდენიმე წლით). მიერთება „ყვირის“, როგორც საერთაშორისო დანაშაული. ამიტომ მისი სცენარი შეიძლება ასეთი იყოს: იწყება ომი (რუსული მანდატის გაუუქმებლად). რუსი ანადგურებს რამდენსამე აფხაზურ სოფელს თავისი მოსახლეობიანად და ამას ქართველებს აბრალებს (დაახლოებით ისე, როგორც ჩეკისტები ხოცავდნენ მოსახლეობას დასავლეთ უკრაინაში გერმანული ფორმებით „სამამულო ომის“ დასაწყისში). შოულობენ რამდენსამე ათეულ „შეკრულ“ ქართველს და „ასამართლებენ“, როგორც ამ დანაშაულის შემსრულებლებს სარდლობის ბრძანებით. ამ საბაბით შემოჰყავთ თავისი ძალები, მაგრამ არა მემშვიდობეების მანდატით, არამედ თავისი მოქალაქეების დამცველებად თავისი ახალი უკანონოდ აგრესიული „უშიშროების დოქტრინის“ შესაბამისად. რჩებიან, დემოგრაფიულ სურათს ცვლიან, მოსახლეობას ატერორებენ, ქართველებს პირველ რიგში, და ბოლოს აცხადებენ, რომ აფხაზეთი რუსეთის ნაწილია. ამის გაკეთება საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალწინ ძალიან ძნელია, მაგრამ აქ მოქმედებაში შემოდის ერთი შესაძლო ფაქტორი: დახმარება საქართველოსვე ხელისუფლების მხრიდან, რომელიც მათი აგენტურაა და საჭირო გადამწყვეტ მომენტში თავის კაპიტულანტურ სიტყვას იტყვის. თუ ეს ბოლო ფაქტორი არ მოქმედებს, მაშინ ეს ავანტურა განწირულია. ლიტერატურული პატიოსნების გამო თავს მოვალედ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ეს ანალიტიკური ვერსია ჩემი არ არის, მე იგი სხვათაგან გამიგონია და, სამწუხაროდ, ფანტასტიკურად არ მეჩვენება.

არ დაგავიწყდეთ: ამ სცენარის განსახორციელებლად რუსები (და არა ვინმე სხვა) სადღაც შედარებით ჩრდილოეთ განედებში ამზადებენ „ქართველ პარტიზანებს“ არა ერთეულობით, არამედ ათასობით, საიდანაც შემდეგ საჭირო ჯგუფი გამოირჩევა.

საქ: ამას, რასაც ამბობთ, აქვს ლოგიკა. მაგრამ ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს სხვა მრავალი ლოგიკაც. მაგალითად, შეუძლებელია საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონდეს საკუთარი მსჯელობა, თქვენისაგან განსხვავებული, რომლითაც იგი ამართლებს თქვენს მიერ დაწუნებულ თავის ნაბიჯებს. ანუ შეუძლებელია, მის მოქმედებას არ ჰქონდეს თავისი იდეოლოგია. მაგალითად, როცა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ქ-ნი მაია ნადირაძე გამოდის და ამბობს, ჩვენ სამშვიდობოების მანდატს

ქალბატონ ელენ ჯონსონ სერდიფი – გამარჯვებული ლიბერიის პრეზიდენტის თავისუფალსა და სამართლიან არჩევნებში

მაშინ მოვხსნით აღმასრულებელი ხელისუფლების პირით, როცა საამისოდ საუკეთესო მომენტი დადგებაო, მას, ალბათ, შეუძლია გასცეს პასუხი კითხვას, რა მომენტს გულისხმობს.

ნ.ნ. ალბათ, თუმცა დარწმუნებით ამას ვერ ვიტყვი. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ერთგვარი მინიშნების სახით მოდის ინფორმაცია თუ რაში მდგომარეობს მისი გამჭოლი გეგმა. სახელდობრ, მიგვანიშნებენ, რომ შესაძლებელია და მოსალოდნელია არა სამშვიდობო მისიის გაუქმება საერთოდ, არამედ მისი ფორმატის, ანუ მისი შემადგენლობის შეცვლა: მემშვიდობეები იქნებიანო არა რუსები, რომლებიც საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ მოქმედებენ, არამედ სხვანი, ვინც ობიექტურად მოიქცევა და მართლა მშვიდობას უზრუნველყოფს, დაბრუნებული ქართველი მოსახლეობის მშვიდობის და უსაფრთხოების დაცვის ჩათვლით. იგულისხმება, — თუ ასე ვიმსჯელებთ, — რომ მანდატს პრაქტიკულად არ ვწყვეტთ იმიტომ, რომ ამ უფლებამოსილებას ვინახავთ სხვებისათვის, ვინც რუსის მაგიერ დადგება ჩვენს მიწაზე ამ ფუნქციით. ამას არ ამბობენ, ამას, იგულისხმება, ჩვენ თვითონ უნდა მივხვდეთ. მაგრამ თუ მართლაც ასეთი გეგმა აქვთ, ამის შემდეგ კიდევ დგება კითხვა: მანდატის შემსრულებელი სხვა იქნება, მაგრამ შემდეგ რა? ეს — „რა“, სამწუხაროდ, უკვე ვიცით: ეს არის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოსაგან მოწყვეტა ახლო მომავალში. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოზიცია ორსავე ამ საკითხზე უკვე გაცხადებულია და ეს პოზიცია არის საქართველოს პირდაპირი ღალატის პოზიცია. აფხაზეთში „დარეგულირებისათვის“ გაეროს საფუძვლად მიღებული აქვს ე.წ. „ბოდენის გეგმა“, რომელიც გაშლილია — ასე ვთქვათ, ექსპლიცირებულია და გათვალსაჩინოებულია — რამდენიმე კრიმინალი (მოღალატე) ქართველის მიერ ხელმოწერილ „გეგმაში“, რომლის ერთი ნაწილი — ალბათ, ყველაზე ნაკლებ თვალსაჩინოდ ანტიქართული, — გამოაქვეყნა „24 საათმა“ ორიოდე წლის წინ. ამ გეგმის თანახმად, ჯერ ერთი, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში კი არ იმყოფება, როგორც იყო მრავალათასწლიანი იატორიის მანძილზე, არამედ შემოდის, სახელდობრ, ხელშეკრულების საფუძველზე, ანუ ისეთ საფუძველზე, რომელიც დარღვევადია („დღეს მინდოდა შენთან ყოფნა, ხვალ აღარ მინდა“). შესაძლებელია დავჯარიმდეთ ხელშეკრულების დენონსაციას ვერავინ დამიშლის. მეორეც, ამ ხელშეკრულების თანახმად, აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოში შემოდის, როგორც „სუვერენული სახელმწიფო წარმონაქმნი“ (ბოდენის სიტყვით გერმანულ პრესაში **souveranes staatgebilde**), ანუ ისეთი სტატუსით, რომლის თვითდასახელება გულისხმობს იმის შეუვალ უფლებას, რომ, როცა მოესურვება, შეუძლია დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსის არჩევა. სიტყვა „სუვერენიტეტი“ ნიშნავს მხოლოდ „გარეთკენ დამოუკიდებელს და შიგნით უზენაესს“. სხვა შინაარსი ამ სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ ტერმინს არც ჰქონია ოდესმე და არცა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინით სახელდებული მოვლენის ბედში მრავალნაირი სიახლე ხდება და მოხდება. (მაგალითად, სახელმწიფოთა სუვერენიტეტების მოქმედების არეალს თანდათან აკლდება ნაწილები გლობალური განვითარების კონკრეტულ სიახლეებთან დაკავშირებით: არ გაპატიებენ, რომ საკუთარი ტერიტორიიდან რადიოაქტივობა ავრცელოთ ან ოზონის ხვრელის ზრდას ხელი შეუწყოთ და ა.შ.). საქართველოსთვის სასიკვდილო ამ გეგმისადმი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მოღალატური მხარდაჭერა ჩანს, ჯერ ერთი, მისი დუმილიდან გაეროში ამ გეგმის დღესდღეობით უალტერნატივო დების გამო, მეორეც, იმაში, რომ მან ამ გეგმის გამმეორებელი ქართული ვერსიის ერთ-ერთი მთავარი ხელმომწერი, არაფერით არა ღირშესანიშნავი და თავისი კომპეტენციის დღემდე არაფრით არ მაჩვენებელი ახალგაზრდა იურისტი კუბლაშვილი საქართველოს ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობაზე — უზენაესს სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დააყენა. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, აქ საქართველოს ხელისუფლებას, სახელდობრ, პირადად პრეზიდენტს ოფიციალურად აქვს გაცხადებული, რომ იგი თანახმაა საქართველოში კვლავ „სამხრეთ ოსეთის“ შექმნისა, ანუ საქართველოს ეროვნული ტერიტორიის ერთ-ერთი ნაწილის მეზობელი ქვეყნის („ალანიის“) ტერიტორიად აღიარებისა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ სახელით, რაც სრული გარანტიაა იმისა, რომ უახლოეს მომავალში დადგება „ორი ოსეთის შეერთების“ ანუ საქართველოსათვის ამ მიწაწყლის წართმევის საკითხი და მოთხოვნა. ასე რომ, „მშვიდობა“, რომლის უცხო ძალებით დამყარებასაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება თავისი ზემოხსენებული მინიშნებით გვპირდება, სიკვდილის მშვიდობაა ჩვენი ქვეყნისათვის და არა ეროვნული გადარჩენისა და სიცოცხლისა.

ამ თემასთან დაკავშირებულ ძალიან სერიოზულ ეჭვებს ბადებს არსებობს. საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს თავისი კანონით გააუქმა რუსეთის მიერ საქართველოში 1922 წლის აპრილში პირდაპირი ძალადობით შექმნილი ერთეული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ და ეს სახელიც „ოსეთი“ ქართული ტერიტორიის ამ ნაწილისთვის მაშინ მოიგონა. მისი გაუქმება იყო პირდაპირი მოვალეობა საქართველოს უზენაესი საბჭოსი, რომელიც იყო პირველი კანონიერად შექმნილი ანუ არჩეული საკანონმდებლო უმაღლესი ორგანო საქართველოში რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში საქართველოს დაპყრობისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ. მაგრამ შემდგომი 1991 წლის 3 მარტს, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე თვითა და 2 დღით ადრე საბჭოთა კავშირის მაშინდელმა პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც „გააუქმა“ როგორც საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს 11 დეკემბრის ხსენებული კანონი, ისე ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ მანამდელი (1990 წლის სექტემბრის) დადგენილება ოლქის „რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ. რალაცა მანქანებით ისე მოხდა, რომ ჩვენ, უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა, ეს ვერ გავიგეთ. ვინ მოაწყო ამის დამალვის ოპერაცია, არ ვიცი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით დადგენილებას გორბაჩოვის ამ „ბრძანებულების“ არცნობის შესახებ თუნდაც დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ნახევარი საათით ადრე. დღეს ჩვენი მოწინააღმდეგეები იმოწმებენ გორბაჩოვის ამ „უკაზს“ იმის სამტკიცებლად, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლის მომენტისთვის (9 აპრილი, 1991 წ.) მის შემადგენლობაში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ იყო. ამ არგუმენტის გაბათილება, ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია, მაგრამ ამისთვის საჭიროა დამატებითი იურიდიული მომენტის დამოწმება. სახელდობრ, 1990 წლის 29 ივნისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიღებული აქვს დამატებები იმავე წლის 9 მარტის აქტისათვის, რომლებშიც ნათქვამია, რომ ბათილად არის ცნობილი 1921 წლის თებერვალში მომხდარი დაპყრობისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ შემდგარი ყველა ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც კვეცენ ან აუქმებენ საქართველოს სუვერენიტეტიდან გამომდინარე მის უფლებებსა და ინტერესებს. ფორმულირება ზუსტად არ მახსოვს. შემიძლია დაგიზუსტოთ ტექსტის მიხედვით. ამგვარ აქტებს შორის, რომლებიც ბათილად არის გამოცხადებული კანონიერი წესით, არის საქართველოს გარეთ მდებარე ნებისმიერი ინსტანციის, მათ შორის სსრკ-ს რაგინდარა თანამდებობის პირისა თუ ორგანოს უფლების დამდგენი ყველა აქტებიც, რომ გააუქმოს საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ხელისუფლების აქტები, რომლებიც ეხება საქართველოს სახელმწიფო მოწყობას და მის დამფიქსირებელ ნორმებს საქართველოს კონსტიტუციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია წერილი ბატონ მერაბ ბერძენიშვილს

ბატონო მერაბ!

შვებულებიდან დაბრუნებული, მეგობრის ოჯახში შემთხვევით წავაწყდი „საქართველოს რესპუბლიკაში“ (23/VIII) გამოქვეყნებულ თქვენს წერილს „ძმანო სომეხნო“. ბუნებრივია, ვნახე ის პუბლიკაციაც, რომელმაც თქვენ კალამი აგაღებინათ. წავიკითხე.

ეს არის ჩვეულებრივი გესლის ნთხევა, სულით ხორცამდე მახინჯი საქართველოში მცხოვრები ჯგუფისა — სომხების. ბატონო მერაბ, მეც თქვენსავით მყავს მეგობრები სომხეთში. ამჯერად ჩემი სიტყვები მათ არ ეხება. მე არ შევეხები მახინჯი სომხების ნაბოდვარს, რადგან კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ გველის თვისება გესლის ნთხევაა. მართალი გითხრათ, მეც გამოცა თქვენი წერილის უსუსურმა ტონმა! თითქოს გეშინიათ, არაფერი აწყენინოთ „ჩვენ ძმებს“ (როგორც უწოდებთ თქვენ მათ). ნუთუ აღარ დადგა დრო, ითქვას სრული სიმართლე? ახლაც ხომ კომუნისტური წყობა არ არის, შავზე ვიძახოთ თეთრიაო და პირიქით! საქართველოს ისეთი მტრები, როგორც ჩვენი ტოლერანტობით (თუ სისულელით) ქვეყანაში სომხების ჩამოსახლებით გაგვიჩნდა, არც არაბები, არც მონღოლები და არც სპარსელები და ოსმალებიო არა გვყოლია. ისინი ვაჟკაცურად, პირდაპირ მოდიოდნენ ჩვენზე და ჩვენც ასევე ვაჟკაცრად ვხვდებოდით. გაიხსენეთ, ბატონო მერაბ, სომხების ქცევა საქართველოში!

თქვენ სომხებს ახსენებთ სიკეთის იმ მცირე ნაწილეს, რაც ჩვენ ამ ერისადმი მიგვიძღვის, და ძალიან მორიდებით აღნიშნავთ სომხების ამბებს, მათ ღალატს. ნუ დაივიწყებთ ასევე იმ მრავალ ღალატს, რაც სომხებმა ჩვენი ქვეყნის ყველაზე საჭირბოროტო პერიოდში მოგვაგეს. კრწანისის ველზე აღა-მაჰმად ხანი ფაქტიურად დამარცხდა და აყრას აპირებდა, როცა თბილისელმა სომეხმა ნარიყალას ციხის კარი გააღო და მძინარე ერთ მუჭა ქართველ მეომრებს მტრის ლაშქარი დააყენა თავს. თავდასხმა იმდენად უეცარი იყო, რომ ქართველებმა მეფე ერეკლე ძლივს განარიდეს. რაც მოჰყვა სპარსეთის ჯარის თბილისში შემოსვლას, ყველამ იცით (რედაქციისაგან: რამდენადაც ჩვენ ვიცით, ღალატი იმაში გამოიხატა, რომ აღა-მაჰმად ხანს შეატყობინეს, რომ ქალაქს დაცვის რესურსი აღარ გააჩნდა).

1828 წლის შემდეგ, როცა რუსეთის არმიამ ახალციხის საფაშო აიღო, გახსოვთ, პირველი ახალციხეში გრიგოლ ორბელიანი შევიდა თავისი პოლკით, რუსეთის იმპერიამ თავისი ერთგული ახალი მოსახლეობა — სომხები, როგორც ხალხში იტყვიან, ვირზე გადაკიდებული გოდრებით შემოიყვანა და დაასახლა ჯავახეთში. გაიხსენეთ მთელი XIX საუკუნე, ილიას ბრძოლა სომეხ დემაგოგებთან და შედეგი „ქვათა ღაღადი“. არ იფიქროთ, რომ სომხები დღესაც არ ცვლიდნენ ქართულ საფლავის ქვებს სომხურით. გაიხსენეთ 11 არმიის შემოსვლა საქართველოში. შავნაბადაზე კოჯორთან, უწვერულვაშო ახალგაზრდებმა შეაჩერეს რუსული ურდოები, მტერმა პირი იბრუნა და ამ დროს სომეხმა მაუზერისტებმა ზურგში (როგორც სჩვევიათ საერთოდ სომხებს) ჩასცეს მახვილი და გზა გაუხსნეს 11 არმიის ურდოებს. (რედაქციისაგან: ეს უკანასკნელი ხდომილება ჩვენთვის უცნობია. რამდენადაც ვიცით, სომეხი მოსახლეობის ერთი ნაწილის უარყოფითი როლი საქართველოს ისტორიაში ამ დროს იმაში მდგომარეობდა, რომ „ჩეკას“ ორგანოები ძალიან დიდხანს უპირატესად რუსებით და სომხებით იყო დაკომპლექტებული).

სულ ბოლო მოვლენები ჯავახეთში: არბევენ ქართულ სკოლებს და დაწესებულებებს და ამის შემდეგ მათ „ძმებს“ ეძახით?

ბატონო მერაბ, თქვენ იცით თუ რაოდენ დიდ პატივს გცემთ სრულიად საქართველო. თქვენი ქანდაკებების ხილვა — ეს დაუსრულებელი ზეიმია: და მაინც მიმაჩნია, რომ დუმილი ჩვენი მეცნიერ-ისტორიკოსებისა — რბილად რომ ვთქვათ, დიდი შეცდომაა.

ალბათ დადგა დრო, ქართველმა ხალხმა თითი დაუჭიროს ჩვენ მიწა-წყალზე მცხოვრებ ყველა ავის მსურველს და კანონიც შევიმუშაოთ ასეთებისათვის ადეკვატური პასუხის მისაცემად.

პროფესორი
ოთარ
ზარდალაშვილი

(*რედაქციისაგან.* პატივცემული ავტორის პესიმიზმი გადაჭარბებულად მიგვაჩნია. საქართველოს საკუთარი ომების მონაწილეებმა იციან ბევრი სომეხი, რომელიც თავგანწირულად იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და თავიც დადო).

ჯუჯუკი

სოსო ციწიკაძე. წარსულში ე.წ. „საერთაშორისო მდგომარეობის“ (ამ თემის სრული სახელწოდება იყო „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“) მიმომხილველია, ამჟამად — პოლიტოლოგი (ამ სახელით ფიგურირებენ დღეს უმაღლეს სასწავლებლებში ყოფილი „ისტმატისა“ და „დიამატის“ ლექტორები) და დიპლომატთა მომამზადებელი ერთადერთი ქართული უმაღლესი სასწავლებლის — დიპლომატიური აკადემიის (მგონი ასე ჰქვია) რექტორი. მისი ინტერვიუ (სათაურით „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ასეთი მძაფრი არასოდეს ყოფილა“) (ინტერვიუერი — ნათია ხურცილავა) შედგება რამდენიმე ხაზისაგან, რომელთა კომბინაცია ერთ მთლიან, ე.წ. სტრატეგიულ ჩანაფიქრს ქმნის. პირველი ხაზია მუქარა: რუსეთს ჯერ კიდევ აქვს ჩვენს წინააღმდეგ მუშაობის „ბერკეტები“ (ეს რესპონდენტის საყვარელი სიტყვაა), რომლის ამუშავებაც თავისუფლად შეუძლია, მაგრამ ჯერჯერობით არ აუმუშავებია. აამუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის სურვილს არ შევასრულებთ. აი, ეს ბერკეტები:

„რუსეთი აამოქმედებს იმ რამდენიმე ბერკეტს, რომელიც კიდევ დარჩა მას...

ქართველების გამოსახლებას რუსეთიდან, ფინანსურ ურთიერთობათა დაბლოკვას, ფულის გადმორიცხვის აკრძალვას. ასევე ჯერ კიდევ არსებობს დსთ-ს ფარგლებში ხელშეკრულებები, რომლებიც ქაღალდზე მაინც არის და სანახევროდ მაინც მუშაობს. ეს ყველაფერი თანმიმდევრობით გაიყინება. ამ შემთხვევაში ალბათ უნდა ველოდოთ გაზზე ფასების მატებას, ელექტროენერგიის გაძვირებას, სავიზო რეჟიმის კიდევ უფრო გამკვეთრებას, აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან ურთიერთობის გამწვავებას. კოკოითს მწვანე შუქი აენთება. ერთი სიტყვით, მთელი თაიგულია მოსალოდნელი რუსეთის პროვოკაციების არსენალიდან“.

ეს რუბრიკა ჩვენ გაზეთში ახალია, ამიტომ მის ამოცანას მკითხველს განმეორებით შევახსენებთ. ჩვენი დღესდღეისობით პირველი მტერი რუსეთი, სხვა შემოტევებთან ერთად, გააფთრებულ იდეოლოგიურ შემოტევასაც აწარმოებს ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაზე. შედეგებსაც აღწევს. საკმარისია დავიმოწმოთ ის გარემოება, რომ ყველა ნორმალურად განვითარებული ადამიანისათვის მისაწვდომი და ცხადი კითხვები, როგორიცაა „რატომ არის დაშვებული ანუ რითაა გამართლებული ის, რომ აფხაზეთში ასიათასიან აფხაზ მოსახლეობას ეძლეოდეს ვეტოს უფლება საბოლოო დარეგულირების ნებისმიერ პროექტზე, ორასორმოცდაათათასიან ქართველ მოსახლეობას კი არა?“, ანუ „რა საფუძველი აქვს ერთი აფხაზის ხმისათვის მეტი წონის მინიჭებას, ვიდრე ერთი ქართველის ხმისათვის, და როგორ ურიგდება ეს დემოკრატიის თვით პრინციპს?“, აგრეთვე „როგორ შეიძლება „მემშვიდობე“ იყოს მეზობელი სახელმწიფო (რასაც გაეროს წესდება კრძალავს), რომელსაც მოცემულ ტერიტორიაზე თავისი აღიარებული ამოცანა აქვს (დამალულის გარდა), სახელდობრ, თავისი მოქალაქეების დაცვა?“, და მრავალი სხვა, ხალხის ცნობიერებაში, უბრალოდ, აღარ არსებობს, მასში ამ კითხვათა დასმის შესაძლებლობაც კი გამქრალია იმის გამო, რომ რეალური იდეოლოგიური და იურიდიული ბრძოლა უკვე სხვა მიჯნებზე, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისა და უფლებების ხანგრძლივი უგულებელყოფით შექმნილ მიჯნებზე მიმდინარეობს. ჩვენი მიზანია ქართველ პოლიტიკოსთა, „პოლიტიკოსთა“ (რომელნიც პირველებზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვანნი არიან), პოლიტოლოგთა და „პოლიტოლოგთა“ საუბრებიდან და პუბლიკაციებიდან ამოვიკითხოთ და მკითხველს თვალწინ გადავუშალოთ რუსული პროპაგანდის სტრატეგია, რასაც ივი ამ პირთა მიერ ხან ნებით, ხან უცაბედად „შემოცურებული“ სიყალბეების გზით ამკვიდრებს ქართული საზოგადოების ცნობიერებაში. თვალში საცემია (და ჩვენ გვეუბნებიან კიდეც), რომ ავტორთა და რესპონდენტთა ტექსტების ანალიზი ამ მიმართულებით მათს ლუსტრაციას წარმოადგენს. ჩვენ ამ შემთხვევაში ეს არ გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს არა „შემომცურებელთა“ ვინაობა და რაობა, არამედ მხოლოდ თვით „შემოსაცურებელი“ იდეების შინაარსი, ანუ ის, თუ რაში ცდილობს რუსეთი ქართველი საზოგადოებრიობის დარწმუნებას დღევანდელ ეტაპზე.

მეორე ხაზია რუსეთის დაცვა რეალურ დათმობათა მოთხოვნისაგან ქართველი საზოგადოებრიობის მხრიდან. ინტერვიუ იმ დროს ეკუთვნის, როცა ლაპარაკია სააკაშვილის შესაძლო ვიზიტზე პუტინთან. ამ ვიზიტზე, რესპონდენტის თქმით, დამოკიდებულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა მომავალი. აი, ამ ვიზიტისას, თურმე, არ უნდა ველოდეთ იმ ერთადერთს, რაც ჩვენ რუსეთისაგან რეალურად გვჭირდება: რომ თავი დაანებოს ჩვენს ტერიტორიებს და მათზე მოქმედი სეპარატისტების დახმარებას. ეს, თურმე, არ მოხდება და ვერ მოხდება — ანუ რუსეთი თავს არ დაგვანებებს — რადგან რუსეთმა „სახე უნდა შეინარჩუნოს“ თავისი ოსი და აფხაზი მარიონეტების თვალში (იგი მათ „ვერ გაყიდის“). რა რჩება? რჩება ის, რომ რუსეთი და საქართველო მორიგდნენ, ანუ ქართველებმა რუსებს აამონ რაღაცა სხვაზე. რა არის ეს სხვა? ესაა საქართველოს რეალურად არგამოსვლა ესენგედან, რეალურად არშესვლა ნატოში და კიევში მოლაპარაკებული პროგრამის რეალურად არგანხორციელება სუამის მიმართულებით. აი, ამ სამი ელემენტის კომბინაციით უკვე ხელთ გვაქვს მზა სახით რუსულ-ქართული ურთიერთობისადმი საქართველოს საზოგადოების დამოკიდებულების რუსეთისთვის სასურველი სქემა: პირველი: იცოდე, ჩემ ხელში ხარ. მეორე: ნუ მთხოვ ცხინვალზე და აფხაზეთზე ხელის აღებას. მესამე: თავი დაანებე დესეთედან გამოსვლას; სუამის განვითარებას და ნატოსთან თამაშს. ეს სავსებით საკმარისია არათვალღია ქართველისთვის (ასეთი კი დღეს, როგორც ცნობილია, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაა), რომ რუსეთისადმი უსიტყვო მორჩილების პოზიციაში დარჩენა ისურვოს. მიჩქმალულ თემებზე, როგორიცაა,. მაგალითად, ის, რომ საქართველო ნებაყოფლობით აბარებს რუსებს თავის სტრატეგიულ (მათ შორის — ეკონომიკურად სტრატეგიულ) ობიექტებს, რომ არ ებრძვის საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სპეცსამსახურების პარპაშს და ა.შ., აქ ლაპარაკიც არ არის, ვინაიდან ამ თემების არსებობას არათვალღია ქართველი, ჯერჯერობით, ვერც ამჩნევს. მაშ რად გავაღვიძოთ მძინარე ძაღლი, თუკი მას თვითონ საღათას ძილი ურჩევნია?

ამ პროპაგანდისტული პოზიციის მხილება (რასაც მიზნად ისახავს წინამდებარე წერილი) მდგომარეობს იმის ჩვენებაში, რომ „პოლიტოლოგი“ ავტორი ტყუილს ამბობს. ჯერ ერთი, ესენგედან საქართველოს გამოსვლას წელი კი არ უნდა, როგორც იგი ამბობს და როგორც ესენგეს წესდებაში წერია, არამედ ხუთი წუთი, ვინაიდან ესენგეში საქართველოს შესვლა მომხდარია კანონდარღვევით და ამ აქტის გაუქმებას ამ სიყალბის ცნობა, ანუ ამავე პარლამენტის ხუთწუთიანი კენჭისყრა ჰყოფნის. მეორე, რუსეთს არა აქვს ისეთი ბერკეტები ჩვენს წინააღმდეგ, რომელთა ამოქმედება შეუძლია, მაგრამ არ ამოქმედებს: რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ჯერჯერობით არ იყენებს მხოლოდ ისეთ ბერკეტებს, რომელთა ამოქმედება არ შეუძლია, როგორც, მაგალითად, არ შეუძლია „დაუსჯელად“ იქიდან ქართველების გამოძევება, რადგან ისინი მისთვის თვითონ საჭირონი არიან ეკონომიკური თვალსაზრისით, არ შეუძლია დენის და გაზის გაძვირება, ვინაიდან იგი გაზის ერთადერთი მომწოდებელი არ არის, დენის საკითხში კი ჩვენ ქვეყანას მისდამი ძალიან საგრძნობი და მისი ენერგეტიკული კომერციისათვის ძალიან მტკივნეული სამართლიანი ნაბიჯების გადადგმა შეუძლია. პოლიტოლოგი მკითხველს უმალავს იმასაც, რომ ჩვენ შეგვიძლია ცხინვალის და აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა რუსეთის ნებასთან პირდაპირი წინააღმდეგობის პირობებშიც, რისი ერთი ნაბიჯიცაა რუსეთის მანდატის გაუქმება, მეორე ნაბიჯია მსოფლიოსათვის ოფიციალური „უწყება, რომ ამ ტერიტორიაზე ომი რუსეთთან გვაქვს, რომელიც პირდაპირი აგრესორია, მესამე, შეგვიძლია, როგორც რუსეთის დაინტერესებულსა და ხიფათში ჩაგდებულ მეზობელს, გაეროს ტრიბუნას არ მოვაცილოთ ჩეჩნეთის თემა. იქაური ქართველების შევიწროებისა და განდევნის შემთხვევაში შეგვიძლია საქართველოდან რუსი მოსახლეობის ერთი ნაწილის დათხოვნა, სახელდობრ, იმისი, რომელიც დღეს რუსეთის სპეცსამსახურებშია და მათი საყრდენია, და აუარებელი სხვა. რაც მთავარია, შეგვიძლია ბრძოლის ველზე დავამარცხოთ რუსეთის არაოფიციალური ძალა, ე.წ. ბოევიკები, როცა მათ იურიდიული სტატუსი არა აქვთ. საქართველო თავისი ინ-

ტერესების დაცვის ამ აუცილებელ ნაბიჯებს არ დგამს მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს რუსეთზე დამოკიდებული, ანუ მარიონეტული ხელისუფლება ჰყავს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ საქართველოს არსენალში ეს „ბერკეტები“ არ არსებობს.

იგივე ავტორი სხვა ინტერვიუში სააკაშვილისა და პუტინის უკვე შემდგარი შეხვედრის შესახებ საუბრობს. აქაც რამდენიმე ხაზია. პირველი. საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა თქვა „ტერიტორიის აღდგენის საკითხში რუსეთი საქართველოს მთავარი პარტნერიაო“. ეს, რესპონდენტის აზრით, არის რეალისტური განცხადება (რადგან ტერიტორიას რუსეთის ნების გარდა ვერაფერი დაგვიბრუნებს. რუსეთის ნება კი, როგორც წეღან ვთქვით, ამ შემთხვევაში გამორიცხულია). დასავლეთი ამ მიმართულებით არაფრის გამკეთებელი არ არის, „ეს ზღაპარია“. ამ შემთხვევაში რესპონდენტის სიცრუე იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველს უმალავს იმას, რომ თვით ფაქტი რუსეთის მიერ თავისი დროშის ვერგაშლისა და საქართველოს ტერიტორიების ღიად ვერდაკავებისა, აქ მისი „მოქალაქეებისგან“ შემდგარი უმრავლესობის შექმნის მიუხედავად, მხოლოდდამხოლოდ მსოფლიოს, კონკრეტულად — დასავლეთის და მისი ქმედითი თვალის არსებობის შედეგია. მეორე ხაზი: ის, რაც სააკაშვილმა თქვა — რომ რეფერენდუმის ჩატარება არც აფხაზეთში და არც ცხინვალის ზონაში არ შეიძლება, რადგან მოსახლეობის ნაწილი, მათ შორის, ქართული ნაწილი იქ არ იმყოფება, — რესპონდენტის მტკიცებით, იმის მაქსიმუმია, რისი გაკეთებაც საქართველოს პრეზიდენტს შეეძლო პუტინის აგრესიულად ანტიქართული გამოსვლის საპასუხოდ პრესკონფერენციაზე. ვინაიდან ეს თემა — საქართველოს ტერიტორიებზე ანტიქართული რეფერენდუმის ჩატარება — უკვე გაუღერებულია და უკვე უარყოფილია საქართველოს პრეზიდენტის მიერ, რესპონდენტი არაფერს კარგავს, რუსული ინტერესებისადმი ერთგულების თვალსაზრისით, თუ თვითონაც ცალსახად აღნიშნავს, ეს პუტინის განცხადება პრესკონფერენციაზე ზრდილობიან ფორმაში შემოტყუებული ანტიქართული წინადადებაო და იურიდიულად არასწორიაო. დასასრულ, მესამე ხაზი, რომელშიც რესპონდენტი კვლავ მკითხველის დეზინფორმირებას ეწევა — ისაა, რომ რესპოდენტი უმალავს მას, რომ რუსეთის მემშვიდობეების წასვლა იურიდიულადაც და ფაქტობრივადაც (ეს უკანასკნელი იმიტომ, რომ მსოფლიო ამ საკითხში ჩვენს მხარეზეა) დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენს ნებაზე. თუ საქართველომ რუსებს სამშვიდობო მანდატი გაუუქმა, არ არსებობს ძალა, რომელიც მათ საქართველოში ამ ფუნქციით დარჩენას შეაძლებინებს. მეოთხე ხაზი ისაა, რომ რესპონდენტი სასხვათაშორისოდ, მაგრამ მკაფიოდ აღნიშნავს, შესრულება არა მარტო ხელმოწერილ შეთანხმებებს უნდა, არამედ ზეპირსაც: ჯამური ეფექტი ამ ოთხი ხაზისა (რა თქმა უნდა, ისევ და ისევ იმ თვალაუხელელი ქართველის თვალში) სავსებით ჩამოყალიბებული და გამართულია: დასავლეთის იმედი დავივიწყოთ, ჩვენი საკუთარი ძალა დავივიწყოთ (მას ნურც შევქმნით), ჩვენი ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ რუსეთის კეთილ ნებაზე კიდია, რუსეთის ნება კი დამოკიდებულია ჩვენს კარგად მოქცევაზე (ანუ რუსეთის მორჩილებაზე). ეს „კარგი ქცევა“ მოიცავს, სხვათა შორის, გაუფორმებელი პირობების შესარულებასაც (ასე რომ, თუ ხვალ სააკაშვილმა კიდევ რაღაც დათმო იმიტომ, რომ დღეს ამაზე პუტინს შეუთანხმდა ზეპირად, არც გაგიკვირდეთ და არც გეწყინოთ!), სააკაშვილი იმის მაქსიმუმს აკეთებს რუსეთთან ურთიერთობაში, რაც საქართველოს შეუძლიაო.

ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც წეღან და ყოველთვის, შემოცურება რუსეთისთვის სასურველი იდეებისა ხდება იმ ზოდაგი, თითქოსდა თავისთავად ცხადი დებულების ფონზე, რომ რუსეთთან ჩვენ მხოლოდ ხვეწნისა და დაყოლიების ენა გაგვივა და არა დაპირისპირებისა. საქართველოს კონტრზომათა მდიდარი არსენალი, რომელიც წეღან ვახსენეთ, მკითხველისგან ამჯერადაც დამალული რჩება.

ვნახოთ ახლა იმავე რესპონდენტის მესამე ინტერვიუ — „კოსოვო, ჩერნოგორია და პრეცედენტი“. იგი ეხება საქართველოს დასაშლელად იუგოსლავიის დაშლის პროცედურის პრეცედენტად გამოყენების შესაძლებლობას, რაც რუსების (და, სამწუხაროდ, არა მარტო რუსების) სანუკვარი ოცნებაა. აქ რესპონდენტის მსჯელობა თავიდან ბოლომ,დე გამართულია, სწორია და მკაცრი. სახელდობრ, იგი ნათლად ასაბუთებს და მკითხველს თვალწინ უსაგებს იმ გარემოებებს, რომელთა გამოც ვერც კოსოვოს შემთხვევა, ვერც ჩერნოგორიისა (ორივე იუგოსლავიიდან გავიდა ან გადის) ვერ გამოდგება პრეცედენტად საქართველოს ხელყოფისათვის. მაგრამ იგი მაინც უმალავს მკითხველს ერთ არსებით გარემოებას: იუგოსლავიის დაშლა მოხდა არა იმიტომ, რომ მილოშევიჩის ხელისუფლებამ ვერ შეძლო ან არ ისურვა შინაგანი სეპარატისტული ძალების (რომლებიც არც თუ ისე პოპულარულები იყვნენ) მოთოკვა ფართო და მშვიდობიანი მოსახლეობის მომცველი სისხლისღვრის გარეშე ან ამ სისხლისღვრის პროვოცირებული ორგანიზებისა თუ სიმულაციის გარეშე, არამედ იმიტომ, რომ იუგოსლავია განიხილებოდა, როგორც რუსეთის პოტენციური პლაცდარმი ევროპაში, და მიზნად იქნა დასახული ამ პლაცდარმის მოშლა. რესპონდენტმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ ოცდაათიოდე წლის წინ გაცხადებული იყო, ცნობილი კი მანამდე დიდი ხნით ადრეც იყო პროგნოზი, რომ თუ მესამე მსოფლიო ომი დაიწყება, იგი დაიწყება ან ბალკანეთში, ან კავკასიაში. ცნობილი იყო, რომ ბალკანეთიდან რუსეთის გაძევების ამოცანა დგას. „თუ“ კი ზემოთ ციტირებულ პროგნოზში იმას ეკუთვნოდა, რუსეთი წინააღმდეგობას გაწევს ამ რეგიონში თუ არა. რუსეთმა წინააღმდეგობა არ გაწია და ბალკანეთში III მსოფლიო ომის დაწყებაც არ შედგა. მეორე რეგიონში, კავკასიაში, რუსეთი წინააღმდეგობას გაწევს თუ არა, ჯერ ცნობილი არ არის (დღემდე იგი წინააღმდეგობას წევს, მაგრამ არა იმ მასშტაბისას, რომელიც მსოფლიო ომის დაწყებას გულისხმობს). მაგრამ არსებითი სხვაობა ის არის, რომ იქ (ბალკანეთში) იუგოსლავიის დაშლის მომხრე იყო უპირატესი და შეტევაზე მყოფი ძალა, სახელდობრ, დასავლური დემოკრატია, აქ კი, ანუ კავკასიაში, საქართველოს დაშლაში დაინტერესებულია სწორედ რუსეთი, დასავლეთი კი, პირიქით, ამ სახელმწიფოს სტაბილურ ფუნქციონირებას ესწრაფვის, სხვა თუ არაფერი, მის სატრანსპორტო საშუალებათა სტაბილური ფუნქციონირების ინტერესებში მაინც (რადგან დასავლეთის მიმოსვლა შუა აზიასთან ამას მოითხოვს). ამგვარად, მოვლენათა ლოგიკა გვეუბნება, რომ მსოფლიოს დღეს მმართველი პირველი ძალა — დასავლეთი — საქართველოს დაშლის მსურველი არაა. საქართველოსთვის არასასურველი მდგომარეობა შეიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთმა ამ რეგიონში თავისი შეუვალი და უპრობლემო დომინაციის შესაძლებლობა დაინახა იმ შემთხვევისთვისაც, თუ საქართველოს ნება მისი მომხრე არ იქნება, ანუ თუ დასავლეთმა ამ ნების უგულებელყოფის საშუალება დაინახა. ის, რისი დამალვაც ქართველი მკითხველისათვის რუსეთს ჰსურს, სწორედ ეს გახლავთ და რესპოდენტიც სწორედ ამას მალავს. როგორც ვხედავთ, ეს, რაც იმალება, მკითხველისთვის და ერისთვის პრაქტიკულად მნიშვნელოვანი გარემოება გახლავთ, რადგან ამ გარემოების ცოდნა განაპირობებს ქართველი მკითხველის თამამ პოზიციას რუსეთთან ურთიერთობაში, არცოდნა კი — მოკაკულს.

ჩვენს წინაშეა **გუბაზ სანიკიძის** ინტერვიუ სათაურით „ნატოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე მიგვიღებენ“. რესპონდენტი, უეჭველია, სულელი არ არის, რაც ამ მოკლე ინტერვიუს რამდენსამე მსჯელობაშიც ჩანს. მაგალითად, იგი ხვდება (რაც სრულებითაც არ არის ძნელი), რომ „ნეიტრალიტეტში“, რასაც რუსეთი საქართველოსგან ითხოვს (და რასაც აქადაგებინებს არაერთ თავის მესტუკვეს საქართველოში, თუმცა ამაზე რესპონდენტი არ მსჯელობს) სხვა არა არის რა თუ არა ნატოში არშესვლა (რის შედეგადაც საქართველო რუსეთისაგან დაუცველი რჩება, თუმცა რესპონდენტი არც ამაზე მსჯელობს). მით უფრო საკვირველია, თუკი პირდაპირ დავალებულ „გამჭოლ მიზნად“ არ ჩავთვლით, მისი განცხადება, რომელიც ჟურნალისტმა სათაურში გამოიტანა: „ნატოში გვიღებენ, ოღონდ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე. როგორც კი გამოვაცხადებთ, რომ აფხაზეთი და ოსეთი დამოუკიდებელი ქვეყნებია, ჩათვალეთ, რომ ექვს თვეში ნატოში ვართ“.

მტკნარი სისულელე გახლავთ. ჯერ ერთი, ნატოელთა მხრიდან განცხადება, რომ აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემის გადაუჭრელადაც საქართველოს ნატოში შესვლა გამორიცხული არ არის, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ნატო მზადაა, სხვა ყველა პირობათა არსებობის შემთხვევაში, საქართველო ნატოში მიიღოს თავისი ტერიტორიული პრობლემებითურთ, რაც საერთოდ ნატოში მიღებული არაა. ეს რეალურად იმის თქმას უდრის, რომ რუსეთი თავისი ხრიკებით საქართველოსთვის ტერიტორიულ სირთულეთა შექმნის მიმართულებით ვერ შეაფერხებს ნატოში საქართველოს შესვლის პროცესს. ნატოში შესვლას საქართველოს უშლის არა ეს, არამედ სხვა ფაქტორები. მათი ერთი კომპლექსი ხილულია და, ამდენად, სანიკიძეც მას უთუოდ ხედავს. ესაა საქართველოს ტექნიკური და ეკონომიკური მოუმზადებლობა ნატოს ძალიან მაღალი სტანდარტების ფონზე. პრინციპში ეს დაძლევადია (თვალის მოხუჭვა შეიძლება), მაგრამ დაბრკოლებად მაინც რჩება. მეორეა ის, რომ ევროპას ნატოში ახალ-ახალი ქვეყნების მიღების თაობაზე ამერიკელებისაგან ფრიად და ფრიად განსხვავებული აზრი აქვს ხოლმე. ეკონომიკურად სუსტი ქვეყანაც და ძალიან რთული სტრატეგიული პოზიციის მქონე ქვეყანაც ნატოს წევრებისათვის ტვირთია, რადგან ამით მკვეთრად დიდდება ამ ქვეყნისათვის ომში ჩაბმის რისკი. ნატოში არიან ქვეყნებიც, რომელნიც დიდი მსოფლიო პოლიტიკით სუნთქავენ და ნატოს, როგორც სამხედრო კავშირს, გლობალური სტრატეგიის კონტექსტში იხილავენ (მაგ. აშშ). ამათთვის, რასაკვირველია, მთავარია ის, თუ ახალი წევრის მიღებით ნატო რომელი დიდი სტრატეგიული პოზიციებისაკენ გადის. არიან ქვეყნები, რომლებისთვისაც ნატო პირველ ყოვლისა თავის შესაფარებელი ადგილია (პატარა ქვეყნების დიდი ნაწილი ან ყველა). საქართველოს ნატოში მიღებას ხელს უშლის ეს მეორე ფაქტორი, როგორც მიზეზი, და პირველი ფაქტორი, როგორც საბაბი. ანუ: ჩვენი შესვლა არ უნდათ იმიტომ, რომ ეშინიათ, და მიზეზად ასახელებენ იმას, რომ მოუმზადებელნი ვართ. ეს არის და ეს. ამის ცოდნა ქართველი საზოგადოებისათვის არსებითია. კიდევ უფრო არსებითია საზოგადოებისათვის იმის ხედვა, თუ რომელია და როგორია იმ ინტერესთა იერარქია, რომლებიც დასავლეთს კავკასიისაკენ და კერძოდ საქართველოსაკენ იზიდავს. ეს ინტერესთა გზა შუა აზიისაკენ, რომელსაც დასავლეთისათვის ალტერნატივა არა

აქვს, ისევე როგორც მესამე მსოფლიო ომის ორიდან ერთ-ერთ ძირითად ფრონტს — აშშ-სა და ჩინეთის ფრონტს შუა აზიაში — (ევროპა-შუა აზია-კავკასია-ჩინეთი. მეორე ფრონტია წყნარი ოკეანე), სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ალტერნატივა არა აქვს, ანუ ამ ფრონტს ვერავინ სხვაგან ვერ გადაიტანს და ვერ გადმოიტანს. ახლა იფიქროს გონიერმა კაცმა: თუ დასავლეთს საქართველო უნდა იმისთვის, რომ შუა აზიაში შეაწროს ჩინელებს, უნდა მას ისეთი საქართველო, რომელშიც ორ ადგილას კავკასიონის სამხრეთისკენ გადმოჭრილია რუსი და დასავლეთის სასიცოცხლო მაგისტრალს — შავი ზღვა-კასპიის ზღვა — ცხინვალში და გალში დაყენებული სარაკეტო დანადგარებით და ყველაზე მასობრივად არსებული ქვემეხებითაც კი (რომლის მიტანის რადიუსი 30 კმ-ს ,უდრის) ამ სასიცოცხლო მაგისტრალს ემუქრება?

ამგვარად, სანიკიძე ატყუებს გაზეთის მკითხველს, მას, ობიექტურად, დეზინფორმაციას აწვდის. რისთვის? გამჭოლი მიზნით: მკითხველმა უნდა „იცოდეს“, რომ ნატო ჩვენი ან მტერია, ან ფეხებზე დამკიდებელია (და დღეს ნატოს წევრობისკენ ყიდვა ჩვენ მხოლოდ [illegible] იტორიების ფასად შეგვიძლია), რათა ამან რუსული ორიენტაციისკენ უბიძგოს.

მამუკა არეშიძის ინტერვიუს სათაურია „დსთ-დან გამოსვლით ყაზახეთს გადავიმტერებთ“, რაც, ჯერ ერთი, ტყუილია, მეორეც, სრულიად შეუსაბამო ღირებულებების ერთ სიბრტყეზე დაყენებაა, სახელდობრ, იმისა, რასაც ესენგეში ყოფნით თითქოსდა ვიგებთ, და იმისა, რასაც ვაგებთ. იმაზე, რასაც ვაგებთ ესენგეში ყოფნით, რესპონდენტი, უბრალოდ, დუმს: იგი არ ამბობს, თუმცა შეუძლებელია არ იცოდეს, რომ ესენგეს სახელით აფხაზეთში მდგომმა რუსმა „მემშვიდობეებმა“ აფსუეს საშუალება და ნება მისცეს მხოლოდ გალის რაიონში 2000 ქართველი დაეხოცათ; შესაძლოა, იცის და, შესაძლოა, არ იცის,. რომ მანამდე, სანამ ესენგეში ვართ, ასე თუ ისე მაინც რუსეთის სტრატეგიულ ორბიტაში მოვიაზრებით და ჩვენი ქვეყნის მიმართ ტარდება ეკონომიკური ნგრევის ის პოლიტიკა, რომელც სოციალისტური ბანაკისთვისაა მოაზრებული და რომელიც ამიტომ არ ტარდება ბალტიის ქვეყნების მიმართ. მართალია, რესპონდენტი ამბობს, რომ საქართველოს ესენგედან გამოსვლისა და რუსეთის მხრიდან ამის გამო საქართველოზე აგრესიის ხარისხის გაზრდის შედეგად შესაძლოა საქმეში აქტიურად ჩაებან სხვებიც, მაგრამ ჩვენს მხარეზე (ეს ის მართალია, რომელიც შესაძლებელს ხდის ამავე ტექსტში მკითხველს სასურველი ტყუილები მიაწოდოთ), სამაგიეროდ ინტერვიუს წითელ ხაზად გასდევს ჩვენთვის უკვე ცნობილი მითი, თითქოს რუსეთს შეუძლია, თუკი მოისურვა, მეტი დაგვიშავოს, ვიდრე ახლა გვიშავებს. „დესეთედან გამოსვლა რუსეთის კიდევ ერთი გაშმოწვევა იქნება“. დესეთედან გასვლის შემთხვევაში „გარკვეული წლების განმავლობაში ეკონომიკურ და პოლიტიკურ იზოლაციაში აღმოვჩნდებით“ (რატომ? მსოფლიოში დესეთეს გზით გავდივართ ახლაც?), „არ ვიცი, როგორ მოიქცევა ჩვენი დღევანდელი კარგი პარტნიორი ყაზახეთი ხვალ, ჩვენი დესეთედან გასვლის შემთხვევაში“ და ა.შ. (ამ ბოლო ფრაზიდან გამომდინარეობს, რომ რესპონდენტმა არ იცის, ყაზახეთი რომ უფრო დაინტერესებულია, პერსპექტივაში, ბათუმისა და ფოთის პორტის გამოყენებაში თავისი ნებისმიერი დასავლეთისაკენ ორიენტირებული სავაჭრო აქტივობისათვის, ვიდრე საქართველო დღეს დაინტერესებულია ყაზახური ინვესტიციების მოზიდვაში, რომელთა უკანაც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, რუსული კაპიტალი დგას). რესპონდენტს მიაჩნია, რომ ესენგედან გამოსვლის შემთხვევაში რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის საკითხებში „მეტ წინააღმდეგობას შევხვდებით“, თუმცა არ აკონკრეტებს და, რასაკვირველია, მოაზრებულიც ვერ ექნება, თუ რა შეიძლება იყოს ის „მეტი“, რაშიც რუსეთი დღეს გვზოგავს, ხოლო ესენგედან ჩვენი გამოსვლის შემთხვევაში აღარ დაგვზოგავს. ამ ძირითადსა და რუსეთის ქართველი მესტუკვეებისათვის საერთო მოტივს ამ ინტერვიუში სპეციფიკურად ახლავს ესენგეს უწყინარობის მტკიცება, ესენგე მკვდარი, არშემდგარი ორგანიზაციაო (როგორც უკვე ვთქვით, ამ „არშემდგარობამ“ ხელი არ შეუშალა იმას, რომ ესენგეს მანდატით მდგარმა „მემშვიდობეებმა“ გალში 2000 ქართველის

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მეხუთე გვერდიდან

სიცოცხლე შეინირეს).

დასასრულ, ჩვნი კოლექციის ყველაზე საინტერესო ექსპონატი არის იმის პოლიტიკური აზროვნების მიმართულება და სტილი, ვინც თვითონ, ანუ პირადად, თავისუფალია რუსეთის იმპერატიული გავლენისაგან, მაგრამ მაინც იმგვარი მითიური წარმოდგენების სფეროში ტრიალებს, რომლებიც საქართველოში, ზოგადად, ზემოთ ციტირებული „შემოგდებითი“ მექანიზმების საშუალებით ვრცელდება. კომპეტენტური ეკონომისტი და საქართველოს სახელმწიფოს რეალურ პროცესებში პრაქტიკულად ჩართული **ნიკო ორველაშვილი** თვლის, რომ დასავლური დირექტივა — „მოძებნონ რუსეთთან საერთო ენა“ — მუდმივმოქმედი მოვლენაა, რომელიც საქართველოს საგარეო პოლიტიკას ხსენებულ პარამეტრში ერთხელ და სამუდამოდ პრინციპად დაუწესეს. ბუნებრივია, არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის, ვის ვისთან რამდენჯერ დაურეკავს ან ყურში ჩაუჩურჩულებია, რუსებთან საერთო ენა გამონახეო. (როგორც კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე და კონკრეტული დროისათვის განკუთვნილი ერთჯერადი თხოვნა თუ ინსტრუქცია, ეს მართლაც დასაშვებია). მაგრამ საკმარისია კაცმა ყურადღებით დაეხედოს მსოფლიო რუკას და ამასთანავე გაითვალისწინოს პოლიტიკური, გეოპოლიტიკური და სტრატეგიული განვითარების ძირითადი ხაზები, რომ დაინახოს: ისეთი საქართველო, რომლისთვისაც პრიორიტეტი ყოველთვის და ყველაფერში იქნება რუსეთთან „საერთო ენის გამონახვა“, დასავლეთს არ უნდა და ვერ ენდომება, რადგან ეს მისთვის ყელის გამოჭრაა. რა უნდა რუსეთს საქართველოსგან, როდესაც საქართველოს შეუძლია, გადაწყვეტილებები საკუთარი ნებით მიიღოს? ორი რამ. პირველი. მას უნდა, საქართველო ისევე დარჩეს მის გეოსტრატეგიულ ორბიტაში, როგორც ადრე იყო, და, ამგვარად, იყოს დასავლეთის პლაცდარმი ნავთობიან ახლო აღმოსავლეთზე დარტყმისთვის, რათა მუდმივი შაჰის ქვეშ ჰყავდეს ამ რეგიონით საერთაშორისოდ დაინტერესებული დასავლეთის ზეგანვითარებული ქვეყნები. როცა ძალთა შეფარდება იმგვარია, რომ რუსეთს ასეთი გეოსტრატეგიული გეგმის

ქონის თავი აქვს, მაშინ მასთან „საერთო ენა“ მხოლოდ ამ გეგმაზე თანხმობას ნიშნავს და არაფრით — ამაზე ნაკლებს. მეორე (ვარიანტი ძალაშია იმ შემთხვევაში, როცა რუსეთი დასავლეთის წინაშე თავდაცვით პოზიციაში იმყოფება, როგორც ახლა, და არა შეტევითში, სახელდობრ, როცა დასავლეთი თავის გეოსტრატეგიას ანვითარებს აღმოსავლეთისკენ თავისი პოზიციების წინწაწევის გეგმით, რათა მომზადებული და პოზიციებდაკავებული შეჰხვდეს დაპირისპირებას (უკვე დაწყებულს) ერთადერთ მზარდსა და უახლოეს დროში ასპარეზზე გამომსვლელ ახალ სუპერძალასთან — ჩინეთთან. რა უნდა რუსეთს საქართველოსგან ამ შემთხვევაში? აქაც პასუხი ერთმნიშვნელოვანია: რუსეთს უნდა, საქართველომ არ გაატაროს (უარეს შემთხვევაში — ვერ გაატაროს) აღმოსავლეთისკენ დასავლეთის ტვირთები და ადამიანები, რათა ჩაკეტილ შუა აზიაში, რომელიც არა მხოლოდ აზიის ცენტრია, არამედ მსოფლიოსიც, რუსეთის ბუნებრივმა მოკავშირე ჩინეთმა შეასწროს ამერიკას და მის მოკავშირე დასავლეთს. ახლა ვიკითხოთ: ისურვებს თუ არა ან ამერიკა, ან დასავლეთის რომელიმე ზეგანვითარებული ქვეყანა, რომ საქართველომ ან პირველ, ან მეორე სიტუაციაში რუსეთთან „ენის გამონახვის“ მიზნით იხელმძღვანელოს? ამ კითხვაზე პასუხი „ჰო“ შეუძლებელია, თვით ამ კითხვის დაუსმელობა კი ნიშნავს საკუთარი თავისთვის გზის გადაკეტვას თანამედროვეობის გაგებისაკენ. ამ შეცდომიდან გამომდინარეობს მეორე, სახელდობრ, რიტორიკული კითხვის დასმა: „ხომ არ ჰგონია საკაშვილს, რომ იგი ამერიკას ისე უყვარს, რომ მისი გულისთვის რუსეთს გადაიკიდებს?“, რომლის თავისთავად ცხად პასუხად იგულისხმება „არა“. სინამდვილეში ამერიკა და რუსეთი უკვე გადაკიდებულნი არიან და დარჩებიან გადაკიდებულებად მანამდე, სანამ არსებითად არ შეიცვლება გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული რუკა დედამიწისა ან კაცობრიობას ომი არ მოუხდება რომელიმე უცხოპლანეტელ სხვა კაცობრიობასთან. დღეს (ე.წ. გარდამავალ სიტუაციაში) რუსეთის სურვილი საქართველოს მიმართ ზემოხსენებული მეორე ვარიანტის შერყვნილი და ამით კიდევ უფრო გასაშიშებული ნაირსახეობაა: დღეს რუსეთს საქართველოსგან უნდა, რომ იგი იყოს გაუვალი სისხლიანი, რადიოაქტიური, ქიმიურად მოწამლული, ინფიცირებული, დანგრეული და ყოველმხრივ გაუვალი ქაოსი, რომელშიც ამერიკელები ვერ გაივლიან, რათა შუა აზიაში ჩინელებს შეეჭიდონ. ვინც საქართველოს რუსეთთან ნებისმიერ ფასად „საერთო ენის“ პოვნას ურჩევს, ის მისთვის რუსების ამ სურვილთან დათანხმების მრჩეველიც იქნება. თქმულიდან გამომდინარეობს, სხვათა შორის, ინტერვიუს სახელად გამოტანილი სიტყვების არსებითი უსწორობაც მათი არითმეტიკული შთამბეჭდაობის ფონზე — „საქართველოს რუსეთი უფრო სჭირდება, ვიდრე რუსეთს საქართველო“, — რომელთა დასაბუთებისთვისაც რესპონდენტს მოჰყავს რიცხვი: საქართველოს რუსეთი სულ ცოტა 50-ჯერ უფრო სჭირდება, ვიდრე რუსეთს საქართველო. სწორი არ არის! რუსეთს საქართველო სჭირდება მესამე მსოფლიო ომში წარმატებისათვის, რომლის ერთი მთავარი ფრონტი ცენტრალური აზიაა (მეორეა. წყნარი ოკეანე), ხოლო სტრატეგიული ინტერესი ყველა ქვეყნისათვის, მით უმეტეს — ტრადიციულად მილიტარული და დამპყრობელი რუსეთისათვის უფრო არსებითია, ვიდრე ეკონომიკური, რომელიც ამ შემთხვევაში შეფარდებით „50:1“ გამოიხატება.

რედაქციისაგან. *ვფიქრობთ, ეს ძალიან მოკლე ამონარიდები პოლიტიკური დისკუსიებისა და ანალიზის საკმაოდ ვრცელი მასალებიდან (ეკრანის მასალები აქ, სამწუხაროდ, ვერ შემოდის ტექნიკური სირთულის გამო) ნათლად იკვეთება რუსული საპროპაგანდო სტრატეგიის რამდენიმე ხაზი. პირველი და მთავარი ამათში, რა თქმა უნდა, არის მუქარა: მითის გავრცელება, თითქოს რუსეთს საქართველოსთვის მეტის დაშავება შეუძლია, ვიდრე ახლა უშავებს, ისე, რომ თვითონ მას ამით ზარალი არ მიადგეს. მეორეა ნახევრად მითი, ნახევრად რეალობა — უფრო ზუსტად, ძალიან გაზვიადებული რეალობა იმისა, რომ დასავლეთი, რომელიც დღესდღეობით მსოფლიო პროცესებს მართავს (რაც გაგრძელდება მანამდე, სანამ სფეროში რეალური და მობილიზებული მეტოქე არ გამოვა მსოფლიო არენაზე ჩინეთის სახით) საქართველოს გულისთვის რუსეთთან ურთიერთობას არ გაიფუჭებს. მესამე, რომელიც ამ მეორის იგივეობრივი ჩანს, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვაა, არის იმის დამლვა, რომ დასავლეთი საქართველოს ვითარებით დაინტერესებულია და უფრო და უფრო დაინტერესებული იქნება განჭვრეტად მომავალში არა საქართველოს გამო, არამედ საკუთარი ინტერესების გამო, სახელდობრ, იმიტომ, რომ საქართველოს მინაწყალზე დღეს მისი სასიცოცხლო ინტერესი გადის და ეს ინტერესი საქართველოსას ემთხვევა, რაც მათი და საქართველოს მოკავშირეობის საკმარისი პირობაა (რა თქმა უნდა, მხოლოდ ორივე მხარის საკმარისი სიბრძნის შემთხვევაში). საბჭოთა ეპოქის საპროპაგანდო დებულებები „საქართველო ხომ თავისუფალია, მეტი რაღა უნდა?“. „ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ერთად ვაშენებთ კომუნიზმს“ და სხვა ანალოგიური გულუბრყვილო სიყალბეები რუსული არსენალიდან, რა თქმა უნდა, მოხსნილია. რუსული პროპაგანდის ძალიან ძლიერი იარაღი — დებულება „ჩვენც და თქვენც ხომ მართლმადიდებლები ვართ, მოდით, ჩვენი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციები ამაზე ავაგოთ“ ჩვენი ანალიზის საგნად აღებულ პუბლიკაციებში, სახელდობრ, პრესაში რაღომღაც არ ფიგურირებს „შემოცურებელ“ დებულებათა შორის (იქნება თუ იგი მათ შორის მომავალში, არ ვიცით).*

ჩვენს რუბრიკას გავაგრძელებთ იმ იმედით, რომ მონინააღმდეგის სტრატეგიისა და ტაქტიკის უფრო დეტალიზებულ გაცნობიერებამდე მივალთ, აგრეთვე იმ იმედით, რომ მასში ტაქტიკური და, მით უმეტეს, სტრატეგიული სიახლეები არ გამოგვეპარება.

ქართული ბედისწერა

ქართული ბედისწერა ქართული ძლიერებისა და სისუსტის ერთობლიობაა. ქართული ძლიერება მსოფლიოში საქართველოს საკვანძო მდებარეობისა და თავად ქართველი ერის დიდ სულიერ და ინტელექტუალურ პოტენციალში მდგომარეობს. ქართულ სისუსტეს კი ქვეყნის ფიზიკური და მატერიალური რესურსების სიმცირე იწვევს, რაც ერის კონსოლიდაციას აფერხებს . ეს ის ძირითადი მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერებაა, რომელიც საქართველოს ისტორიულ განვითარებას უდევს საფუძვლად.

საქართველო კავკასიის ცენტრია, როგორც გეოგრაფიული, ისე გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. თავად კავკასია ევრაზიის საკვანძო რეგიონია, რომელიც, აკავშირებს რა აღმოსავლეთ ევროპასა და შუა აზიას, ჩრდილოეთის სტეპსა და ახლო აღმოსავლეთს, კონტინენტის შუაგულ მიწებს ერთ მთლიანობაში კრავს. ხოლო ევრაზია დედამიწის მთავარი კონტინენტია, რომელზეც პლანეტის ძირითადი სულიერი, მატერიალური და ადამიანური რესურსებია განთავსებული. ამდენად, ის, ვინც აკონტროლებს კავკასიას, ევრაზიის შუაგულ მიწებზე ბატონობს; ის, ვინც ბატონობს ევრაზიის შუაგულ მიწებზე, ჰეგემონია მთელ ევრაზიაში და შეუძლია მსოფლიო ბატონობაზე იქონიოს პრეტენზია.

მსოფლიოში საკვანძო მდებარეობის მქონე საქართველოს ტერიტორია ქართველი ერის სასიცოცხლო სივრცეა. მისი არსებობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აკონტროლებს თავის სასიცოცხლო სივრცეს. ამ ტერიტორიის კონტროლი კი რეგიონში ჰეგემონობასა და მსოფლიო მასშტაბით წამყვან პოზიციებზე გასვლას ნიშნავს. ეს არის ქართველების არა ამბიცია, არამედ ბუნებრივი დანიშნულება. საქართველო შეიძლება განვითარდეს მხოლოდ როგორც გლობალური მნიშვნელობის ზესახელმწიფო და თავად ქართველი ერის გრძელვადიან და მტკიცე კონსოლიდაციას ამისთვის აქვს აზრი.

ეროვნულ კონსოლიდაციაზე მსჯელობისას პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო დიდია ერის რესურსები, მით უფრო იოლია მისი კონსოლიდაცია და პირიქით. ამის მიზეზია ის, რომ საერთო სარგებელს პირად კეთილდღეობაზე წინ ადამიანთა ძალიან მცირე ნაწილი აყენებს. უმრავლესობაში კი მეტნაკლებად პირადი კეთილდღეობის სურვილი დომინირებს. მცირე ერებში მწირი ფიზიკური და მატერიალური რესურსებია თავმოყრილი, რაც თითოეულ ადამიანს ნაკლებ გასაქანსა და პიროვნული წარმატების ნაკლებ საშუალებას აძლევს. შესაბამისად, იქ საერთო საქმისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე დიდ ერებში, რისთვისაც მათი კონსოლიდაცია, დიდი ერებისაგან განსხვავებით, გაცილებით რთულია.

იქ, სადაც საერთო საქმისადმი ინტერესი მცირეა, სუსტია გამაერთიანებელი ინსტიტუტები და საერთო წარმატებაზე ორიენტირებული ურთიერთობები — ორგანიზებულობა, დისციპლინა, მორჩილება და კოლექტივიზმი ფეხს ვერ იკიდებს. რაც მთავარია, ვერ ხერხდება ერის ბედისწერის გააზრება და ვერ ყალიბდება რეალობის შესაბამისი ეროვნული იდეოლოგია. ამიტომ მცირე ერის წინამძღოლები მაშინაც კი, როცა რესურსები აქვთ და სიტუაციაც უწყობთ ხელს, მდგომარეობას არაადეკვატურად აფასებენ და არასწორ ნაბიჯებს დგამენ.

შედეგად, მცირერიცხოვანი ხალხები ისედაც მწირი რესურსების მობილიზებას ვეღარ ახერხებენ და საკუთარ პრობლემებს დამოუკიდებლად ვერ წყვეტენ.ეს კი მათ მუდმივად უბიძგებს დახმარებისათვის დიდ ქვეყნებს მიმართონ, რომელთა მეშვეობითაც მცირე ერების წარმომადგენლებს როგორც ეროვნული პრობლემების გადაჭრა, ისე პირადი გასაქანისა და კეთილდღეობის მოპოვება სურთ. სწორედ ეს არის ტრადიციული ქართული დაქსაქსულობისა და ურთიერთმტრობის, არაორგანიზებულობისა და უდისციპლინობის, საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ღირებულებებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების მიზეზი. აქედანვე მოდის უცხოელებისადმი ლტოლვა, მათი და მათი ღირებულებების გაფეტიშება და მათ წინაშე განსაკუთრებული ერთგულებისა და დისციპლინის გამოვლენა. ერთიანობის უუნარობას ქართველები ინდივიდუალიზმს არქმევენ, ყოველივე უცხოსადმი ლტოლვას კი ტოლერანტობას.

მაგრამ უცხო ძალებისადმი ლტოლვა ქართველებისათვის არამარტო უპერსპექტივო, არამედ დამღუპველია. ნებისმიერი გარეშე ძალა, რომელიც მსოფლიოში თავისი პოზიციების განმტკიცებას ცდილობს, ამას ევრაზიის კონტინენტიდან იწყებს. ეს მის წინაშე ადრე თუ გვიან კავკასიასა და პირველ რიგში საქართველოზე კონტროლის აუცილებლობას აყენებს. იმავდროულად, არავითარი მნიშვნელება თავად ქართველების მისდამი დამოკიდებულებას არა აქვს, რამეთუ როგორი ლოიალურიც არ უნდა იყოს ეს დამოკიდებულება, ერთიანი და ძლიერი საქართველოს პირობებში, რეგიონში მისი ბატონობა ნომინალური და საქართველოზე დამოკიდებული იქნება. ნებისმიერი უცხო ძალის კავკასიაში ბატონობა ფიზიკურად მხოლოდ საქართველოსა და ქართველების არარსებობის პირობებში შეიძლება. ამიტომ ყოველი გარეშე ძალა, რომელიც კავკასიის დაუფლებას ცდილობს, საქართველოს ბუნებრივი მტერია.

გასათვალიწინებელია, რომ ისედაც მცირერიცხოვან ქართველ ერს დიდი მონათესავე ხალხები არა ჰყავს და თავისი მონათესავე იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხებში ყველაზე რიცხვმრავალი თავადაა. ამიტომ, მსოფლიოში საკვანძო მდებარეობის მქონე ტერიტორიაზე პოტენციურად ძლიერი და უცხო მოდგმის ერი უკვე თავისი არსებობით ყველა ანგარიშგასაწევი ძალისათვის საშიში კონკურენტია, რომელიც მაქსიმალურად უნდა დაირგუნოს.

მართალია, კავკასიაში ბატონობისათვის მრავალი უცხო ძალა ებრძოდა და ებრძვის ერთმანეთს, მაგრამ არც ერთს საქართველოს გაძლიერება არ აწყობს. მათ ურჩევნიათ ეს ტერიტორია საკუთარი ძალმოსილების შესაბამისად ერთმანეთს შორის გაინაწილონ, ვიდრე საქართველოს გაძლიერება დაუშვან, რამეთუ ამ გზით რეგიონზე ისინი გარკვეულ კონტროლს მაინც შეინარჩუნებენ, ხოლო საქართველოს გაძლიერების შემთხვევაში აქ ყველა ყველაფერს დაკარგავს. ამიტომ საქართველოს მიმართ ყოველი ასეთი ძალის საერთო ინტერესი გამოიხატება ფორმულით: „საქართველო ქართველების გარეშე“.

აქედან გამომდინარე, უცხო ძალების სამსახური ქართველებისათვის ეროვნული თვითმკვლელობაა. როდესაც საქართველოს რეგიონის ცენტრში გარეშე ძალა შემოჰყავს, ამით ყველა თავის მეზობელს სასიკვდილო საფრთხეს უქმნის და, სავსებით კანონზომიერად, მათგან სასტიკ დარტყმებს ღებულობს. თავად უცხო ძალის მოიმედე კრიტიკულ მომენტში შინაგან მობილიზებას ვეღარ ახერხებს, ხოლო უცხოელი „კეთილისმყოფელი“ პირველ რიგში საქართველოს გაწირავს, რათა რეგიონის ბუნებრივი ჰეგემონი თავიდან მოიცილოს და მის მეზობლებს მერე მისდგება.

შედეგად ქართველი ერი თავისი ისტორიის მანძილზე პერმანენტულ დამარცხებას განიცდის, ნადგურდება მისი ფიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკური და მატერიალური რესურსები, იკარგება ტერიტორიები და სახელმწიფოებრიობა. ამდენად, რესურსების სიმცირე ერის დაქსაქსულობასა და უცხო ძალებისადმი ლტოლვას განაპირობებს, ხოლო უცხო ძალებისადმი ლტოლვა ეროვნული კატასტროფებით მთავრდება, რაც ქართველთა რესურსებს კიდევ უფრო ამცირებს — ეს ქართული ბედისწერის ჩაკეტილი წრეა.

საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე არაერთი წარმატებისათვის მიუღწევია და ნათელი პერიოდებიც ჰქონია, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ხდებოდა არა იმდენად ჩამოყალიბებული სისტემის მეშვეობით, რამდენადაც ცალკეული ღირსეული ადამიანების პირადი ღვაწლის ხარჯზე. მეორე: ამის შედეგად მიღწეული წარმატებები დროებითი და არამყარი იყო. მესამე და მთავარი: თუნდაც ასეთი წარმატების მიღწევა შეიძლებოდა შუა საუკუნეებში, როდესაც მსოფლიო ძლიერ ინტეგრირებული და განვითარებული არ იყო. XXI საუკუნეში კი ქართველების მსგავს მცირე ერებს არსებობის გაცილებით ნაკლები შესაძლებლობა ექნებათ, მით უფრო, რომ გლობალიზაციის ეპოქაში საკვანძო ტერიტორიების მნიშვნელობა და, შესაბამისად, ძლიერი ქვეყნების მიერ მათი ხელში ჩაგდებისაკენ სწრაფვა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ასეთ პირობებში ქართველი ერი ან განახორციელებს თავის ბუნებრივ დანიშნულებას და თავად შექმნის ზესახელმწიფოს, ან უბრალოდ არსებობას შეწყვეტს.

აქედან გამომდინარე, ძლიერ სახელმწიფოებს შორის საქართველოს მოკავშირეები არა ჰყავს და არც შეიძლება ჰყავდეს. უკეთუ ქართველებს, როგორც ერს, არსებობა და განვითარება სურთ, ეს ძირითადად საკუთარი ძალებით უნდა შეძლონ. მწირი ფიზიკური და მატერიალური რესურსების პირობებში ერის უმთავრესი — ინტელექტუალური — პოტენციალის ამოქმედებაა საჭირო. მასზე დაყრდნობით ახალი ძალა უნდა შეიქმნას, რომელიც ქართული ბედისწერის ადეკვატურ ეროვნულ იდეოლოგიას ჩამოაყალიბებს და ამის პარალელურად, უახლეს ტექნოლოგიებს შექმნის. უახლესი ტექნოლოგიები კი მას დიდ მატერიალურ რესურსებს ჩაუგდებს ხელში და საკუთარი იდეოლოგიის განხორციელების შესაძლებლობას მისცემს. ამით მოხდება ქართული ბედისწერის ჩაკეტილი წრის გარღვევა — ფიზიკური და მატერიალური რესურსების სიმცირის ინტელექტუალური და ტექნოლოგიური რესურსებით კომპენსაცია.

გასათვალისწინებელია, რომ ძველი ტექნოლოგიები უკვე დიდი ხანია სხვა ქვეყნებისა და ერების მიერაა ათვისებული და მათი გამოყენებით ქართველი ერი მუდმივი ჩამორჩენილობისათვისაა განწირული. ამიტომ მისი განვითარებისთვის საჭიროა ყველა სფეროში ახალი და უფრო დაწინაურებული ტექნოლოგიების შექმნა და სხვებისთვის თამაშის საკუთარი წესების კარნახი.

უმთავრესია ის, რომ XXI საუკუნე ინტელექტის საუკუნე იქნება. ანუ ახალ ათასწლეულში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა იმდენად რაოდენობრივ-ფიზიკურ და მატერიალურ, — რამდენადაც ხარისხობრივ-ინტელექტუალურ და ტექნოლოგიურ — რესურსებს ექნებათ. ერები, რომლებიც უახლეს ტექნოლოგიებს მოიპოვებენ, არსებობასა და გლობალური პროცესების მართვას შეძლებენ.

სწორედ ასეთ პირობებში მცირერიცხოვან, მაგრამ დიდი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ქართველ ერს განვითარების მანამდე არნახული საშუალება ეძლევა. განვითარების ახალ, ინტელექტის ეპოქაში კაცობრიობის შეყვანა ქართველი ერის ზოგადსაკაცობრიო დანიშნულებაა. ამ დანიშნულების განხორციელება ქართული ბედისწერის უმაღლეს გამოვლინებას წარმოადგენს, რის შედეგადაც მმართველობის უმაღლესი და ქართული სახელმწიფოებრიობის საბოლოო ფორმა მიიღება. ესაა მესამე ათასწლეულის ზესახელმწიფო!

ალექსანდრე კაკულია

რედაქციისაგან. ვბეჭდავთ რა ახალგაზრდა ავტორის, ჩვენის აზრით, უაღრესად საინტერესო წერილს, საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი კომენტარის დართვა იმაზე, რას ვეთანხმებით მის წერილში და რას ვერ ვეთანხმებით. უპირობოდ ვეთანხმებით იმას, რომ ერს, როგორც (ძირითადად) ერთი მოდგმის ადამიანთა თვითცნობიერსა და ორგანიზებულ მასას, რომელიც დღეს პოლიტიკის, ხოლო წარსულსა და მომავალში — ისტორიის ერთადერთი სუბიექტია, აუცილებლად აქვს (და უნდა ჰქონდეს კიდეც. ეს მისთვის არსებითია) ერთობლივი და განუმეორებელი ეროვნული მიზნის (მიზნების) ცნობიერება. ერის თვითცნობიერებას ანუ მის მიერ თავისი თავისა და თავისი ამოცანების ხედვას ე.წ. ტელეოლოგიური სტრუქტურა (ანუ მიზნებზე აგებული, მიზანსახვითი აღნაგობა) აქვს, ისევე, როგორც ინდივიდუალური ადამიანის პიროვნება აგებულია მიზანზე, მისი ყოველდღიური არსებობა ორიენტირებულია მიზანზე (მიზნებზე) და არა მარტოოდენ რეაგირებაზე გარეშე პირობების მიმართ, რომელნიც მისგან ამა თუ იმ მოქმედებას მოითხოვენ. ამიტომ, თუ გინდათ გაიგოთ ამ კონკრეტული ადამიანის შინაგანი ცხოვრება და სულისკვეთება, პირველ ყოვლისა მისი მიზანი უნდა მოიკითხოთ. დავიმოწმებთ კონკრეტულ მაგალითს. ვაჟა-ფშაველა წერდა: „როგორ გგონიათ, მე არ წარმომიდგენია მომავალი ჩემი ქვეყნისა ბრწყინვალედ?“ ძალიან შორეული მიზანი რომ არ ჰქონოდა თავისი დღევანდელი მოქმედებისათვის, ვაჟა ფშაველა, რა თქმა უნდა, შემოქმედებას მოკლებული კაცი იქნებოდა.

ავტორს ვერ ვეთანხმებით იმაში, რომ იგი საქართველოსა და ქართველი ერის მიზანს, ჩვენის აზრით, ცალმხრივად განსაზღვრავს. საქართველო და ქართველი ერი დღეს დედამიწისა და კაციბრიობის ერთ მეათასედზე ცოტა ნაკლებს შევადგენთ. ამიტომ, რა დიდი წარმატებაც არ უნდა მოვიპოვოთ, პრაქტიკულად შეუძლებელია, რომ საქართველომ მსოფლიო თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს. ეროვნული თვითდამკვიდრებისათვის მსოფლიოზე გავლენა მხოლოდ ერთი (და არა ერთადერთი) შესაძლებელი გზაა, ისიც — გარეგნული უფრო, ვიდრე არსებითი და სიღრმისეული. მეორე — და ყველაზე არსებითი — სახე ეროვნული თვითდამკვიდრებისა და კაცობრიობაში მოწინავეობისა — ასე ვთქვათ, მისი „ჩემპიონობისა“ — არის სხვებზე არა უფრო დიდი, არამედ უფრო ხარისხიანი, უფრო კარგი საზოგადოების შექმნა, სადაც ყველაზე უკეთ იქნება რეალიზებული (განხორციელებული) ადამიანის ბედნიერების, ღირსების, კაცთა შორის სამართლიანობის, საყოველთაო კეთილდღეობის ადამიანური მოთხოვნილებები და ყველაზე უკეთესი ასპარეზი იქნება მისი შემართების, სიამაყის, შემოქმედებითი უნარის და ა.შ. გაშლისათვის. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლება ამისთვის, რა თქმა უნდა, აუცილებელი პირობაა. მაგრამ ჭეშმარიტი შეჯიბრი და ამ შეჯიბრის ბაზაზე სიამაყის დაკმაყოფილების ასპარეზი — ამის შემდეგღა იწყება.

ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა აქ გადამწყვეტი ფაქტორი არ არის და ვერ იქნება. ერი და ქვეყანა დიდია იმით, რასაც თვითონ ქმნის თავის მიწაწყალზე, და არა იმით, რას იღებს სხვებისაგან თავისი მიწაწყლის ხელსაყრელი ადგილმდებარეობის და სხვა რესურსების გამოყენებით. დავიმოწმებთ კვლავ ისტორიულ მაგალითს. ინგლისმა თავის დროზე ხმელეთის ერთი მეოთხედი მოიქცია თავის მფლობელობაში. რით? იმით, რომ ზღვაზე გაბატონდა. ზღვაზე რით გაბატონდა? იმით, რომ ხომალდშენებლობასა და ზღვაოსნობას უკეთ დაეუფლა, ვიდრე სხვები, და ბატონობისათვის ბრძოლაში უკეთესი ადამიანური ხარისხი აჩვენა, ვიდრე იმ სხვებმა, და არა იმით, რომ მის ნაპირებთან სხვებს გავლა-გამოვლა სჭირდებოდათ და ამიტომ იძულებულნი იყვნენ, ინგლისელი მეზღვაურებისა და კაპიტნებისათვის მიემართათ (ამ მიზნით ინგლისის არც სანაპირო, არც ნავსადგურები არასოდეს არავის დასჭირვებია. ინგლისელების საკუთარი აქტიურობა რომ არა, მათ არავინ მიაკითხავდა). ამიერიდან, რაკი საქართვლო თავისუფალია, მას აქვს ობიექტური პირობები იმისა, რომ თავისი საზოგადოება ყველა სხვაზე უკეთ ააგოს, ცოდნა ყველაზე მაღალი შეიძინოს, მეცნიერება და პოეზია ყველაზე მაღალ დონეზე აიყვანოს, სამართლიანობა ყველაზე უფრო ზუსტად დაიცვას და ა.შ. თავისი მიწაწყალიც, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა უნდა დაიცვას თავდადებულად და მყარად. ამაშია ერის დიდება. დიდებისკენ სვლა, როგორც მიზანი, აუცილებელია და ყოველმხრივ სასარგებლოა. მას ვერასოდეს ვერავინ აღწევს ისე, როგორც უნდა. მაგრამ მისკენ სწრაფვა მართლაც ყველა მიღწევის საწინდარია.

„სუგოჟლოტჯრიი ტრიუნეს“

რას ნიშნავს რუსეთის უპრეცედენტო მუქარა საქართველოსადმი?

(მოქალაქის ფიქრები)

რუსეთი უპრეცედენტო მუქარას მიმართავს საქართველოს წინააღმდეგ. რას ნიშნავს ეს?

უპრეცედენტო ეს მუქარა არ არის. უფრო ზუსტად: იგი ახლა არ დაწყებულა, მას უკვე ორიოდე წლის ისტორია აქვს. გაზეთმა „საქართველომ“ რამდენიმე ხნის წინ ხომ აცნობა მკითხველს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებული თავისი 58-ე არმიის შტაბი რუსებმა გადმოიტანეს ამ ზონის ყველაზე სამხრეთ ნაწილში — ვლადიკავკასში. შტაბის განლაგება ხდება არა სავარაუდო ფრონტის ხაზის წინ, არამედ მის უკან. ეს წესი ლოგიკურია და საყოველთაოა. ამ ნაბიჯით რუსეთმა ის ქნა — ან, თუ გნებავთ, იმის დემონსტრირება მოახდინა, — რომ ამ არმიის სამოქმედო სივრცედ იგი გულისხმობს ვლადიკავკასის სამხრეთით მდებარე ზონას, სახელდობრ, საქართველოს, ან, როგორც მინიმუმი, რუსეთ-საქართველოს საზღვარს. ეს უკანასკნელი ვარიანტი, ბუნებრივია, მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობას წარმოადგენს. რასაც ახლა რუსეთი აკეთებს — სახელდობრ, ფართომასშტაბიანი მანევრები, როცა მიზანია „რუსეთის მემშვიდობეების დაცვა თავდასხმებისაგან“ და ასპარეზია „სამხრეთით მდებარე ტერიტორია“ — მხოლოდ იმის უფრო ხმაურიანი განმეორება და დადასტურებაა, რაც რუსეთმა მაშინ ქნა.

სამხედრო დარტყმა საქართველოზე მოხდება თუ არა?

ლოგიკურად, არ მოხდება. სამხედრო დარტყმა ნიშნავს მწვავე კონფლიქტს დასავლეთთან, როგორც მინიმუმი — ახალ, უფრო ხანმოკლე „ცივ ომს“, რომელშიც რუსეთს მხოლოდ გარდუვალი და გამანადგურებელი დამარცხება ელის და რომელიც დასავლეთის „ქორულად“ განწყობილი წრეებისათვის ამიტომ სანატრელია. გამონაკლისი მხოლოდ ერთი შემთხვევაა, ანუ დარტყმა შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით — იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მართვაში არსებობს ნება, რომელიც დაინტერესებულია ცივი ომის დაწყებით ან, თუ გნებავთ სხვანაირად ვთქვათ — „ცივი ომის დაწყებით დასავლეთის ქორების სურვილის შესაბამისად“. ეს შესაძლებლობა, ჩემის აზრით, მხოლოდ თეორიულია. მაგრამ პრაქტიკულია რუსეთის მიერ უკვე გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ამგვარი ნების არსებობაზეც მეტყველებს და მის ძლიერ გავლენაზეც: რუსეთმა თავის საკანონმდებლო ორგანოში სამსჯელოდ შეიტანა და ამით მსოფლიოს წინაშე გამოფინა თავისი აგრესიული უშიშროების დოქტრინა, რომელიც შეუთავსებელია საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმებთან, თან პოტენციურ მოწინააღმდეგეებად დაასახელა... აშშ და ნატო. ეს ცივი ომის გამოცხადებაა. ცივ ომს დასავლეთის რეალისტურად განწყობილი და შორს გამხედვარი სტრატეგები დიდი ხანია ნატრობენ. რატომ? იმიტომ, რომ შეიარაღებათა დოღი, რასაც დასავლეთის ზეგანვითაებული ქვეყნის ეკონომიკები უმტკივნეულოდ იტანენ, მათთვის ეკონომიკური და, საერთოდ, ტექნოლოგიური და მეცნიერული განვითარების უძლიერესი სტიმულია. ხატოვნად რომ ვთქვათ, მდიდარი მოქალაქე იძულებული ხდება ცხოვრების რეჟიმი დროებით გაიჯანმრთელოს და, მაგალითად, სათამაშოდ განკუთვნილი თანხები სათავდაცვო საჭიროებებისათვის გაიღოს. რეიგანისეული „ვარსკვლავეთის ომები“ საბჭოთა კავშირისათვის დამაპანიკებელი იყო არა იმიტომ, რომ კოსმოსურ იარაღს გარდატეხა შეჰქონდა სტრატეგიასა და ტაქტიკაში (ამისგან კაცობრიობა რეალურად ძალიან შორს იყო), არამედ იმიტომ, რომ ჩნდებოდა უზარმაზარი ფონდი სტრატეგიული კვლევებისათვის და ამ კვლევებში საქმდებოდა მთელი დასავლური მეცნიერება, და არა მხოლოდ ამერიკული. დღეს რუსეთს ნავთობისა და გაზის გაძვირებით უფრო დიდი თანხა აქვს შეძენილი, ვიდრე ის ტრილიონნახევარი დოლარი იყო, „ვარსკვლავეთის ომებს“ რომ ჰხმარდებოდა, მაგრამ წაგება მაინც გარანტირებული აქვს, ვინაიდან დასავლეთი მას შეუდარებლად აღემატება თავისი ინტელექტუალური რესურსით სათანადო დარგებში. ამ ქორულად განწყობილი სტრატეგების სრული ბედნიერებისათვის, ანუ ცივი ომის იდეის წარმატებული გატანისათვის მსოფლიო ცნობიერების ბაზარზე, ძალიან მომგებიანი იქნებოდა ერთი პატარა „ცხელი“ ეპიზოდი — ვთქვათ, რუსეთის აგრესია პატარა მეზობლის წინააღმდეგ, — რომელიც მალევე ჩაქრობილი და ლიკვიდირებული იქნებოდა დასავლეთის ენერგიული ძალისხმევით, რაც პრობლემას არ წარმოადგენს. აქედან — საქართველოზე რუსეთის დარტყმის თეორიული (ვიმეორებ — მარტოოდენ თეორიული) შესაძლებლობა. რუსეთის მიერ კავკავსიონის სამხრეთით სტრატეგიული პოზიციის დაკავება დასავლეთისათვის, რა თქმა უნდა, სრულებით მიუღებელია და იგი ამას არ დაუშვებს, რადგანაც (ამაზე „საქართველოს“ არაერთხელ დაუწერია) დასავლეთს დღეს ამიერკავკასიაში უფრო სასიცოხცლო ინტერესები აქვს, ვიდრე რუსეთს.

ცხადია, ეს ვერაფერი სასიხარულო პერსპექტივაა. მაგრამ მაინც არ უნდა გვეგონოს, რომ რუსეთის აგრესიული ქადილი და საპროპაგანდო აკომპანიმენტი მხოლოდ ასეთი გეგმით შეიძლება იყოს გამოწვეული. მას კიდევ ერთი — მაგრამ არა მრავალი — შესაძლო ახსნა აქვს. ყველაზე პესიმისტური აზრი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ორიენტაციაზე, სამწუხაროდ, ცნობილია: ფიქრობენ, რომ იგი რუსეთის სამსახურში დგას. ამჯერად მას ნუ გავიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ: რუსეთი ყოველთვის მოელის და ყოველთვის იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფალთაგან მოიპოვებს ისეთ ნაბიჯებს, რომელიც რუსეთის ინტერესებს ემსახურება და არა საქართველოსას. ახლაც ასეთი შესაძლო ნაბიჯები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, ანუ შესაძლებელი კაპიტულაციები, არაერთია... მაგალითად, „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ შექმნა, რაზეც საქართველოს პრეზიდენტი უკვე მოლალატურად თანხმობას აცხადებს. მაგალითად, აფხაზეთისა და ცხინვალის ზონის საქმეებში რუსეთისთვის რაღაცა ხმის უფლების დაკანონება და ასე შემდეგ. ასეთი შესაძლებლობები ბევრია. თუ ეს მოსალოდნელია, ან, თუ გნებავთ, თუ რუსეთს ამის იმედი აქვს, იგი ყველანაირად ეცდება ქართველი ხალხის დაშინებას ომის მუქარით, რათა საკაკაშვილს თავისი კაპიტულანტური ნაბიჯის ხალხის თვალში გამართლების საშუალება მისცეს. მართალი მოგახსენოთ, ალბათ სწორედ ასეთ მიზნის სახვას ვხედავ რუსეთის მხრიდან და შესაძლო შედეგთა შორის სწორედ ამის მეშინია.

საქართველოში მოდის სხვა, კიდევ უფრო საშიში ხმებიც. ავად განწყობილი რუსეთი (სხვა რუსეთი კი დღესდღეობით არ არსებობს) ყველაფერს იღონებს ჯერ აფხაზეთსა და ცხინვალში ომის პროვოცირებისათვის, შემდეგ კი ამ ომში ქართველების მიერ „ადამიანობის წინააღმდეგ“ დანაშაულის ჩადენის სიმულაციისათვის (ამას მოასწავებს, სხვათა შორის, „იმედის“ არხის პროვოკაციული გადაცემაც „დროების“ პროგრამაში“). ამით შეეცდებიან მოგვიგონ საპროპაგანდო ომი და იშოვონ საბაბი გაშლილი დროშით შემოსასვლელად. „ქართველ“ პროვოკატორთა დიდ რაზმს უკვე კარგა ხანია ამზადებენ ჩვენგან ჩრდილოეთით, რამდენიმე ათასი კმ-ის მანძილზე.

ნ. ცხირელი

უკანასკნელი სამხედრო აღლუმი ანუ

ისევ საქართველოს სამხედრო მშენებლობის ავ-კარგის შესახებ

უკანასკნელი სამხედრო აღლუმი, ისევე როგორც ამ ბოლო წლების მსგავსი ღონისძიებები, ხასიათდებოდა მათში მონაწილე პირადი შემადგენლობის უფრო მოწესრიგებული და პეწიანი შეხედულებით — შედარებით კარგი ჩაცმულობითა და გამართული სამწყობრო სარულით, აგრეთვე იმის დაჟინებული გამეორებებით, თუ როგორ გვეხმარებიან ამერიკა, თურქეთი, საფრანგეთი და ნატოს ბლოკის სხვა ქვეყნები ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობაში, როგორი სანუკვარი ოცნებაა ჩვენთვის ჩრდილო ატლანტიკურ ბლოკში (ნატოში) გაწევრიანება და ა.შ. ცხადია, რომ საქმეში ჩაუხედავი ადამიანებისათვის ეს იქნებოდა მეტად სასიხარულო, დამაიმედებელი, რომ ამდენი ტანჯვა-წამების შემდეგ საქართველო გადის სამშვიდობოზე და, ევრო-ატლანტიკური სივრცის ცივილიზებულ სახელმწიფოთა წრეში მიღებული, თავადაც მოწინავე ფასეულობათა დამფასებელი ქვეყნებისა და ხალხების ფერხულში ებმება. ეს ერთი შეხედვით. მაგრამ ვაი, რომ სინამდვილეში და სპეციალისტის თვალით ეს ასე არ არის. რატომ? ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ, თან რასაც ახლა ვიტყვით გაზეთების „საქართველოსა“ და „ახალი 7 დღის“ მკითხველებისათვის ახალი არ უნდა იყოს, ვინაიდან მათ ფურცლებზე არაერთხელ გაგვიჟღერებია ჩვენი მოსაზრებანი, რომლებიც ემყარება სწორედ დასავლეთის მცირე და დიდ სახელმწიფოთა სამხედრო მშენებლობის გამოცდილებას შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე.

დავიწყოთ საქართველოს თანამედროვე სახმელეთო ჯარების საბრძოლო შემადგენლობით. აღლუმზე მასში ნაჩვენები იყო ოთხი ქვეითი ბრიგადა, თითოეული სამი ასეთივე ქვეითი და ერთი სატანკო ბატალიონის, აგრეთვე საბრძოლო და ზურგის უზრუნველყოფის, სადაზვერვო, მესანგრეთა, კავშირგაბმულობის, საზენიტო, მომარაგების, მომსახურების, სამედიცინო და სხვა უფრო მცირე ქვედანაყოფის შემადგენლობით.

ამას არა უშავს. მართალია, თითოეულ დასავლურ ცალკეულ ბრიგადაში ამის გარდა შედის ერთი-ორი საარტილერიო დივიზიონი, 105, 155, 175 და 203,2 მმ ყალიბის ქვემეხებისა და 106,7 და 120მმ ყალიბის ნაღმსატყორცნების შემადგენლობით. მაგრამ ჩვენთან საარტილერიო ბრიგადა აღლუმზე ცალკე ბრიგადად ჩაატარეს. ეს იყო და ეს. კიდევ უზრუნველყოფისათვის რამდენიმე ბატალიონი და ასეული.

საქმით კი უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სახმელეთო ჯარების საბრძოლო შემადგენლობაში შედიან ჯავშანსატანკო, მექანიზებული ქვეითი (მოტოქვეითი, მოტომსროლელი), ქვეითი, სამთო-ქვეითი (მსუბუქი ქვეითი), აერომობილური, საჰაერო საიერიშო, საჰაერო სადესანტო და სპეციალურ ოპერაციათა ძალების შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები, რომელთაც თავთავიანთი შესაძლებლობები, დანიშნულებები, მოქმედების არე და სავარაუდო საბრძოლო ამოცანები გააჩნია.

ჯავშან-სატანკო ჯარები ამოიზარდა შუა საუკუნეების კავალერიიდან (ცხენოსანი ჯარებიდან) და მნიშვნელოვანწილად თანამედროვე ბრძოლის ველზე იმეორებს უწინდელი ცხენოსანი ჯარებისა და საომარი ეტლების ფუნქციებს, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე. ჯავშან-სატანკო ჯარები წარმოადგენს თანამედროვე სახმელეთო ჯარების ძირითად დამრტყმელ ძალას (განსაკუთრებით, ჩვეულებრივ ომში, ბირთვული იარაღის გამოყენების გარეშე),

რომელსაც შეტევაში შესაძლოა უსვამდნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის, ერთი ან ორივე ფლანგიდან შემოვლის ან ზურგიდან ღრმა შემოვლის ამოცანებს, ან მათ კომბინაციებს; თავდაცვაში კი ჯავშანსატანკო (სატანკო) შენაერთებს და ნაწილებს და ქვედანაყოფებს განალაგებენ სიღრმეში თავდაცვაში შემოჭრილ მოწინააღმდეგეზე დაუყოვნებლივ კონტრიერშის მიტანის, მისი განადგურების ან უკუგდების და თავდაცვის საწყისი პოზიციების აღდგენის მიზნით. უფრო მსხვილ საჯარისო ერთეულებში — დივიზიებსა და საარმიო კორპუსებში — პოზიციურ (რაიონის) თავდაცვასთან ერთად ხშირად იყენებენ ე.წ. მობილურ თავდაცვას, რომელიც ითვალისწინებს წინა ხაზზე შედარებთ მცირერიცხოვანი ქვედანაყოფების განლაგებას, რომელთა მიზანია შემომტევი მოწინააღმდეგისათვის აუცილებელი წინააღმდეგობის გაწევა და მისი შემოტევებისთვის მიმართულების მიცემა საჭირო მიმართულებით. ძირითადი ძალები კი, განსაკუთრებით ჯავშანსატანკო ერთეულები ამ დროს განლაგებულია თავდაცვის სიღრმეში, რათა საჭირო მიმართულებებით თავდაცვაში შემოჭრილ მოწინააღმდეგის ჯარებს წინასწარმომზადებულ მიჯნებზე მოულოდნელი და ძლიერი დარტყმები მიაყენონ, ალყაში მოაქციონ და გაანადგურონ. ამრიგად, მობილური თავდაცვა ითვალისწინებს არა თავდაცვის პოზიციის (რაიონის) შენარჩუნებას, არამედ შემომტევი მოწინაალმდეგის განადგურებას. და ასეთი საბრძოლო მოქმედებისათვის შეუცვლელია ჯავშან-სატანკო ჯარები. გარდა ამისა, თავდაცვაში ტანკებს ეფექტურად იყენებენ ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის ორგანიზებისა და წარმოებისათვის.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის II ნახევარში, მას შემდეგ, რაც ომის მწარმოებელი ორი ძირითადი სახელმწიფოს — გერმანიისა და საბჭოთა კავშირის — სახმელეთო ჯარებში კარგად აითვისეს ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის სწრაფი და საიმედო ორგანიზების მეთოდები და ხერხები, აუცილებელი შეიქნა. ქვეითი ჯარების ჩამოყვანა საარმიო სატვირთო მანქანებიდან და ჯავშანტრანსპორტერებში ჩასხმა, რათა ისინი კვალდაკვალ მიყოლოდნენ უკან საბრძოლო ტანკებს, მხარდაჭერა აღმოეჩინათ მათთვის, არ მიეცათ მოწინააღმდეგისათვის ძლიერი ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის ორგანიზების დრო და საშუალება და დროულად გაენადგურებინათ ან ჩაეხშოთ მისი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები. II მსოფლიო ომისდროინდელი გერმანელი ოფიცრის მიდელდორფის სიტყვებით, ასე ჩაეყარა საფუძველი ქვეით (მექანიზებულ ქვეით, მოტომსროლელ) შენაერთებს, ნაწილებსა და ქვედანაყოფებს.

თანამედროვე მექანიზებული ქვეითი ჯარები წარმოადგენს განვითარებულ სახელმწიფოთა სახმელეთო ჯარების ხერხემალს და ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან გვარეობას. შეიარაღებაში მას გააჩნია ქვეითთა საბრძოლო მანქანები და ჯავშანტრანსპორტერები, რომლებიც ხასიათდება ბრძოლის ველზე მაღალი გამავლობით, სიჩქარითა და მანევრულობით, შეიარაღებაში აქვთ ძირითადად ავტომატური ზარბაზნები ან მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევები, ხოლო კორპუსის ჯავშანი პირად შემადგენლობას და თავად მანქანების მნიშვნელოვან კვანძებს და აგრეგატებს იცავს ტყვიებისაგან, აგრეთვე ნაღმებისა და ჭურვების ნამსხვრევებისაგან. თითოეულ ასეთ მანქანაში თავსდება ფეხოსანთა ათეული, რომლებიც შესაძლოა იბრძოდნენ ამ მანქანიდან (სპეციალური ამბრაზურებიდან გამოყოფილი ტყვიამფრქვევების, საიერიშო შაშხანებისა და ავტმატების ცეცხლით), ან ჩამოქვეითდეს და ისე აგრძელებდეს საბრძოლო მოქმედებებს.

იქ, სადაც ადგილმდებარეობა ხასიათდება მთაგორიანი ან ძლიერად დასერილი რელიეფით და ჯავშანსატანკო ტექნიკას (საბრძოლო და მსუბუქ ტანკებს, ქვეითთა საბრძოლო მანქანებსა და ჯავშანტრანსპორტერებს) უჭირს მოქმედება, უფრო ეფექტური ხდება ქვეითი ჯარების გამოყენება. აქ ძირითად სატრანსპორტო საშუალებას აწარმოადგენს საარმიო ავტომობილები. ხშირად პირადი შემადგელობა 4 კმ/სთ სიჩქარით ბრძოლის ველზე გადაადგილდება ფეხით. თუ ჯავშანსატრანსპორტო და მექანიზებული ჯარების მოქმედებებს ცეცხლით მხარს უჭერენ 155, 175 და 203,5 მმ ყალიბების ქვემეხებით, ქვეით ჯარებს ძირითადად გააჩნიათ 105 მმ ბუქსირებადი ჰაუბიცები, პლუს ამას თითოეულ ქვეით ბატალიონს, ისევე, როგორც სატანკოსა და მოტოქვეითს, ჰყავს თავისი არტილერია — 106,7 და 120 მმ ყალიბის 4,6,8 ან 12 ნაღმსატყორცნების სახით. შესაძლებელია ბატალიონის თითოეულ ქვეით ნაწილში შედიოდეს სამი ერთეული 81-მმ ნაღმსატყორცნებიც. ასეთ პირობებში მთაგორიან ან ძლიერად დასერილ ადგილას თანამედროვე ქვეითი ჯარებიც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს, თუმცა კი გაშლილ და ტანკმისადგომ ადგილმდებარეობაზე მოქმედებისას ქვეითი ჯარები ვერ გაუძლებენ თანაბარი რაოდენობის ჯავშანსატრანსპორტო და მექანიზებულ ქვეით ჯარებთან ბრძოლას.

და ბოლოს, მაღალმთიან ადგილებში, ასევე ტყიან ადგილას და ქალაქებში, ქვეით ჯარებს მათი შედარებით მძიმე შეიარაღებით გაუჭირდებათ გადაადგილება და მოქმედებები. ამიტომ იქ იყენებენ სამთო ქვეით, მსუბუქ ქვეით ერთეულებს მათი 60 მმ ნაღმსატყორცნებით (81-მმ-ის ნაცვლად, 120 მმ ნაღმსატყორცნების ნაკლები რაოდენობითა და 105 მმ. სამთო ქვემეხებით), თავისთავად ცხადია, რომ დაბლობ ადგილას მსუბუქი ქვეითი ჯარები დამარცხდე-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ცხრილი 1

ბრიგადის ნომერი და ტიპი	ვის ექვემდებარება	განლაგების ადგილი	პირადი შემადგენლობა, ადამიანი	საბრძოლო ტანკები	მოჯავშნული საბრძოლო მანქანები	საველე არტილერია
მე-9 ჯავშან-სატანკო	მე-4 ცალკეული კორპუსი	ანკარა, ჩანკირი	5621	110	87	24
95-ე ჯავშან-სატანკო	I არმიის მე-2 კორპუსი	თექირდალი	5978	107	65	46
26-ე ჯავშან-სატანკო	I არმიის მე-3 კორპუსი	სტამბული	5849	114	75	34
მე-3 ჯავშან-სატანკო	I არმიის მე-5 კორპუსი	თექირდალი	6539	118	137	59
მე-4 მექანიზებული	I არმიის მე-2 კორპუსი	ქეშანი	7667	119	118	72
65-ე მექანიზებული	I არმიის მე-5 კორპუსი	ჩორლე	4834	60	136	44
54-ე მექანიზებული	I არმიის V კორპუსის III მექანიზ. დივიზია	ედირნე	7827	120	14880	30
55-ე მექანიზებული	„—“	ედირნე	5901	61	128	57
25-ე მექანიზებული	მე-3 არმიის მე-9 კორპუსი	არტაანი	7115	56	142	53
1-ლი მექანიზებული	მე-3 არმია	დოლებაიაზათი	9974	58	128	83
48-ე ქვეითი	მე-3 არმია	ტრაპზონი	6369	–	–	78
მე-11 ქვეითი	„ეგეოსის“ არმია	დენიზლი	4422	31	6	87
29-ე ქვეითი	„ეგეოსის“ არმია	ედრემითი	4908	30	5	81

მე-8 გვერდიდან

ბიან ჩვეულებრივ ჯართან ბრძოლებში, რომ აღარაფერი ვთქვათ სატანკო და მოტოქვეით ჯარებზე.

რაც შეეხება აერომობილურ, საჰაერო-საერიშო, საჰაერო-სადესანტო და სპეციალური დანიშნულების ჯარებს, მათ ევალებათ ვიწროდ სპეციალიზებული საბრძოლო ოპერაციების წარმოება, ისინი შედარებით მცირერიცხოვანია და, წერილის მოცულობიდან გამომდინარე, მათზე მეტად აღარ შევჩერდებით.

ჯავშანსატანკო ბრიგადაში შესაძლოა შედიოდეს ორი-სამი სატანკო ბატალიონი, ერთი-ორი მოტოქვეითი (მოტომსროლელი) ბატალიონი, ერთი-ორი საარტილერიო დივიზიონი (დასავლური ტერმინოლოგიით — ბატალიონი), სადაზვერვო, კავშირგაბმულობის, საინჟინრო-მესანგრეთა, ტანკსაწინააღმდეგო ასეულები, აგრეთვე ზურგის უზრუნველყოფის ქვედანაყოფები. მექანიზებულ ქვეით ბრიგადაში — ერთი-ორი სატანკო დივიზიონი და სამი მოტოქვეითი ბატალიონი, ერთი-ორი საარტილერიო დივიზიონი და დანარჩენი — ჯავშანსატანკო ბრიგადის მსგავსად. ქვეით ბრიგადაში სამი-ოთხი ქვეითი ბატალიონი, ერთი-ორი სატანკო ასეული და უზრუნველყოფის ერთეულები, სამთო-ქვეით (მუბუქ ქვეით) ბრიგადაში სამი-ოთხი მსუბუქი ქვეითი ბატალიონი და უზრუნველყოფის ქვედანაყოფები.

ორი სატანკო და ერთი მოტოქვეითი ბატალიონის, ორი საატრილერიო დივიზიონის და უზრუნველყოფის ქვედანაყოფების მქონე ჯავშანსატანკო ბრიგადაში შესაძლოა შედიოდეს პირადი შემადგენლობის 4-5 ათასი ადამიანი, 100-120 საბრძოლო ტანკი, 100-მდე ქვეითი საბრძოლო მანქანა და ჯავშანტრანსპორტერი, 50-55 საველე არტილერიის ქვემეხი და ნაღმასტყორცნი და სხვა შეიარაღება. თუკი დაემატება მეორე მოტოქვეითი ბატალიონიც, მაშინ შეჯავშნული საბრძოლო მანქანების რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს 140-160 ერთეულამდე.

ერთი სატანკო და 2 მოტოქვეითი ბატალიონის, 2 საარტილერიო დივიზიონის და უზრუნველყოფის ქვედანაყოფებისაგან შემდგარ მექანიზებულ ქვეით ბრიგადაში ჩვეულებრივ არის 50-60 საბრძოლო ტანკი, 140-200 შეჯავშნული საბრძოლო მანქანა (ქვეითთა საბრძოლო მანქანა, ჯავშანსატრანსპორტო საბრძოლო-სადაზვერვო მანქანა და სხვა), 50-55 საველე არტილერიის ქვემეხი და ნაღმსატყორცნი და სხვა შეიარაღება. სატანკო ბატალიონების რიცხვის ორამდე გაზრდისას ტანკების რაოდენობა იქნება 100-120 ერთეულის ფარგლებში.

ქვეით ბრიგადაში შესაძლოა იყოს ერთ სატანკო ბატალიონამდე და 3-4 ქვეითი ბატალიონი, არტილერია და სხვა ერთეულები. მისი არასრული შემადგენლობა იქნება 6 ათასი ადამიანი, ხოლო შეიარაღებაში მათ ექნებათ 50-მდე საბრძოლო ტანკი და დაახლოებით 80 ერთეული საველე საარტილერიო სისტემა. ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია ჩვენი მეზობელი თურქეთის სახმელეთო ჯარების ჯავშანმექანიზებული და ქვეითი ბრიგადების პირადი შემადგენლობა და ძირითადი შეიარაღება 1998 წლის დასაწყისის თავად თურქეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ ეუთოს შტაბბინაში ვენაში წარდგენილი დოკუმენტის მიხედვით.

როგორც უკანასკნელი წლების აღლუმები ადასტურებს, საქართველოს ხელისუფლება, მრავალი განცხადების მიუხედავად, რეალურად არ ზრუნავს ძლიერი შეიარაღებული ძალების და მათ, შორის, სახმელეთო ჯარების ჩამოყალიბებაზე, არ ზრუნავს მისი რიცხოვნების ზრდასა და საბრძოლო შემადგელობაში ჯავშანსატანკო და მექანიზებული ქვეითი (გნებავთ, სატანკო და მოტოქვეითი ან მოტომსროლელი) შენაერთებისა და ნაწილების შექმნაზე, მათ დაბალანსებაზე.

ნათქვამის დასადასტურებლად შევეხოთ სახმელეთო ჯარების რიცხოვნების საკითხს. 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო „ცივი ომის“ პერიოდის სურათი და ევროპის სახელმწიფოებისაგან შედარებით მეტი ზრუნვა საკუთარი ქვეყნის თავდაცვაზე, სტრატეგიული კვლევების ლონდონის სამხედრო ინსტიტუტის მონაცემებით, 5 მილიონიანი ნეიტრალური სახემწიფოს ფინეთის რეგულარული შეიარაღებული ძალები მიითვლიდა პირადი შემადგენლობის 31 800 ადამიანს (მათ შორის, 24 ათას გაწვეულს, ნამდვილ სამხედრო სამსახურის ვადა 8-11 თვე), მათგან 27 390 სახმელეთიო ჯარებში, 2500 სამხედრო-საჰაერო ძალებში და 2000 სამხედრ-საზღვაო ძალებში.

რეგულარული სახმელმეთო ჯარების საბრძოლო შემადგელობაში შედიოდა 11 სასწავლო ბრიგადა (ჯავშანსატანკო და ათიც ქვეითი), ასი ცალკეული ქვეითი ბატალიონი, საარტილერიო ასეული, სანაპირო არტილერიის 2 ასეული და სამი ცალკეული დივიზიონი (ბატალიონი), 4 საზენიტო ასეული და 2 ცალკეული საინჟინრო ბატალიონი. რეგულარულ სახმელეთო ჯარებში მსახურობდა 21 600 გაწვეული, რომლებიც ითვისებდნენ კონკრეტულ სამხედრო-საალრიცხვო სპეციალობას, საბრძოლო ენას, ჩვევებსა და გამოცდილებას. თადარიგში გასვლის შემდეგ ისინი ირიცხებოდნენ უკვე სარეზერვო ბრიგადებსა და ცალკეულ ბატალიონებში (დივიზიონებში), სადაც შემდეგი 10-15 წლის მანძილზე საბანაკო შეკრებებისა და სხვა ღონისძიებების სახით გადიოდნენ საბრძოლო მომზადებასა და გადამზადებას.

ფინეთის სახმელეთო ჯარების სარეზერვო კომპონენტებს მიეთვლებოდა 16 ცალკეული ბრიგადა (ჯავშანსატანკო და 15 ქვეითი, მათ შორის ერთი „ეგერთა“ ქვეითი, იგივე მექანიზებული), დაახლოებით 50 ცალკეული ბატალიონი (დივიზიონი). და ეს ყოველივე შეადგენდა ე.წ. საველე ანუ საბრძოლო ჯარების 35 თუ 40 წლის ასაკს გადაცილებულ რეზერვს. რეზერვისტები საველე (საბრძოლო) ჯარების შემადგენლობიდან გადაჰყავთ ე.წ. ტერიტორიული თავდაცვის ჯარებში, რომლის შემადენლობაშიც მიითვლებოდა დაახლოებით 200 ცალკეული ბატალიონი და ასეული. მათ ეკისრებოდათ საკუთარი რაიონის თავდაცვის ამოცანების გადაწყვეტა — ან ომის დროს შინაგანი უსაფრთხოების დაცვა, მნიშვნელოვანი ობიექტებისა და გზების დარაჯობა და დაცვა, მოწინააღმდეგის დესანტებთან და სადაზვერვო-დივერსიულ ჯგუფებთან ბრძოლა და ა.შ. ფრონტისპირა რაიონებში ტერიტორიული თავდაცვის ჯარებს გადასცემდნენ საველე ჯარების დაქვემდებარებაში, ხოლო მოწინააღმდეგის მიერ დროებით დაკავებულ რაიონებში ტერიტორიული თავდაცვის ერთეულებს ეკისრებოდათ პარტიზანული ბრძოლის გაჩაღება.

90-იანი წლების დასაწყისში მობილიზაციის ჩატარების შემდეგ ფინეთის სარდლობას შეიარაღებულ ძალებში უმოკლეს ვადებში უნდა გამოეყვანა დაახლოებით 700 ათასი ადამიანი, მათგან 500 ათასი იარაღით ხელში, 200 ათასი კი უიარაღოდ — ზურგისა და უზრუნველყოფის სამსახურში. იარაღით ხელში გაყვანილი 500 ათასი რეზერვისტიდან 300 ათასი ნამსახური იყო საველე (საბრძოლო) ჯარებში, 200 ათასი კი ტერიტორიული თავდაცვის ჯარებში. ამ 500 ათასიდან 460 ათასი მოდიოდა სახმელეთო ჯარებზე, 30 ათასი სამხედრო-საჰაერო და 12 ათასი სამხერო საზღვაო ძალებზე, ანუ ფინეთის თავდაცვის სისტემა ისე იყო მოწყობილი, რომ ომიანობის დროს მის ხელისუფლებას შესძლებოდა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად თავისი მოსახლეობის 14%-დე რიცხოვნობის შეარაღებული ძალები გამოეყვანა, მათგან მოსახლეობის 10%-ის რიცხოვნებისა — იარაღით ხელში. დაახლოებით ანალოგიური მაჩვენებლები გააჩნდათ შვეიცარიას, შვედეთს, ისრაელს, ნორვეგიას. ამ სახელმწიფოთა მოსახელობა მშვიდობიანობის და ომიანობის დროს, შეიარაღებული ძალების რიცხოვნება და ძირითადი შეიარაღება 2000 წლის მონაცემებით, ნაჩვენებია II ცხრილში.

ამ ფონზე 1990-იანი წლების დასაწყისში მაშინდელი ევროთათბირის, ამჟამად ეუთოს ეგიდით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს (ასევე აზერბაიჯანსა და სომხეთს) დაუდგინეს, რომ მშვიდობიანობის დროს მის ტერიტორიაზე მუდმივად შესაძლებელია განლაგებული იყოს არა უმეტეს 220 საბრძოლო ტანკის, 220 მოჯავშნული საბრძოლო მანქანის, 185 საველე საარტილერიო სისტემის, 50 დამრტყმელი ვერტმფრენისა და 100 საბრძოლო თვითმფრინავის. აქედან თვალნათლივ ჩანს, რომ ჯავშანსატანკო ტექნიკისა და საველე არტილერიის კვოტები მიზერულადაც კი ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის თავდაცვის უნარის მქონე რიცხოვნების შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ მოთხოვნილებებს.

ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება არც კი ფიქრობს ქვეყნის თავდაცვაზე, და თუკი დღეს საქართველოს პირდაპირ არ იპყრობენ უცხოური ჯარები, ეს იმიტომ, რომ იგი უკვე დაპყრობილია „ყველა“.

ქართულ საზოგადოებას წინა საუკუნეებში არასოდეს დაუწყია სულიერი, ზნეობისა, მორალისა და საკუთარი გონებრივი წყობის ჰარმონიზაციაში მოყვანა სპარსული და არაბული სამყაროს, მონღოლების, სელჯუკებისა და ოსმალების სულიერ ფასეულობებთან; ვერც ბიზანტიისა და რუსეთის ფასეულობები მივიღეთ, ვინაიდან ისინი ხშირად სულზე უფრო წინ უხეშ ძალას და ხისტ ადმინისტრირებას აყენებდნენ. დღესაც ასევე ხდება. მხოლოდ დღეს ჩვენთან იარაღის გამოყენება ისე აღარ სჭირდებათ, ვინაიდან იარაღის ძალით ერთმანეთი ჩვენივე ხელით უკვე დაგვაქცევინეს. ახლა ფულით, ბანკებით, კრედიტებით, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით, აგრეთვე ხელისუფლებაში თავიანი ყურმოჭრილი ყმების მოყვანით, არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობის სახით ჩვენს საზოგადოებაში თავიანთი ე.წ. მეხუთე კოლონის შექმნით აგერ უკვე 14-წლიანი პროცესის შედეგად ახდენენ საქართველოს ანექსირებას განათლების, მეცნიერების, ზნეობისა და მორალის სფეროში. ტელეეთერის, ბეჭდური გამოცემებისა და ინტერნეტის მეშვეობით ამკვიდრებენ ისეთი „დასავლური ფასეულობების“ დამაგრებას ჩვენში, როგორებიცაა მომხვეჭელობა ფულისა და სიმდიდრის მისაკუთრება ათასგვარი უზნეობისა და სიბინძურის, გარყვნილებისა და სიმახინჯის ჩადენა, სოდომ-გომორული ცოდვებისაკენ ბიძგება.

განა ეს არ არის მართლმადიდებლური საქართველოს ანექსია? განა შეიარაღებული ძალით დაპყრობის შემდეგ ამაზე ბევრად უარესს გააკეთებდნენ მტრები? ყოფილა უფრო მეტი ძნელბედობის ხანაც, მაგრამ დღეს რაც ხდება, ჩვენი აზრით, აშკარად ატარებს ანექსიის გამოკვეთილ ნიშნებს. საქართველოს ხელისუფლებაც სავსებით კმაყოფილი ჩანს — საკუთარი უკმაყოფილო მოსახლეობის წინააღმდეგ გამოსაყვანი ძალები გააჩნია — მცირერიცხოვანი „სამშვიდობო ჯარებიც, უცხო მოძალადეებთან ჭიდაობას არ აპირებს და ფართოდ უხსნის ჩვენს ქვეყანაში ყველა შესასვლელს, ზღუდავს მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებს და ა.შ. ჩვენს ხელისუფალთ უნდა ახსოვდეთ, რომ ღვთის სამსჯავროს ვერავინ გაექცევა. ღმერთი, ისევ თავისი კაცთმოყვარეობით ამ ქვეყნადვე მოუვლენს ხოლმე განსდაცდელს ასეთ ადამიანებს, რათა დაფიქრდნენ, შეინანიონ და ხელისუფლებაში ყოფნისას არა საკუთარ სტომაქსა და ჯიბეებზე, არამედ საკუთარ ხალხზე იფიქრონ, ან, საერთოდ, ჩამოშორდნენ ხელისუფლებას და აკეთონ ის საქმე, რისი კეთებაც მართლა შეუძლიათ.

ირაკლი ხართიშვილი

ცხრილი 2

ქვეყანა	მოსახლეობა, ადამიანი	შეიარაღებული ძალების რიცხოვნება, ადამიანი		საბრძოლო ტანკები	მოჯავშნული საბრძოლო მანქანები	საველე არტილერია	საბრძოლო თვითმფრინავები
		მშვიდობიანდროს	ომიანობის დროს				
ფინეთი	5138000	31700	500000	230	1063*	1937	64
შვედეთი	8947000	52700	570000	537	2067	1050	250
შვეიცარია	7090000	*	351000	556	1538*	1092	154
საბერძნეთი	10692000	159170	450300	1735	2475	1894	458**
ისრაელი	6200000	172500	597500	3900	9900	2343	696**

შენიშვნა: * ფინეთისა და შვეიცარიის შედარებებში იგულისხმება არასაბრძოლო დანიშნულების მოჯავშნული მანქანების გარკვეული რაოდენობაც.

** გარდა ამისა, საბერძნეთის შეიარაღებაში ნაჩვენები იყო 20 და ისრაელის შეიარაღებაში 133 დამრტყმელი (ტანკსაწინააღმდეგო) ვერტმფრენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუ-იორკის ტერაქტი – ახალი ეპოქის მიჯნა?

11 სექტემბრის ტერაქტის მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით ჟ. The Economist მკითხველს სთავაზობს ვრცელ პოლიტიკურსა და მორალურ მედიტაციას იმაზე, თუ რა მოხდა, რატომ მოხდა და რას მოასწავებს მომხდარი სამომავლოდ. წერილთა ტონალობა პესიმისტურია. ჟურნალი ფიქობს, რომ ზოგი რამის აცილება, რაც შემდეგ მოხდა და კატასტროფა გააღრმავა, შეიძლებოდა და რომ ამერიკელი საზოგადოება პირველი რეაქციისაგან – სიმწრისა და მორალური აღშფოთებით გამოწვეული ერთიანობის სულისკვეთებისაგან – გამოფხიზლების შემდეგ ლამის ფსიქოლოგიური ჩიხის ვითარებაში იმყოფება. რატომ?



ვინ არის და რა არის ალ ყაიდა?

პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ტერაქტში ტრაგიკულად გამოჩნდა მოწინააღმდეგე, რომელიც ალ-ყაიდას დამარცხებით და თუნდაც სრული ფიზიკური განადგურებით არ ისპობა: ეს მოწინააღმდეგეა თვით იდეა, რომ ისლამს ყველგან უტევენ ურჯულონი და რომ აუცილებელია საღვთო ომი – „ჯიჰადი“ მათ წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1998 წელს ბინ-ლადენმა გამოაქვეყნა დეკლარაცია ისლამური ფრონტისა „ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ“. ჟურნალი ფიქრობს, რომ, ავღანეთის ომში საბჭოთა კავშირზე გამარჯვებით სულჩადგმულნი, ჯიჰადისტები იმედოვნებენ მეორე სუპერძალის – ამერიკის – დამხობასაც. სამწუხარო ფაქტი ისაა, რომ ამ სულისკვეთების მატარებელ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლა დღეს, ხუთი წლის თავზე, ამერიკელებისათვის მართლაც არასახარბიელო შედეგებით მიმდინარეობს.

სახელდობრ, ავღანეთში ამერიკელებმა თუმცა თავდაპირველად გამარჯვებას მიაღწიეს, – ფუნდამენტალისტი თალიბები ხელისუფლებიდან განდევნეს და საქმე გაუყალბებელი არჩევნებით წარმომადგენლობითი ხელისუფლების შექმნამდის მიიყვანეს, რითაც შეუქცევადად წაართვეს ალ ყაიდას ავღანეთი, როგორც თავშესაფარი და საწვრთნელი ბაზა, – მაგრამ შემდეგ თალიბებმა მნიშვნელოვანი პოზიციები მოიპოვეს ქვეყნის სამხრეთში და ამჟამად ამერიკელებისთვის მოუხელთებელნი არიან. ამის გამო ავღანეთის ომი მხოლოდ სანახევროდ მოგებულად უნდა ჩაითვალოს. ერაყში კი ომი ამერიკელებისთვის სრულებით წარუმატებელია, ვინაიდან იგი უცვლელი მდგომარეობითა და დიდი მსხვერპლით გრძელდება უკვე სამნახევარი წელიწადია და ვინაიდან იგი უკვე დიდწილად შიიტებსა და სუნიტებს შორის წარმოებული სექტანტური ომის ელემენტით გაჯერდა (იმაზე, რომ მუსლიმანთა ეს ურთიერთდაპირისპირება შეიძლება ხელს აძლევს შემტევ მხარეს, ჟურნალი დუმს). თავდაცვის მდივნის, რამსფელდის შეცდომა იყო ერაყული არმიის დაშლაც და საკმარისი ამერიკული ძალის არშეყვანაც ერაყში, მაგრამ ყველაზე დიდი შეცდომა, ჟურნალის აზრით, იყო ბუშისა და ბლეირის სიჯიუტე: მას შემდეგ, რაც ერაყში მასობრივი მოსპობის იარაღი ვერ იპოვეს, ამ ორმა ერაყის ოპერაციისათვის ახალ-ახალი გამამართლებელი მოტივების ძებნა დაიწყეს სადამ ჰუსეინის დიქტატურის თვითმიზნური დამხობის მოტივის ჩათვლით, რის შედეგადაც დასავლეთის დიდი დისკრედიტაცია მოხდა მუსლიმანთა თვალში ლისუფლებთან, როგორიცაა საუდის არაბეთი და პაკისტანი, რომ მათ ვერ წარმართეს ამერიკელების წინააღმდეგ მიმართული ემოციური მუხტი დიქტატორულივე არაბული ისლამური სახელმწიფოების დიქტატორთა წინააღმდეგ და დამაჯერებელი შეიქმნა ბინ ლადენის პროპაგანდა, ამერიკელები მართლაც ისლამს ებრძვიანო, ერთის მხრივ, და ნავთობზე ნადირობენო, მეორეს მხრივ. ამ მოტივთა შორის ისიც გამოერია, რომ, თითქოს, დასავლელები იბრძვიან ზომიერ ისლამისტთა მხარდასაჭერად ექსტრემისტულად განწყობილთა წინააღმდეგ, ისევე როგორც დემოკრატები იცავენ დიქტატურის წინააღმდეგ. ამგვარი არგუმენტები, ჟურნალის აზრით, აღარ გადის არც დასავლეთში და, მით უმეტეს, არც აღმოსავლეთში, რადგან, ჯერ ერთი, თვალსაჩინოა, რომ ამერიკელებს არ აწუხებს დემოკრატიის არარსებობა მათს მოკავშირე არაბულსავე ქვეყნებში, თვით საუდის არაბეთის ჩათვლით, მეორეც, ცნობილია, რომ სადამ ჰუსეინი გამოხატულად საერო მიმართულების დიქტატორი იყო და არა ისლამისტური, მესამეც, ვის რა უფლება აქვს სხვა ქვეყანაში ჩარევისა იქ დემოკრატიის დანერგვის მიზნით? ამიტომ, რაგინდ სწორი იყოს ერაყში დემოკრატიის ხელშეწყობა დღეს, ეს მიზანი, ჟურნალის აზრით, ვერანაირად ვერ გამოდგება ომის დაწყების გამართლებისთვის მაშინ, როცა ამერიკელები ჯერ ერაყში შესულნი არ იყვნენ. ბუშის დიდ შეცდომად ჟურნალს მიაჩნია ისიც, რომ იგი, წინააღმდეგ ბლეირის რჩევისა, აქტიურად არ შეეცადა პალესტინის სახელმწიფოს რეალურად შექმნასა და ფეხზე დაყენებას და რომ მან ორიენტაცია აიღო ადამიანის უფლებათა შემლახავ პოლიციურ ნაბიჯებზე გუანტანამოს მსგავსი ჯურღმულების ორგანიზების გზით.

მეორეს მხრივ, ალ ყაიდას წარუმატებლობა – მაგრამ არა ამერიკელების წარმატება – არის ის, რომ ჯიჰადისტები კონფლიქტში აღმოჩდნენ ისეთ რელიგიურად ორიენტირებული ისლამური სახელმწიფოების ხელისუფლებთან, რომელთა ტერორისტული ორგანიზაციებიც ეს ტერორისტები თვითონ არიან. ტერორისტი ჯიჰადისტები კარგად აგებენ მითს, რომელიც პალესტინის, ლიბანის, ქაშმირის, ჩეჩნეთის, ერაყისა თუ ავღანეთის მოვლენებს ერთ ჯაჭვად აბამს და ერთ მოვლენად აღიარებს, და ზედ თვით ბოსნიის მოვლენებსაც ათვლიან, სადაც ნატომ სწორედ მუსლიმანები დაიცვა ქრისტიანებისაგან და არა პირიქით. ანალოგიური უსაფუძვლო ინტერპრეტაცია, ოღონდ საპირისპირო მიმართულებისა, ვრცელდება, ჟურნალის სიტყვით, დასავლეთშიც, სადაც ფიგურირებს ფორმულირება, რომ ტერორისტები ებრძვიან „დასავლურ ღირებულებებს“, როგორც ასეთს, და არა დასავლეთში არსებულ რომელსამე ძალას ან დასავლეთს მთლიანად.

ჟურნალი შეგვახსენებს, რომ, რა თქმა უნდა, ისლამურ ქვეყნებში მიმდინარე ყველა კონფლიქტი ისლამისტური წარმოშობის არაა. მაგალითად, ჰამაზი – ძალიან სახიფათო და დაუნდობელი მებრძოლი ორგანიზაცია – მოტივირებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ლოგიკით და არა რელიგიურით. რა თქმა უნდა, ტერორი ალ ყაიდას მოგონილი არ არის, ისევე, როგორც ახალი არაა ისლამის დაპირისპირება ქრისტიანობასთან, მაგრამ ალ ყაიდას საქმიანობა მაინც ახალი მოვლენაა: მას აქვს არა რეალურად კონკრეტული, არამედ ფანტასტიკური და განუხორციელებელი განცხადებები – რეჟიმთა მასობრივი გადაგდება, ისტორიის შემობრუნება, ხალიფატის შექმნა. ამიტომ ჟურნალი ვარაუდობს, რომ მას სინამდვილეში სხვა ფსიქოლოგიური ზამბარები აქვს, ვიდრე სარწმუნოებრივი გზნება – მის ფანტასტიკურ მიზნებს უკან კვლის გაუმძღარი მისწრაფება იმალება, რომელიც დღეს ღიად აცხადებს, რომ ბირთვულ იარაღს ესწრაფვის. რა იმალება ამ მისწრაფების უკან, ისევე როგორც დღეს მოდური სიტყვის – „ცივილიზაციათა შეჯახების“ – უკან, ამაზე ჟურნალი არაფერს ამბობს, – შესაძლოა, იმიტომაც, რომ მკითხველის გრძნობას ინდობს. ის ხომ არა, რომ დედამიწაზე ადამიანთა დატევა უფრო და უფრო ძნელი ხდება და ის ძალიან დიდი მასა, რომელიც გრძნობს, რომ იგი პლანეტიდან, ადრე თუ გვიან, მეორე, უფრო განვითარებულმა დიდმა მასამ უნდა განდევნოს, ჩქარობს, სანამ შეუძლია, თავის ამ მტერთან ანგარიშსწორებით თავისი ხვედრი ფსიქოლოგიურად გაიადვილოს?

რეპლიკა

გაზეთი „ქრონიკა“, თავის 2005 წლის 10-16 ოქტომბრის ნომერში, რომელიც ახლა შემთხვევით მომხვდა ხელთ, ათავსებს მასალას სათაურით „ყველაფერი პრეზიდენტ გამსახურდიას გარდაცვალებაზე“, სადაც წერს: „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იქმნება კრიმინალური ბანდები (ლაპარაკია 1989-1990 წლებზე. ნ.ნ.), ჯ.იოსელიანის მხედრიონი, თ. კიტოვანის ე.წ. გვარდიელები, რომლებიც თბილისის ზღვის ტერიტორიაზე დაბანაკდნენ, ყარყარაშვილის „თეთრი არწივი“, ნ. ნათაძის „იმედი“ და სხვები, რომლებიც მასიურად ეწევიან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიმართ ყაჩაღურ თავდასხმებს, არ ერიდებათ მკვლელობების, ქმნიან ქაოსურ სიტუაციას, აშინებენ ხალხს“.

„იმედის“ მიმართ ამ საზიზღარ ცილისწამებასთან დაკავშირებით ჩემი მოვალეობაა და უფლებაა განვაცხადო შემდეგი. „ერის ღირსების დამცველთა ორგანიზაცია „იმედი“ სახალხო ფრონტთან შეიქმნა სახალხო ფორნტის დაარსებისთანავე 1989 წლის ზაფხულში. მას დაწესებული ჰქონდა და მის წევრებს მიღებული ჰქონდათ სამხედრო ფიცი, რომლის ერთერთი პუნქტი იყო ის, რომ არასოდეს არავითარ პირობებში ქართველს არ ესვრიან, და არც ერთ მის წევრს, რომელიც „იმედში“ დარჩა ბოლომდე, ეს ფიცი არ დაურღვევია. როგორც კი შეიქმნა საქართველოს პირველივე ოფიციალური შეიარაღებული ძალა – „საქართველოს ეროვნული გვარდია – შინაგანი ჯარი“ – „იმედი“ მთელი შემადგენლობით მასში შევიდა და მასში დარჩა. მისმა პირადმა შემადგენლობამ შეადგინა ეროვნული გვარდიის ერთერთი ბატალიონის პირადი შემადგენლობის ძირითადი ბირთვი. „იმედი“ ყოველთვის იყო იქ – და მხოლოდ იქ, – სადაც ეკუთვნოდა ყოფნა თავისი ოფიციალური სამხედრო დაქვემდებარებისა და კანონის შესაბამისად. იგი იდგა თბილისის ზღვაზეც ორიოდე კვირის მანძილზე, მაგრამ შემდეგ საკუთარი ინიციატივით ოფიციალურად და ღიად განუცხადა გვარდიის სარდლობას (იქვე, თბილისის ზღვაზე მყოფს), რომ გვარდიაში ველარ დარჩება, ჩააბარა თავისი იარაღი და წამოვიდა თბილისის ზღვიდან შინ. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მკითხველმა იცოდეს, რომ არავითარი სხვა ფიცი, გარდა „იმედის“ ზემოთ ნახსენები ფიცისა, „იმედს“ არავის წინაშე მიღებული არ ჰქონდა და, ამგვარად, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თბილისის ზღვიდან წამოსვლის შესახებ არ იყო მის მიერ მხედრული მოვალეობის ღალატი. წამოსვლის მიზეზი, ცხადია, იყო ის, რომ ცხადი ხდებოდა მოვლენების ტრაგიკული და სამარცხვინო განვითარების პერსპექტივა, რომლის წინააღმდგომაც „იმედს“, პრაქტიკულად, არ შეეძლო.

„იმედის“ პირადმა შემადგენლობამ შემდეგში იომა ცხინვალის ზონაში და აფხაზეთში, მაგრამ არა „იმედის“ სახელით, არამედ გვარდიის ზემოხსენებული ბატალიონის შემადგენლობაში, რომლის მეთაური ისევ იმედის თავკაცი (მეთაური), პოლკოვნიკი დავით ხომასურიძე იყო. არავითარი ძარცვა, მკვლელობა, ხალხის დაშინება და სხვა დანაშაული „ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის“ ისტორიაში არ არის. ბინძური ცილისწამება „ქრონიკის“ მხრიდან (ეს გაზეთი, რამდენადაც ვიცი, „ალიას“ შვილობილი გაზეთია), ჩემის ანგარიშით, დავალებულია იმავე საზღვარგარეთული, მაგრამ საქართველოში დიდი საცეცების მქონე ორგანიზაციის მიერ, ვის მიერაც ორგანიზებული იყო 1991-1992 წლების გადატრიალება.

ნოდარ ნათაძე

ვინ არის ამერიკელი ერი და რაა მისი პეტრსპექტივა?

ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალში საცემი, რასაც ჟურნალი ხედავს ამერიკელების რეაგირებაში 11 სექტემბრის ტერაქტზე და მათს მოქმედებაში მას შემდეგ, ისაა, რომ ტერაქტმა ამერიკელები დარაზმა, ისინი ფსიქოლოგიურად ძალიან მძლავრად შეაკავშირა, ახლა კი, ტრაგედიიდან ხუთი წლის თავზე, ამერიკაში შინაგანი პარტიული დაყოფები ყვავის. მაშინ, ხუთი წლის წინ, რესპუბლიკელები და დემოკრატები ეთმანეთს ხელს ჰხვევდნენ ვიდეოკამერების წინ და ყველანი ერთად უყოყმანოდ უკუაგდებდნენ იმათ აზრს, ვისაც უნდოდა მომხდარი ტრაგედია მიეჩნია, უბრალოდ, ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელად „წარმართებისათვის, აბორტის მკეთებლებისათვის, ფემინისტებისათვის, ცისფერებისათვის და ლესბოსელებისათვის“. ერს მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი, სამაგიერო მიეზღო დამნაშავეთათვის და ისინი უვნებელეყო. მან შეიგნო, რომ დამთავრდა „ისტორიის დასვენების დღე“, რომელიც პირველი ნომერი მტრის — საბჭოთა კავშირის — დაშლას მოჰყვა, რომ ამერიკის მოუწყლვადობა დღეს უკვე მითია და რომ ქვეყანა თავდასხმის ყოველდღიური შესაძლებლობის წინაშე დგას. 11 სექტემბერსვე ბუშმა განაცხადა, რომ ქვეყანა ომის მდგომარეობაშია. მან თქვა აგრეთვე, რომ არ განასხვავებს ტერორისტს იმისაგან, ვინც მას ინახავს. ამას „ბუშის დოქტრინა“ ეწოდა. პარალელურად, ამერიკას აღეძრა ინტერესი „სულის ძიებისადმი“, ანუ პასუხის ძებნისადმი კითხვაზე „რატომ ვძულვართ მათ?“ და წიგნები ისლამის შესახებ ბესტსელერები გახდა. გამოცხადდა აგრეთვე, რომ ამერიკა მხოლოდ ტერორისტების განადგურებაზე კი არ იფიქრებს, არამედ მათი წარმოშობის მიზეზებითაც დაინტერესდება იმავე წესით.

ხსენებული დოქტრინა, ჟურნალის სიტყვით, ემყარებოდა ორ წანამძღვარს. პირველი: ამერიკას აქვს იმის ძალა, რომ მსოფლიო თავის ნებაზე დაალაგოს (როგორც ომთა მიმდინარეობის დღევანდელი სურათიდან ჩანს, მთლად ასე არ არის). მეორე: ამერიკა მოწყლვადია, იგი მისაწვდომია კიდევ უარესი დარტყმისათვის, ვიდრე ის, რომელიც მიიღო (ჯერჯერობით უარესი დარტყმა არ მომხდარა). ვიცე-პრეზიდენტმა ჩეინიმ თქვა „თუ ერთი პროცენტია შანსი, რომ ტერორისტი ხელთ იგდებს მასობრივი განადგურების იარაღს, ამერიკა ისე მოიქცევა, როგორც მოიქცეოდა ამ ცნობის უტყუარობის შემთხვევაში“. ამას „ერთი პროცენტის დოქტრინა“ ეწოდა.

ჟურნალი აღნიშნავს ტერაქტზე რეაგირების სხვა მომენტსაც, თუმცა აღწერილი ფაქტიდან გამომ-

დინარე ყველა დასკვნა არ გამოაქვს. ეს ფაქტია ბუშის პოპულარობის სასწაულებრივი ავარდნა ტერაქტის საპასუხოდ. მანამდე ბუშის მოწონება 50%-ზე დაბალი იყო, ტერაქტის შედეგად იგი ავიდა 90%-ზე და აღარ ჩამოვიდა 60%-ზე დაბლა 16 თვის მანძილზე, რაც რეკორდია ამერიკის პრეზიდენტებისათვის მეორე მსოფლიო ომის დამთავრების აქეთ. პოპულარობის ეს ავარდნა გამოყენებულ იქნა აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებათა უპრეცედენტო გაზრდისათვის. ბუშმა თავი „ომის პრეზიდენტად“ გამოაცხადა. ხოლო დასკვნა, რომელიც აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარეობს, მაგრამ ჟურნალში არ ფიგურირებს, ისაა, რომ პრეზიდენტის პოპულარობა ანუ მისი თანადგომა ხალხის მხრიდან გაიზარდა მისი როლისა და დატვირთვის ობიექტური გაზრდის გამო, და არა მის მიერ ამა თუ იმ ამოცანის წარმატებული გადაჭრის გამო, ანუ მოსახლეობამ მს მიაშურა მისი ამოცანისა და საჭიროების გამო და არა მისი უკვე დადასტურებული პოზიტიური მახასიათებლების გამო. (ამ განწყობასა და ამ რეაქციას პოლიტიკურად ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში „ბელადომანიის“ სიმპტომად თვლიან ხოლმე. ზეგანვითარებული და დემოკრატიული დიდი ქვეყნებისადმი ამ ტერმინის მიყენება ჯერ არ მომხდარა. რედ.).

დღევანდელი მწვავე და ემოციურად დამუხტული პარტიული დაყოფა ამერიკაში (რესპუბლიკელები აქეთ და დემოკრატები იქით) იკვებება ერთზე მეტი უთანხმოებით. ის ერთი, ყველაზე თვალსაჩინო, არის დამოკიდებულება ერაყის ომისადმი. ომი რომ დაიწყო, მას მხარს უჭერდა რესპუბლიკელების 80% და დემოკრატების 69%. რომ გაირკვა, რომ სადამს მასობრივი განადგურების იარაღი არა აქვს და რომ გამოჩნდა აშერიკელების ამ ომში ჩაფლობის ფაქტი, მოწინააღმდეგეთა პროტესტმა რისხვის ტალღის მასშტაბი მიიღო. ცნობილია, როგორ იმოღვაწა რესპუბლიკელმა „ქორმა“, თავდაცვის მდივნის მოადგილემ ვოლფოვიცმა (დღეს იგი მსოფლიო ბანკის თავმჯდომარეა). მეორე პუნქტია დამოკიდებულება ამერიკის საგარეო როლისადმი საერთოდ. მემარცხენე ელემენტი (დემოკრატიული პარტიაც) ეჭვით უყურებს ძალის პოლიტიკას ამერიკის საგარეო კურსში, კონსერვატორები მას ემხრობიან ძალიან დიდი პროცენტული სხვაობით. ზოგადად, ეროვნული უსაფრთხოების თემა (რაშიც კონსერვატორებს, ტრადიციულად და ბუნებრივად, ხალხის მეტი ნდობა აქვთ, ვიდრე დემოკრატებს, რომელთა აქცენტი ძირითადად ჯანდაცვასა და განათლებაზე მოდის) უფრო და უფრო წინა პლანზე გადმოდის მოსახლეობის დაინტერესების მხრივ. ტერაქტამდე გამოკითხულთა მხოლოდ 12% აყენებდა ამ როლს პოლიტიკის სასურველ პრიორიტეტად „მსოფლიო საქმეებში“. დღეს ამ თემას უმრავლესობის თვალში ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამ ინტერესს, რომლის წანამძღვარია (როგორც უკვე ვთქვით) ამერიკის მოწყლვადობის განცდა, კვებავს წარსულიც, ვიეტნამის ომში ხელმოცარვის სახით, და აწმყოც, როცა ამერიკული დაზვერვა იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ ერაყში აკრძალული იარაღების არსებობა-არარსებობის სწორი დიაგნოსცირება ვერ მოახდინა. ამერიკის სისუსტისკენ წარმართავს მოქალაქის აზრს ქარიშხალი „კატრინას“ მიერ მოტანილი უბედურებების მასშტაბიც, რომელსაც სახელმწიფო წინ ვერ აღუდგა. დაბოლოს, აზრთა გულმხურვალე პოლარიზაციის ერთი საგანია თვით ბუში, რომელიც მომხრეთა თვალში რეგანისებრი პრეზიდენტია, მოწინააღმდეგეთა თვალში კი ამერიკის ყველაზე ცუდი პრეზიდენტი ისტორიაში.

„თავისუფლების პარადოქსი“

დასასრულ, ჟურნალი ბეჭდავს პატარა წერილს იმ მწუხარე აზრის გამოსახატავადაც, რომ „თავისუფლება პირველი მსხვერპლია ომში, რომელიც მისი სახელით წარმოებს“. ამერიკელების მიერ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დაწყებული ომი ტერორიზმის წინააღმდეგ არის „ომი თავისუფლებისათვის“ (ბუშის სიტყვებია). ამ ახლებურ ომს ახლებური წესებიც მოჰყვა, რომლებმაც, რეალურად, შეამცირა თავისუფლების ზომა. რამსფელდს აქვს ნათქვამი „ჩვენ შევცვლით წესებსო“ (იგულისხმება: ომის ტრადიციულ წესებს). ბლეირმა თქვა ლონდონის ტერაქტის შემდეგ „ნურავის ეპარება ეჭვი, რომ თამაშის წესები შეიცვლება“. მისმა შინაგან საქმეთა მინისტრმა კი თქვა „მოქალაქეობრივი თავისუფლების არგუმენტები იმდენად მცდარი არ არის, რამდენადაც

სხვა საუკუნეებისთვის შექმნილი“.

იმ მრავალრიცხოვან ქვეყნებს შორის, რომელთაც შემოიღეს ახალი რეპრესიული კანონები ტერორიზმის წინააღმდეგ, ამერიკამ და ინგლისმა ეს ყველაზე უფრო ხალისით ქმნეს. ამერიკაში ძალიან გაფართოვდა ხელისუფლების მიერ მოქალაქის თვალყურის დევნების უფლებები. დაშვებულ იქნა სასამართლოს მიერ მიცემული ორდერის ქონის შემთხვევაში სატელეფონო მოსმენა, ელექტრონული ფოსტის წაკითხვა, ბიბლიოთეკაში მოთხოვნილი წიგნების სიის შემოწმება, ბანკის ანგარიშების, ჯანმრთელობის დოკუმენტების შემოწმება და ა. შ. იმ შემთხვევაშიც კი, როცა არ არსებობს „გონივრულად მიტანილი ეჭვი“. ამავე დროს ბუშმა კანონდარღვევით დაუშვა უორდერო თვალყურიც თავის ქვეყანაში. ეს იმით გაამართლა, რომ ომის პირობებში მყოფი მთავარსარდლის კონსტიტუციურ უფლებებს იყენებდა.

შეიპყრეს მრავალი ასეული უცხოელი, ყოველნაირად შეამოწმეს, მაგრამ ვერც ერთი ტერორისტი ვერ აღმოაჩინეს. შემდეგ შექმნეს საპატიმრო გუანტანამოს ამერიკულ ბაზასთან კუბაზე და ამით გაამართლეს ის, რომ იქ პატიმრების დამცველი ამერიკული კანონი არ გავრცელდა. იქ პატიმრები იმყოფებიან ბრალდების გარეშე, ადვოკატის გარეშე და ჩვეულებრივი სასამართლოს წინაშე წარდგომის უფლების გარეშე, აგრეთვე — დაუსრულებელი ომის დასრულებამდე გათავისუფლების შანსის გარეშე. პატიმართა ნაწილი გადაეცემა „მესამე ქვეყნებს“, სადაც არ არსებობს შეზღუდვა დაკითხვის მეთოდებზე და წითელი ჯვარიც კი ვერ შედის.

„ანტიტერორისტული“ კანონები განუხრელად ფართოვდება და მკაცრდება. დასჯადია ტერორიზმის თვით „არაპირდაპირი სტიმულირებაც“ (Incitement) და „ქებაც“ (Glorification განდიდებაც) კი. ეჭვმიტანილი ტერორისტი კავდება ბრალდების წაყენების გარეშე 28 დღით, ანუ მეტით, ვიდრე რომელსამე სხვა ქვეყანაში, და განზრახულია ამ ვადის გაორკეცება. ამერიკაში ეჭვმიტანილი ტერორისტი შეიძლება დაკავდეს როგორც „მოწინააღმდეგის კომბატანტი“ საომარ მოქმედებათა დამთავრებამდე. როცა არაა საკმარისი მტკიცებულებები სასამართლოს წინაშე წარდგენისათვის, შესაძლებელია თითქმის შინაური პატიმრობა სასამართლოს გარეშე 12-თვიანი პერიოდებით, რომლებიც შეიძლება განუსაზღვრელჯერ განმეორდეს.

ბრიტანელმა მოსამართლეებმა მიიღეს რიგი გადაწყვეტილებები, რომლებმაც (როგორც პრეცედენტებმა) შეამსუბუქეს ეჭვმიტანილთა მდგომარეობის ზოგი ასპექტი. ამერიკის უზენაესმა სასამართლომ გუანტანამოს პატიმრებს მიანიჭა თავისი დაკავების გასაჩივრების უფლება სასამართლოში, მათზე გავრცელდა პატიმართან მოპყრობის ჟენევის კონვენციები და სამართლიანი გასამართლების უფლება.

ჯამში, მდგომარეობის დასახასიათებლად უკვე გაისმის გამოთქმები „პოლიციური სახელმწიფო“, „საპრეზიდენტო ტირანია“ და სხვა ამგვარი. ტრიალებს აზრი, რომ „დემოკრატიას ტერორი იმდენად ვერ აზარალებს, რამდენადაც მასზე პასუხი“. მეორეს მხრივ, სხვანი წერენ, „რა იქნება, თუ ლიბერალური დემოკრატიები განვითარდებიან იმ წერტილამდე, რომ აღარ შეეძლებათ ეფექტიანი ომი, რადგან მიაღწიეს სხვებზე ჰუმანიტარული ზრუნვის ისეთ დონეს, რომელიც თრგუნავს მათი რეალური ეროვნული ინტერესების ცივი მიყოლის უნარს“.

საზოგადოებრივი აზრი დღეს ამ მეორეთა მხარეზეა. გამოკითხვები ამერიკასა და ინგლისში გვიჩვენებენ, რომ მეტნი ფიქრობენ, მთავრობა ყველა ზომას არ იღებსო ტერორისტების წინააღმდეგ, ვიდრე პირიქით.

ბრიტანელები მუსლიმანდებიან. რატომ?

ინგლისში 1,6 მილიონი მუსლიმანია, ამათგან 14200 ქრისტიანობიდან მოქცეული. პაპმა ამას წინათ განაცხადა, რომ ხდება „ძალადობით“ მოქცევა, და როცა ამან მწვავე რეაქცია გამოიწვია, მოიბოდიშა. მოქცეულთა შორის დიდი რაოდენობა აფრიკა-აზიის იმიგრანტებია, მაგრამ არიან ბრიტანელებიც — კაცები და ქალები — მაღალი წრის ჩათვლით. კვლევები (ჯერჯერობით მცირე) იძლევა ისლამზე მოქცევის რამდენსამე მოტივაციას: ქალს უნდა ისლამისთვის სავალდებულო თავსაფრის ტარება, რათა გამვლელებმა არ განიხილონ იგი, როგორც სქესის საგანი. ქალს მოსწონს მუსლიმანური ოჯახის წყობა, სადაც კაცია მარჩენალი და მმართველი. მოქცეულს უნდა გაექცეს ნარკოტიკების ხმარებას (რასაც ისლამი მკაცრად კრძალავს). მოტივია (უპირატესად — კაცებში) პროტესტი ინგლისის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

არსებობს უამრავი არასამთავრობო ინიციატივები, რომლებიც ამ მოქცეულებს ინტეგრაციაში ეხმარებიან. არის მოსაზრება, რომ ეს მოსახლეობის სწორედ ის კატეგორიაა, რომლის საშუალებითაც გაადვილდება ინგლისში მუსლიმანური მოსახლეობის ნაყოფიერი ინტეგრაცია ადამიანთა ძირითად მასაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ვიბრძოლა (ჯერჯერობით) ლიბანის ომში?

(ახალი აღმოსავლეთის მოვლენათა ახალი ხვეული)

ამ ომის შესახებ ჟ. The Economist წერს, ასიმეტრიულ საომარ მოქმედებებში გამარჯვების კრიტერიუმებიც ასიმეტრიულიაო. თავის მთავარ პუბლიკაციას ამ თემაზე იგი მაინც სათაურად არქმევს „ნასრალლა ომს იგებს“ (ჰასან ნასრალლა ლიბანის ჰიზბულლას ლიდერი გახლავთ) და ჩამოთვლის მხარეთა მიღწევებს ამ ომის შედეგად.

რა უნდოდა ისრაელს ამ ომით? მას უნდოდა ლიბანში მყარად ფეხმოკიდებული ისლამური მებრძოლი ორგანიზაციის „ჰიზბულლას“ განადგურება, რაც, ჟურნალის სიტყვით, იმთავითვე აბსურდული გეგმა იყო. ამას მან ვერ მიაღწია. დაიდო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და მიღებული იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომლის ძალითაც მხარეები (თითქოს) დაშორიშორდნენ, ჰიზბულლას დაევალა განიარაღება, ისრაელს კი ლიბანის დაკავებული ტერიტორიებიდან გასვლა და ა.შ.. რა უნდოდა ჰიზბულლას? მას უნდოდა გადარჩენა, როგორც ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ერთეულისა მიუხედავად იმისა, რომ იგი საძულველია არა მხოლოდ ისრაელისათვის, არამედ ლიბანის მთავრობისთვისაც, რომელსაც (ისევე, როგორც მოსახლეობის დიდ ნაწილს) „ყელში აქვს ამოსული“ ის, რომ ირანისა და სირიის მიერ მართული და შეიარაღებული ეს ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია (რომელიც ახლა, პარალელურად, პოლიტიკური ძალის ამპლუაშიც ფიგურირებს) ლიბანის ერთადერთი რეალური შეიარაღებული ძალაა და ამ მხრივ არანაირად შესადარებელი არ არის ლიბანის უსუსურ არმიასთან, რომელიც დაახლოებით 15 ათას კაცს ითვლის. ჰიზბულლამ ამ მიზანს მიაღწია. იგი, მართალია, კარგა მაგრად შეიფერთხა ამ ომში (დაახლოებით 500 კაცი დაკარგა), მაგრამ შეიარაღებულ ერთეულად დარჩა და იარაღის ჩაბარებას არ აპირებს („ნაადრევად თვლის“). უფრო მეტიც: დაზავების წინა დღეს მან ისრაელის მიმართულებით რაკეტების სარეკორდო რაოდენობა — 246 — გაუშვა. (სულ ამ მოკლე ომის მანძილზე ისრაელის ტერიტორიას მან დაახლოებით 3500 რაკეტა სტყორცნა. თუ ყველა არა, ამათი დიდი ნაწილი მაინც ირანის მიცემულია, რომელიც არ მალავს, რომ ისრაელის მოსპობა მიაჩნია საჭიროდ. რუსული შეიარაღების როლი ამ კონტექსტში არ იხსენიება, თუმცა სადღაც გაკვრით გაიელვებს სახელი „კატიუშა“ და თუმცა სირია, რომელიც ჰიზბულლას ერთერთი ზურგია ორიდან, როგორც ცნობილია, თავის პოლიტიკაში რუსული იდეებით და რუსული იარაღით საზრდოობს). თეირანელმა ბრბოებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს დაზავება, რომელმაც, მათი აზრით, ისრაელი „გაანადგურა“ და „სტრატეგიული ისტორიული გამარჯვება“ მოიტანა. ეს გამარჯვება, ენთუზიასტთა თვალში, იმაში გამოიხატა, რომ მოიკლა 116 „სიონისტი“ (ისრაელელი) ჯარისკაცი. მაგრამ ისლამის ბანაკის ამ არასერიოზული ეიფორიის უკან უფრო სერიოზული გარემოებები დგას: ისრაელის არმიამ ამჯერად ვერ აჩვენა თავი, როგორც რეგიონში უძლეველმა და ყოველგვარი თავდასხმის უპირობოდ აღკვეთისუნარიანმა. კარგად ორგანიზებულმა ჰიზბულლამ, რომელიც ლიბანში სულ რამდენსამე ათას კაცს ითვლის, მას ქმედითი წინააღმდეგობა გაუწია. ისრაელის ხელმოცარვის ფაქტორებს შორის ჟურნალი (სხვადასხვა ადგილას) ასახელებს რამდენიმეს. ერთი (ყველაზე მცირე) ისაა, რომ ისრაელის ამ კამპანიას ორგანიზაციულადაც და მომზადების მხრივაც დეფექტები ამოაჩნდა. მეორე, რომ ისრაელის იმედი, ომის შედეგად ლიბანის მრავალეროვანი და მრავალ აღმსარებლობად დაყოფილი მოსახლეობა გაღიზიანდება ჰიზბულლას წინააღმდეგ, რომელმაც თავისი აგრესიული მოქმედებით ისრაელის მხრიდან დარტყმის პროვოცირება მოახდინა, არ გამართლდა: ლიბანის მოსახლეობა ამ ომში აქტიურად მიემხრო ჰიზბულლას, და არა ისრაელს, რომელმაც რაკეტების საწყობების განადგურების მიზნით დასახლებული უბნების ბომბვას მიჰყო ხელი. (ეს საწყობები ძირითადად მართლაც გაანადგურა ჰაერიდან, მაგრამ მოსახლეობის დიდი მსხვერპლის ფასად). მესამე ისაა, რომ ომის მოცემულმა ასიმეტრიულმა ფორმამ — როცა ისრაელი ცდილობს საჰაერო დარტყმებით განახორციელოს თავისი სტრატეგიული ამოცანა და ომი მოიგოს, ჰიზბულლა კი ქვეითად ებრძვის, მოსახლეობაში არეული, — ისე არ გაამართლა, როგორც მას უნდოდა. ამიტომ ისრაელის მოსახლეობის ცნობიერებაში (რომელიც სრულებითაც არაა მტრედისებურად განწყობილი) ეჭვის ქვეშ დადგა საერთოდ ისრაელის მიერ ათწლეულთა მანძილზე მიღებული სტრატეგია თავისი გეოპოლიტიკური საკითხების გადაჭრისა: ომი. ზოგნი (განსაკუთრებით ისრაელის უცხოელი „ჭკუის მასწავლებლები“) ისრაელს ურჩევენ, მეზობლებთან მშვიდობიანი პოლიტიკის გზას დაადგეს, ხოლო ისრაელელი სამხედრო პირი (რომელიც, რა თქმა უნდა, საქმეს უფრო რეალისტურად უყურებს) იმ აზრისაა, რომ ისრაელმა აქამდე შეცდომით მართა თავისი პოლიტიკა, როცა ეგონა, რომ პრობლემის გადაწყვეტა ომით (იგულისხმება: ერთი კონკრეტული ომით) შეიძლება. ისრაელის ხვედრი და სტრატეგია არის (და უნდა იყოს) არა ერთჯერადი ომი, არამედ მუდმივი ომის მდგომარეობაში ცხოვრებაო.



ჭერმა დაიწია, ლიბანელების სიმტკიცემ აიწია

ისრაელის არმიის სისუსტის დემონსტრაციამ (ნამდვილისა თუ მოჩვენებითისა და შექცევადისა თუ შეუქცეველისა, ჯერ არ ვიცით) დაუყოვნებლივ გაათამამა მისი მონინააღმდეგეები. სირიაში კვლავ დაიწყო ლაპარაკი მისთვის ისრაელის მიერ გოლანის მაღლობების დაბრუნების შესახებ, ხოლო ირანმა, რომელიც აქამდე მალავდა თავის მიერ ისრაელის რაკეტებით შეიარაღების ფაქტს, ახლა, პირიქით, ამ დახმარებით თავის მოწონება დაიწყო. არც ირანი, არც ჰიზბულლა არ მალავენ თავის პოზიციას, რომ ისრაელი არ უნდა არსებობდეს. ნასრალლას ასეთი აფორიზმიც კი ჰქონია გამოთქმული: კარგია, რომ ებრაელები ერთად არიან შეკრებილნი ისრაელში, ეს მათს ერთიანად განადგურებას აადვილებსო. მაგრამ ისრაელის პოზიციები, თვით ამ წარუმატებელი ომის ფაქტიც რომ დავივიწყოთ, არც ისე მტკიცეა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. შარონის მიერ გაზის ზოლის დაცლის გეგმა და მისი განხორციელება (რაც დასრულდა), ისევე, როგორც იორდანეს დასავლეთ ნაპირზე არსებული ებრაული დასახლებების მოშლა და, საერთოდ, ებრაული დასახლებების პოლიტიკაზე ხელის აღების გეგმა შარონამდელ ლიდერებსაც ჰქონდათ მოაზრებული და დღევანდელებსაც აქვთ. ახლა ამ დასახლებათა მოშლაზე ლაპარაკი, ბუნებრივია, შეწყდა. მაგრამ რა იქნება ხვალ, არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, ნათელია, რომ ისრაელის სახელმწიფოსა და მისი სამხედრო მონინააღმდეგეების ძალთა შეფარდების ევოლუცია ახალ ფაზაში შედის. თავისი სამხედრო პოტენციალის დღევანდელ ნაკლოვანებებს ისრაელი, ცხადია, არ შეურიგდება: იგი მათ გასწორებას და თავის ძალათა მოდერნიზაციას მოახდენს. მაგრამ არც მონინააღმდეგენი იქნებიან გულზე ხელდაკრეფილნი. არსებული დაზავება მყიფეა: იგი ყოველ წამს შეიძლება დაირღვეს და, ალბათ, დაირღვევა კიდეც.

ლიბანის ომი მსოფლიოს თვალში

ძალიან მნიშვნელოვანია მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის ის, თუ როგორ აისახება ახლო აღმოსავლეთის დრამატული მოვლენები მსოფლიოს თვალში. ჟურნალს მოჰყავს საინტერესო მასალა, ცხრილები და ანალიზი იმისა, თუ როგორ ეკიდებიან ამ საკითხს და როგორ მოეკიდებიან მომავალში განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეები. ერთი ფაქტი ისაა, რომ ამ თემისადმი დამოკიდებულების მხრივ მკაფიო განსხვავებაა ევროპელებსა და ამერიკელებს შორის. ამერიკელები (ისევე, როგორც მათი ხელისუფლება) მკვეთრად პროისრაელური განწყობილებით არიან, ევროპელებში კი აზრი იყოფა. მაგრამ არაბულ მხარეს ყველგან დაახლოებით იმავე თანრიგის მხარდაჭერა აქვს, რაც ებრაულს. საყურადღებოა დაკვირვება (და შესაბამისი სტატისტიკა) სიმპათიების განაწილებაზე სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ძალებს შორის და ამ დაკვირვებით საფუძვლიანად დასაბუთებული ანალიტიკური დასკვნა: ებრაელების მომხრენი დღეს ძალიან მნიშვნელოვანწილად ისინი არიან, ვისაც წარსულში ლაქები აქვთ ანტიებრაული განწყობილებების, ანტიებრაული მოქმედების ან, სულაც, ჰოლოკოსტში (ებრაელების გენოციდში) მონაწილეობის მხრივ. ესენი არიან გერმანელები გეოგრაფიულად და მემარჯვენე ძალები პოლიტიკურად. ჟურნალი არ გვთავაზობს სპეციალურად მსჯელობას იმაზე, რამდენად გულწრფელია მათში ეს გრძნობა ან, პირიქით, რამდენად განპირობებულია იგი საკუთარი ცოდვებისაგან ღია გამიჯვნის პრაქტიკული სურვილით, მაგრამ იმის მიმანიშნებელი, რომ რეალური ეს მეორე შესაძლებლობა იყოს, არაფერი ჩანს. მემარცხენეების პოზიცია და, რაც ყველაზე საინტერესოა, მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები, ჟურნალის მიერ მოწოდებული მასალის მიხედვით და მისი ანალიზის თანახმად, სხვაა: მემარცხენეები ისრაელის სახელმწიფოს ჯერ შექმნის, ხოლო შემდეგ მისი პოლიტიკის აქტიური და თავგადადებული მომხრენი იყვნენ, რადგან ებრაელობაში ჩაგრულ ხალხს და როგორც მემარჯვენეთა, ისე იმპერიალისტთა მიერ დევნილთა ერთ ნაწილს ხედავდნენ. მას შემდეგ, რაც 1967 წელს მოპოვებულმა უდიდესმა გამარჯვებამ ისრაელის სახელმწიფოს მხნეობა შეჰმატა და მისი პოლიტიკა გააააქტიურა, მასში, პირიქით, სხვათა დამჯაბნელს ხედავენ და ეს საერთო საქმის ღალატად მიაჩნიათ, მიუხედავად იმისა, რომ არც ისრაელის სახელმწიფოს, არც სიონისტურ მოძრაობას არასოდეს მიუცია პირობა „მემარცხენეებისათვის“, რომ მუდამ იმ იმეჯს შეუნახავს თავისთავს, რაც ამ უკანასკნელებს ჰსურთ.



გუანტანამოში უვადოდ და სასამართლოს გარეშე დაკავებული ეჰვმიტანილი
New statesman, გვ. 31

ლიბანელების აზრი

არსებითი ფაქტორი მოვლენათა შემდგომი განვითარებისთვის არის ლიბანის არსებული ხელისუფლების უკიდურესი სისუსტე. იგი პოლიტიკურად თითქმის არაფერია: არც იდეოლოგია აქვს, არც გამოკვეთილი პოზიცია, არც მყარი ელექტორატი ჰყავს. იგი, არსებითად, კოალიციურია და ემყარება საპარლამენტო უმრავლესობას, რომელიც სულ სხვადასხვა სულისკვეთებისა და ბუნების ელემენტებისგან შედგება: მასში არიან მარონიტებიც (ადგილობრივი არაბი ქრისტიანები), დრუზებიც (ეთნიკური ერთეული) და სხვანიც და სხვანიც. ამ მთავრობის ლიდერი ბ-ნი სინიორა გამოუვალ წინააღმდეგობაშია იმის გამო, რომ, ერთის მხრივ, იგი ვალდებულია შეასრულოს გაეროს გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვს ჰიზბულლას განიარაღებას ანუ მისი, როგორც მებრძოლი ერთეულის, არსებობის შეწყვეტას. ეს არ შეუძლია არც მას, არც გაეროს 15-ათასიან სამშვიდობო კონტინგენტს, რომელიც, გადაწყვეტილების თანახმად, იქ უნდა ჩავიდეს, თუმცა არც ისაა ცნობილი. როდის ჩავა, არც ის, ვისგან (რამდენად ქმედითი ნაწილებისაგან) იქნება შემდგარი, და არც ის, რამდენად ქმედითი მანდატი ექნება მიცემული. მეორეს მხრივ, იგი ლიბანის ლიდერია, მაშასადამე, ლიბანელთა სულისკვეთებას უნდა შეუფარდოს თავისი მოქმედება, რომლებიც დღეს ლიბანური პატრიოტიზმის აღშავლობის ტალღაზე არიან ავარდნილნი და ამ პატრიოტიზმის მებრძოლ განსახიერებას ჰიზბულლაში ხედავენ. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ლიბანში არსებულ ძალთა სათუთ ბალანსს, რომლის წყალობითაც ეს ქვეყანა არსებობს და მწვავე შინაგანი კონფლიქტების აცილებას ახერხებს (მოსახლეობის დიდი ისტორიულად შემუშავებული ტაქტისა და გამოცდილების გამოყენებით), ამ ომის შედეგად შეიძლება ცვლილება მოელოდეს: შიიტური თემი ამ ქვეყანაში თავისი გავლენითა და ჰრესტიჟით ტრადიციულად ყველაზე დაბლა იდგა. ახლა, რამდენადაც ჰიზბულლაც შიიტურია და მისი ზურგი ირანიც, საკითხავია ორი რამ: ხომ არ შეეცდება შიიტური თემი ნებით თუ უნებურად თავისი სტატუსის ამაღლებას და ხომ არ გადააჭარბებს დასაშვებ ზღვარს დანარჩენი მოსახლეობის უკვე არსებული გაღიზიანება იმის გამო, რომ მათ ქვეყანაში ზედმეტად პარპაშობს ირანის და სირიის ძალა — სირიისა, რომლის შეიარაღებულ ძალთა ამასწინანდელმა განდევნამ ლიბანიდან ამ ქვეყნის მთელ მოსახლეობაში აღიარება მოიპოვა როგორც ისტორიულმა გამარჯვებამ და როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის ტრიუმფმა.

ზოგადი პროგნოზი ასეთია: ჰიზბულლა არ განიარაღდება (ეს შეუძლებელია). გაეროს გადაწყვეტილებას უარი არ ეთქმის (ესეც შეუძლებელია). ამიტომ ჰუზბულლა თავს მოაჩვენებს, ვითომ განიარაღდა, მთავრობა თავს მოაჩვენებს, ვითომ ეს დაიჯერა, და მსოფლიოც თავს მოაჩვენებს, თითქოს ეს სჯერა. რას იზამს ისრაელი? ისიც აჰყვება „დაჯერების“ ამ კამპანიას, რადგან ახლა საბრძოლო მოქმედებათა განახლებისათვის მზად არ არის. მაგრამ რამდენ ხანს გასტანს დაზავება ზოგადად, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალის აზრით, ახლო აღმოსავლეთს შავი დღეები ელის.

სენსაციური, მაგრამ არა ბო�-ულოდნელი

ჩვენმა მკითხველმა იცის (ჩვენს მიერ დასავლური პრესის, პირველ ყოვლისა — The Economist-ის მასალათა დამონმების საფუძველზე), რომ თურქეთისათვის, ისევე როგორც ირანისათვის, ქურთების პრობლემა გადაუჭრელთა კატეგორიას განეკუთვნება. თურქეთში ცხოვრობს (კომპაქტურად) 12 მილიონი ქურთი, ირანში (ასევე კომპაქტურად) 4 მილიონი და ერაყში — 4 მილიონი, 600000-ია ქურთული მოსახლეობა სირიაში. პირველი სამი ქვეყნის ხელისუფლება ქურთების სეპრატისტულ მოძრაობას აბსოლუტური ულმობელბით ებრძვის და ამ ნიადაგზე საერთო ენასაც კი ნახულობენ ისეთი ურთიერთდაპირისპირებული ქვეყნები, როგორიც არიან თურქეთი და ირანი.



თურქეთში ადამიანის უფლებათა დაცვის ანუ „დემოკრატიზაციის" ფრიად საჭირო პროცესისათვის (საჭიროსი იმდენად, რამდენადაც ამაზეა დამოკიდებული თურქეთის გაწევრიანება ევროკავშირში) მთავარი დაბრკოლებაა ქურთული სეპარატიზმის მოძრაობა, რომლის დათრგუნვაც ადამიანის უფლებათა დარღვევის გარეშე ძალიან ძნელია. უმნიშვნელოვანესი ფაქტია თურქეთის ბოლო წლების ისტორიაში 1990 წლის გააფთრებული ბრძოლა მთავრობასა და ქურთ მეამბოხეებს შორის, რომელსაც დღეს „სამოქალაქო ომის" სახელითაც კი იხსენიებენ. ამ ამბოხების ჩაქრობის შემდეგ ხელისუფლებამ ქურთების კომპაქტური განსახლების ზონიდან (დიარბაქირის მხარე) რამდენიმე ასეული ათასი ქურთის დეპორტაცია მოახდინა თურქეთის სხვა ადგილებში (გაბნეულად), თუმცა გადასახლებული ქურთები ამით არ დაბნეულან და ფრიად წარმატებული საქმიანობა განაგრძეს ახალ ადგილზე თავისი ეკონომიკური გაძლიერების მიზნით. დღეს გაშლილია მოძრაობა მათი დაბრუნებისათვის თავის ნასოფლარებში. სენსაციური ამბავი, რომელიც ახლა ხდება და ლოგიკურადაც სავსებით მოსალოდნელი იყო, ის გახლავთ, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ქურთულ პრობლემას თითქოს გასაღები მოუნახა.: იგი ქურთებს რაზმავს (უფრო ზუსტად, მათ დარაზმვას ხელს უწყობს) არა ეროვნული, არამედ ალტერნატიული, რელიგიური დროშის გარშემო. ლიბანის ამასწინათ მყიფე დაზავებით დამთავრებული ომის შემდეგ, როცა ისრაელისა და ამერიკისადმი სიძულვილის საფუძველზე დიდი სტიმული მიეცა მუსლიმანთა სოლიდარობის აღზევების ტალღას მსოფლიოში, თურქეთის ქურთობა ძალიან გულმხურვალედ გამოეხმაურა ამ მოვლენას. ეს გზა თურქეთისათვის მით უფრო „პერსპექტიული" ჩანს (ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ჩანს), რომ თურქეთის სათავეში დღეს რელიგიური სულისკვეთების პარტია იმყოფება. თურქეთის მდგომარეობა ამ მხრივ მოგვაგონებს ირანისას „ირანის ისლამური რესპუბლიკის" შექმნის წინ, როცა ირანი იმდენად დანაწევრებული იყო ეთნიკურად (მოსახლეების ნახევარი არასპარსელი იყო), რომ რელიგიური სულისკვეთება ამ მოსახლეობის ერთ ორგანულ მთელად შეკვრის ერთადერთი გზა აღმოჩნდა (აქედან — სახელმწიფოს დასახელება „ისლამური რესპუბლიკა").

ჟურნალი მოგვითხრობს, რომ დღეს თურქეთში აქტიურად მოქმედებს „ქურთისტანის თავისუფლების შეკავშირებენთა" ორგანიზაცია, რომელიც მიჩნეულია „ქურთული მუშათა პარტიის" (PKK) — თურქული სახელმწიფოს ძველი მტრის — ერთერთ ხელად. ამ ახალმა ორგანიზაციამ იჩქარა პასუხისმგებლობის კისრება ტერორისტულ აფეთქებათა სერიაზე, რომელიც ამასწინათ მოხდა და რომელიც თურქების გარდა დასავლელ ტურისტებზეც იყო დამიზნებული. რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, თურქეთის ხელისუფლებამ მინიმალური რეზონანსი მისცა ამ ამბავს, რადგან, ჯერ ერთი, არ უნდა თავის ძალთა შეზღუდულობის დემონსტრირება, მეორეც და მთავარი — არ უნდა ყურადღების კიდევ ერთხელ დაფიქსირება ქურთულ პრობლემაზე, რომელიც თურქეთის საგარეო ამოცანებისთვის მთავარ დაბრკოლებას ქმნის. მკვეთრი გამოხმაურება ამ ფაქტს მხოლოდ თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა მისცეს, რომელნიც, როგორც ცნობილია, თურქეთში დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. მათ სათავეში ახლა მოდის იასარ ბეიუქანითი, რომელიც დიარბექირის (ქურთული და ქურთებით დასახლებული მთავარი ქალაქისა და ოლქის) გუბერნატორადაა ნამყოფი და თავისი იქაური მოღვაწეობის საფუძველზე „ქორული" რეპუტაცია აქვს მოპოვებული. თავის საინაუგურაციო სიტყვაში მან თქვა, რომ გააძლიერებს ქურთული სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ (და ეს დამახასიათებელია) არ დაუზუსტებია, როგორ.

მაგრამ, ჟურნალის სიტყვით, ეს სახელოვანი ქორი რომ დღეს დიარბექირში დაბრუნდეს, იგი ამ ქალაქის მთავარ მოედანს ველარ იცნობს. აქ აღმართულია ორი უზარმაზარი კარავი, რომელშიც თავმოყრილნი არიან ქურთი ეროვნების მუსლიმანი აქტივისტები. მათი მიზანი სხვა არა არის რა, თუ არ შურისძიება ლიბანში მუსლიმანი მოსახლეობის, მათ შორის ბავშვების წინააღმდეგ ჩატარებული სისხლიანი სამხედრო მოქმედებების გამო. გროვდება ხელმოწერები, რომელთა ფურცელთან მისასვლელადაც უზარმაზარი რიგები დგას. დღეს ამ ქურთულ რეგიონში არც ერთ პოლიტიკურ ძალას, თვით სეპარატისტულ ეროვნულ მოძრაობასაც კი, არ ძალუძს ქუჩაში ისეთი მასის გამოყვანა, როგორისაც ამ რელიგიურ ძალას შეუძლია. საინტერესოა ამ სიახლეთა შეფასება ჟურნალის მიერ: იგი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ქურთების — ამ მეამბოხე სულისკვეთების მატარებელი მებრძოლი მასის — ჩაბმა რელიგიური აღტყინების ტალღაში, რომელმაც დღევანდელი თურქეთი დიდწილად მოიცვა, — ხიფათს უქადის სეკულარულ (საერო) სახელმწიფოს, რომლის შექმნაც ახალი თურქეთისა და მისი დამაარსებლის, ქმალ-ფაშა ათათურქის მთავარი (თუ არა ერთადერთი) დამსახურებაა ისტორიის წინაშე დასავლელთა თვალში. სეკულარული სახელმწიფოს მყარი და თავგამოდებული დამცველი თურქეთში არის თურქეთის შეიარაღებული ძალები, როგორც პოლიტიკური ფაქტორი.

ყოფილი „ქორი" გუბერნატორი რომ დიარბექირში წავიდეს, მას, ჟურნალის სიტყვით, იქ სხვა მოულოდნელი სიახლეც ელის. დღევანდელი გუბერნატორი (რა თქმა უნდა, ეთნიკურად თურქი) ყველა ღონეს ხმარობს, რათა ქურთებს დაუყვავოს, იგი აშკარად ურთიერთობათა ჰარმონიზაციაზე ორიენტირებულ პოლიტიკას ატარებს. ქურთებს სახელმწიფოს კანონით მინიჭებლი აქვთ თავიანთ ენაზე ნებისმიერ ადგილას საუბრის და რადიომაუწყებლობის უფლება, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. ამ გუბერნატორის ხელშეწყობით მხოლოდ ერთ რაიონში აღდგენილია 14 ქურთული სოფელი ანუ დაბრუნებულია მოსახლეობა, რომელიც აყრილ იქნა ძალით 1990 წლის ამბოხების ჩახშობის შემდეგ.

დიარბექირში ფართოდ გაშლილი ისლამური მოძრაობა მოიცავს, სხვათა შორის, უფასო სკოლებსაც, რომელთა მიზანია „განათლება, მატერიალური დახმარება და მორალური დამოძღვრა" ღარიბებისათვის. თუმცა ძალადობას უარყოფს, ამ მოძრაობამ ლიბანში საბრძოლველად მაინც 500 მოხალისე გაუშვა. დიარბექირის ჰუმანისტი და შემწყნარებელი გუბერნატორიც კი იმ აზრისაა, რომ რადიკალურ ისლამს ზიანის მოტანა ძალუძს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოისურვებენ „გარკვეული ძალები". ამ უკანასკნელებში იგი, ჟურნალის აზრით, გულისხმობს იმ „არამზადა" ელემენტს უშიშროების ძალებში, რომელმაც 1990 წლის ამბოხების დროს დარაზმა და შეაიარაღა რელიგიური სულისკვეთების მატარებელი ქურთების ნაწილი ქურთულივე ეროვნების მეამბოხეთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მას შემდეგ, რაც მიზანი მიღწეული იქნა, ეს რაზმებიც გაანადგურეს. ახლებურად მოქმედი თურქული ადმინისტრაცია ახლა ცდილობს სისხლიანი შემთხვევებიც კი მშვიდობიანად ჩააქროს. ასე, მაგალითად, გაგრძელების გარეშე ჩააცხრეს ტერორისტი ქურთების მიერ ორი თურქი პოლიციელის მოკვლის ეპიზოდი, რასაც ადრე პოლიციის მხრიდან შურისგების მიზნით პირდაპირ მოსახლეობაში ცეცხლის გახსნა მოჰყვებოდა. ორი ქურთი პოლიტიკოსი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ჩივის არჩევნების არასწორი წესით ჩატარების გამო, რითაც ქურთი მოგებული კანდიდატები პარლამენტის გარეთ იქნენ დატოვებული. მეორეს მხრივ, წინააღმდეგ ჰარმონიზაციის ამ პოლიტიკისა, ქურთი ტერორისტების ყოველი აქტი ანელებს თურქეთის მოსახლეობაში ევროსაბჭოში თურქეთის გაწევრიანების სურვილს. მოსახლეობას არ უნდა ევროსაბჭოში შესვლა ქურთებისადმი პოლიტიკის შერბილების ფასად. ასე რომ, „რბილად ისლამისტური" ხელისუფლება, რომელიც თავის საარჩევნო პროპაგანდაში თურქეთის ევროკავშირში შეყვანის აღთქმას დებდა, დღეს იძულებული გახდა შემოეღო ანტატერორისტული კანონი, რომელიც დაკავებულ ეჭვნმიტანილს 24 საათით ართმევს ვექილის ყოლის უფლებას, რაც, ფაქტობრივად, მის მიმართ წამების გამოყენების დაშვებას ნიშნავს. თუ ერთი წლის წინ ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი და მონატრული ამომრჩეველთა სამი მეოთხედი იყო, დღეს ეს პროცენტი მხოლოდ ნახევარს შეადგენს.

თურქეთიდან და ირანიდან გასული ქურთი მებრძოლები დღეს არხეინად აფარებენ თავს ერაყის ქურთისტანის მთებს, სადაც მათ თურქეთისა და ირანის ტერიტორიიდან საარტილერიო დარტყმების და ამავე ტერიტორიიდან საჰაერო თავდასხმების გარდა არაფერი ემუქრებათ. ამათთან საბრძოლველად ირანსა და თურქეთს სადაზვერვო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის დიდი მისწრაფება აქვთ. მათ სურთ, სხვათა შორის, ამათი მოცილება ამერიკული ორბიტიდან, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა მარქსისტული და ტერორისტული PKK (ქურთულ მუშათა პარტიის) წინააღმდეგ დაცვის საჭიროებაზე ლაპარაკობს (და არა ყველა ქურთული მოძრაობის წინააღმდეგ. რედ.). ერაყში შეფარებული PKKK-ს ლიდერები არ არიან მტრულ ურთიერთობაში ადგილობრივ ქურთ ლიდერებთან. საინტერესოა, რომ, მათი განცხადებებით, ისინი თავის ძველ მოთხოვნას ირანის, თურქეთისა და ერაყის ქურთთაგან ერთიანი, მარქსისტული ქურთული სახელმწიფოს შექმნის შესახებ ახლა უნაცვლებენ ახალ მოთხოვნებს: ფედერალიზმი, ევროპული დემოკრატია, ქალთა უფლებები.

ქურთებს ცუდად ეპყრობიან, მაგრამ დღეს გონივრულია მათი ავტონომია, და არა დამოუკიდებლობა

ასეთია ჟ. The Economist-ის აზრი, როცა იგი სვამს საკითხს, ქურთების ბრძოლაში თავისი ეროვნული უფლებებისათვის ვის რა ეკუთვნის და ვისთვის რა ჯობია. მისი არგუმენტაცია ასეთია:

ქურთი ტერორისტების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის გამეტებას, რაც დღეს თურქეთში ხდება, გამართლება არა აქვს. ამიტომ PKK („ქურთების მუშათა პარტია"), რომელიც წლების მანძილზე მთავარი ფუგურაა ქურთების ეროვნულ ბრძოლაში, ისევე როგორც მისი არსებული თუ შესაძლო განშტოებებიც,, უნდა მოქმედებიდან გამოირიცხოს თურქეთშიც და ერაყშიც, სადაც მისი ნაწილია შეფარებული (ამ საქმეში შუამავლობა და ორგანიზაცია დაევალა ყოფილ ნატოელ სარდალს გენერალ რალსტონს). ასევე, მიუღებელია თურქების რეაგირება ამ ტერორზე იმით, რომ კვლავ დევნა და რეპრესირება დაუწყონ იმ ქურთებს, რომლებიც თავის უფლებებს მშვიდობიანი გზით ითხოვენ. „ძნელი განსასაზღვრავია", რას „იმსახურებენ" (deserve, რა ეკუთვნით) ქურთებს იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ კომპაქტურად, და რა ხარისხის თავისუფლებისათვის უნდა მიმდინარეობდეს მათი ეროვნული ბრძოლა (და შეეწყოს ხელი ან წახალისებულ იქნას ეს ბრძოლა) არსებული პირობების მიხედვით (როგორც ვხედავთ, იმას, თუ რას „იმსახურებს" ეს ხალხი, და რა „უნდა" გაკეთდეს, ჟურნალი მკაცრად ასხვავებს ერთიმეორისაგან, რითაც წინააღმდეგობაში მოდის ცნობილ ლათინურ პრინციპთან „აღსრულდეს სამართალი, თუნდ დაიღუპოს ქვეყნიერება" — fiat Justitia pereat mundus.

ქურთების რაოდენობას ჟურნალი თვლის „არანაკლებ 28 მილიონად" და აღნიშნავს, რომ ეს არის ყველაზე დიდი ეთნოსი დღეს, რომელსაც სახელმწიფო არა აქვს. ამათში (დაახლოებით) 14 მილიონია თურქეთში, 5 მილიონზე მეტია ერაყში, ოთხია ირანში და ორია სირიაში. ისინი მრავალჯერ გახდნენ მათი თავისუფლებისაკენ სწრაფვის უგულებელყოფისა და ამ მიმართულებით ძლიერთა მიერ მათი ღალატის მსხვერპლი. თურქები დღეს მათ უკეთ ექცევიან, ვიდრე ადრე, მაგრამ ეს მოპყრობა, ცხადია, ძალიან შორსაა იმ უფლებათა განხორციელებისაგან. რასაც ეროვნუ-

გაგრძელება მე-14 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეუძლია ევროკავშირს ახლო აღმოსავლეთში

(და როგორ აზროვნებენ დასავლეთში, ზოგადად, ამგვარ თემებზე)

ჩვენს მიერ ხშირად ციტირებული და დამოწმებული The economist – მსოფლიოში თავისი ანალიზის სიღრმითა და მომცველობით ეს უდავოდ საუკეთესო ჟურნალი – სარედაქციო წერილების გარდა მასალებს აქვეყნებს მხოლოდ ორი ხელმოწერით (ფსევდონიმებია ეს თუ ნამდვილი გვარები, მკითხველებმა, ბუნებრივია, არ ვიცით). ამ ხელმოწერილ წერილებში კონკრეტულ ინფორმაციაზე მეტად ვხედავთ ზოგად თვალსაზრისებს, მათ შორის – იდეებსაც იმის შესახებ, როგორი უნდა იყოს დასავლეთის პოლიტიკური სვლები ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, და არა მხოლოდ იმის უწყებას, თუ რა ნაბიჯები იდგმება. ერთერთი ასეთი ზოგადი პროექტია შარლემანის წერილი სათაურით „მხოლოდ ერთი მომენტი – და, შესაძლოა, ოდნავ მეტი", სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ დღეს ევროპას ეძლევა უნიკალური შანსი ახლო აღმოსავლეთის პროცესთა განვითარებაში მნიშვნელოვანი დადებითი როლი შეასრულოს და ამით, მთავარ ამოცანასთან ერთად, ამ რეგიონში თავისი, როგორც მსოფლიო ძალისა და მარეგულირებლის, მდგომარეობაც აღიდგინოს.

რატომ არიან დღეს ევროპელები „მარგინალურნი", ანუ პრაქტიკულად უცხონი და ნდობით არ მიღებულნი ამ ზონაში აგერ უკვე რამდენი წლებისა და ათწლეულების მანძილზე? იმიტომ, რომ ისრაელი მათ არ ენდობა მათი მხრიდან არაბების მხარდასაჭერად და ისრაელის აქტივობის შესამცირებლად წლების მანძილზე მრავალჯერ გადადგმული დიდი თუ მცირე ნაბიჯების გამო (ამ მხრივ სულ სხვაა ამერიკელების პოზიცია, რომელთაც ისრაელის სახელმწიფოს გადარჩენის ინტერესები უფრო კარგად ესმით), ხოლო არაბებთან ისე დაახლოებული არ არიან, რომ მათთვის რაიმეს შესმენა შეძლონ. ევროპა ამ რეგიონში, უბრალოდ, უმნიშვნელოა (Irrelevant) და ამ მდგომარეობის დაძლევას არაფრით ეხმარება ევროპელთა ისეთი გამოსვლები, როგორიც იყო ამ ცოტა ხნის წინ ლიბანის ომთან დაკავშირებით შრაკის მაღალფარდოვანი განცხადება, რომ იქ ორასიოდე მემშვიდობეს გაგზავნის. ეს განცხადება, ავტორის სიტყვით, „შეარცხვინა" იტალიის გადაწყვეტილებამ, იქ ორი ათასი კაცი გაგზავნოს ამ ფუნქციით.

რამ გაუჩინა ევროპას ამ რეგიონში თავისი „ლიდერობის" ძველი როლის მოპოვების შანსი და იმედი, რომელიც მას არ ჰქონდა (ლაპარაკია შანსზე და არა როლზე) ორი წლის წინ და ათი წლის წინ? ავტორის აზრით, ორმა რამემ. პირველი ფაქტორი ისაა, რომ კლინტონის პრეზიდენტობის დროს ეს პოლიტიკური ნიშა – ისრაელისა და არაბების ურთიერთობაში შუამავლის როლი – მთლიანად ამერიკას ეჭირა და იქ დიალოგის მეოთხე მონაწილისთვის ადგილი არ იყო. ბუშმა კი კლინტონის ძალისხმევა არ გააგრძელა. მეორე ფაქტორი ისაა, რომ შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო ახლა მისი ორივე მონაწილე ერთგვარ შეეჭვებას გრძნობს საკუთარი თავის მიმართ, რის გამოც შანსი აქვთ, თვითდაჯერებულობის ხარისხის ამ დაქვეითების წყალობით უფრო ღრმად დაფიქრებისთვის მოიცალონ და დაფიქრების სურვილი გაუჩნდეთ. ისრაელმა აშკარად შოკი მიიღო ლიბანის ამ უკანასკნელი ომით, სადაც ვერ გაიმარჯვა (იხ. ჩვენი წინა ნომრები. რედ.). ჰიზბულაც ვერ არის ტრიუმფატორის გუნებაზე, რის გამოც მისი ლიბანელი ლიდერი შეიხი ჰასან ნასრალლა აცხადებს, რომ მცოდნოდა, რა მოხდებოდა (რა მსხვერპლი მოჰყვებოდა), არ გავცემდი ბრძანებას ფრონტის ხაზის გადაღმიდან ებრაელი ჯარისკაცების გამოტაცების შესახებო. ანალოგიურ გუნებაზეა პალესტინელი ჰამაზის უფროსობაც. ამავე რიგის ფაქტორია ის, რომ ამერიკის როლი შესუსტებულია როგორც იმის გამო, რომ ერაყში ომი დაიწყო, ისე იმ კონკრეტული ფორმების გამოც, რაც იმ ომს იქ დღეს აქვს.

დღეს ევროპა, ჯამურად, ლიბანში 7 ათასი მემშვიდობეს აგზავნის – ეს იგივე ძალაა, რაც ინგლისს დღეს ერაყში ჰყავს, ანუ ანგარიშგასაწევი ძალა, რამდენადაც ევროპა დღეს კაცობრიობის ისეთი ნაწილია, რომელსაც ბოლო წლებში ამ რეგიონში თავისი დისკრედიტაცია არაფრით მოუხდენია, მისი 7 ათასი ჯარისკაცი (ჰიზბულას ლიბანში 15 000 მებრძოლი ჰყავს, ლიბანის მთავრობას – ბევრად ნაკლებია) თავის სამშვიდობო მისიით მისცემს ისრაელს საშუალებას უსკანდალოდ გავიდეს ამ ავანტურიდან, რომელიც მისთვის მარცხით დამთავრდა. ამავე დროს საფრანგეთს ის დამსახურება აქვს, რომ მან ამერიკასთან ერთად დიდი როლი ითამაშა სირიის იძულებაში, რომ ლიბანიდან თავისი ჯარი გაეყვანა. გარდა ამისა – რაც ნაკლებ ცნობილია, – იტალიელები ქმედითად ახორციელებენ გაზის ზონის და დანარჩენი არაბული სამყაროს დამაკავშირებელი დერეფნის კონტროლს, რათა იქიდან იარაღი ვერ შემოვიდეს.

რა შეუძლია ამ ფონზე ევროპას კონკრეტულად? შედარებით პესიმიზმისკენ განმაწყობელია ის ფაქტი, რომ ევროპა დღესაც იყო ამ „კვარტეტში" (ამერიკა, რუსეთი, გაერო, ევროკავშირი), რომელმაც ე.წ. გზათა რუკა შეადგინა, მაგრამ იმ რუკამ ვერაფერი ვერ მოიმოქმედა. ჰამაზი, რომელიც დღეს პალესტინის საკანონმდებლო ორგანოშია, ვერ დაითანხმეს იმაზე, რომ ისრაელის სახელმწიფოს არსებობა ცნოს. რაღა იმედია, რომ ახლა ვინმე შეიძლებს ლიბანელი ჰიზბულას ორგანიზაციის – ამ „სახელმწიფოში სახელმწიფოს" – დათანხმებას იმაზე, რომ განიარაღდეს ლიბანის სუსტი მთავრობისა და სუსტი მმართველის ფუად სინიორას ბრძანებით? ჰამაზთან დასავლური დახმარების შეწყვეტის სანქცია (დახმარებისა ქვეყნისათვის და არა პოლიტიკური ჯგუფისათვის, რასაც დასავლეთმა მიჰმართა, როგორც უკანასკნელ ზომას) ვერ ჭრის, ჰიზბულას ნებაყოფლობით განიარაღების შანსი უდაბლესია, ასევე – იმის შანსი, რომ ირანი და სირია – ლიბანისთვის ყველაზე საძულველი ძალები – ხელს აიღებენ რეგიონში ხელის რევაზე. უაღრესად პრობლემატურია, დაძლევს თუ არა ისრაელი თავის უნდობლობას ევროპისადმი და მოისურვებს თუ არა მასზე ორიენტაციას ნაცვლად ამერიკაზე ორიენტაციისა? ბევრია, ავტორის აზრით, დამოკიდებული იმაზე, რამდენად შეძლებს ევროპული კონტინგენტი იმის ქმედით კონტროლს, რომ ლიბანელ ჰიზბულას იარაღი ვერ შემოუდიოდეს. ავტორი იმოწმებს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსაზრებას, რომ ევროპის როლი ამ რეგიონში, თუ მან ზემოხსენებული ტესტი წარმატებით გაიარა, ხელს შეუწყობს ევროპულ-ამერიკული ურთიერთობების წინსვლას, რაკი ერთობლივი (ტრანსატლანტიკური) მომრიგებელი მოქმედება ახლო აღმოსავლეთში ნაყოფიერი აღმოჩნდება, ისიც – გაეროს სახელით გამაგრებული.

რენესანსი-ური, მაგრამ არა მო-უდლოდნელი

მე-13 გვერდიდან

ლი უმცირესობები „მოელიან" ევროპაში (იგულისხმება, ალბათ, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება უახლოეს დროში), დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ჩათვლით (რისი „სეპარატიზმად" მოხსენიება, ავტორის აზრით, „დანაშაულებრივი შეურაცხყოფაა"). იმის წყალობით, რომ უკვე საფუძველი ჩაეყარა ქურთულ ავტონომიურ რეგიონს ერაყში, თავისი პარლამენტითა, დროშითა და არმიითურთ, ქურთული სიამაყე და თავდაჯერება (confidence) ამაღლდა, რაზეც თურქები და ირანელები წუხან. თუმცა ერაყში ქურთებსა და არაბებს შორის ჯერ კიდევ ბევრი რამ გასარკვევია, ორივე მოსახლეობის მყოლი ნავთობიანი კირკუკის სტატუსის ჩათვლით, ერაყელები, განსაკუთრებით — შიიტები, განწყობილნი არიან ფედერალურ ერაყში ქურთული უკიდურესი ავტონომიის აღიარებისაკენ.

თვით ქურთებში მრავალს გულში უნდა დამოუკიდებლობა, მაგრამ მათი ლიდერები

ავტონომიას სჯერდებიან.

„მაგრამ რატომ არ უნდა ჰქონდეთ ქურთებს, ისევე როგორც ყველა ერს, დამოუკიდებლობა, თუკი იგი უნდათ?" — კითხვას სვამს ჟურნალი. იდეალურ სამყაროში მათ იგი, ჟურნალის აზრით, უეჭველად უნდა ჰქონდეთ. მაგრამ სამყარო, სადაც ისინი ცხოვრობენ, იდეალური არ არის და დიდხანს არ იქნება. ამიტომ „თუ ისინი მოისურვებენ ამ სამყაროს ძალით შეცვლას, ეს მოუტანს უბედურებას ყველაფერს მათ გარშემო". (რატომ უნდა სწირავდნენ ქურთები თავის დამოუკიდებლობას „ყველას გარშემო" ინტერესებისათვის, ჟურნალი არ განმარტავს. რედ). „შესაძლებელია", („მოაზრებადია"), რომ ძალიან შორეულ მომავალში სტაბილურმა და შემწყნარებელმა ახლო აღმოსავლეთმა გამოყოფის უფლება მისცეს ქურთებს, ისევე როგორც ინგლისმა შეიძლება „ნახვამდის" უთხრას თავის შოტლანდიელებს და ესპანეთმა — თავის ბასკებს". ფაქტობრივად, უმრავლესობას თურქეთის ქურთებისა თავისი უფლებების გაზრდა უნდათ თურქეთის მოქალაქეებად დარჩენის ფონზე. ბევრი ბედნიერად ასიმილირდა. ჟურნალის აზრით, იგივე ითქმის, დამასკოსა და თეირანის მთავრობათა მოქცევის •მიხედვით, ირანელსა და სირიელ ქურთებზე. ამიტომ განჭვრეტადი მომავლისათვის მათ ავტონომია უნდა მიეცეთ და არა დამოუკიდებლობა.

რედაქციისაგან: *ქართველი მკითხველისათვის ციტირებულ მსჯელობაში თვალში საცემია ორი მომენტი. პირველი: ჟურნალს სრულებით უგულებელყოფილი აქვს ისტორიული ფაქტორი, ანუ ერისთვის (ეთნოსისთვის) ისტორიული მეხსიერების ქონის უფლება, რომელიც ასხვავებს სიტუაციას, როცა თავისუფლების (დამოუკიდებლობის) მაძიებელი ერი თავის ისტორიულ მიწაზე ცხოვრობს, როგორც ქურთები (გარდა დიარბაქირის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიების გარკვეული ნაწილისა, სადაც 1915 წლის გენოციდამდე სომხები ცხოვრობდნენ), და როცა სხვის ტერიტორიაზე ცხოვრობს, როგორც ეს ხდება კოსოვოელი ალბანელების შემთხვევაში, რომელნიც სერბიის ამ უდავო ისტორიულ პროვინციაში სულ სამი-ოთხი თაობის მანძილზე იმყოფებიან. საქართველოს დღესდღეობით ყველაზე სახიფათო მტრებიც პრინციპულად ვერ ასხვავებენ (უფრო ზუსტად — არ ასხვავებენ) რუსულ-ჩეჩნურ მიმართებას, ერთის მხრივ, და ქართულ-აფსუურს, მეორეს მხრივ (ანუ შეგნებულად უგულებელყოფენ იმას, რომ ქართველი აფხაზეთში ავტოხთონურია, რუსეთი კი ჩეჩნეთში მისული დამპყრობელია).*

მეორე: ეროვნული თავისუფლება კონკრეტული მპყრობელი ერისაგან საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე განეკუთვნება ადამიანის ყველაზე ფუნდამენტურ ადამიანურ უფლებებს, რომელთა რეალიზაციაც ადამიანის ფუნდამენტურ და პრინციპულად ხელაუღებად, ანუ აბსოლუტურ ღირებულებათა რიცხვს ეკუთვნის. მისი დათმობა მოცემულ რეგიონში მშვიდობის (სტაბილობის) დაცვის ინტერესებში მოცემული მოსახლეობის მხრიდან არც მოსალოდნელია, არც მორალურად მოთხოვნადი. ამგვარად, ჟურნალის პროგნოზი, იგივე — რეკომენდაცია ქურთების ავტონომიით დაკმაყოფილების შესახებ არ ითვალისწინებს ადამიანის სიღრმისეულ ბუნებას და, ამდენად, მისი შესრულებაც ნაკლებ ალბათია.

საქართველოსთვის ელიტარული ბრიტანული ჟურნალის პოზიცია საყურადღებოა, იგი ქართული პოლიტიკის გაძლიერებული სიფხიზლის საჭიროებაზე მეტყველებს.

რომის პაპი და ისლამი

ამ სათაურით ჟ. The Economist აქვეყნებს იმ პატარა, მაგრამ, შესაძლოა, დიდი შედეგების მქონე უსიამოვნების ანალიზს, რომელიც ვატიკანსა და ისლამის სამყაროს შორის დაიწყო ა.წ. 17 სექტემბერს. თავის ლექციაში რეგენსბურგის უნივერსიტეტში პაპმა (იგი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, გერმანელია და ყოფილი პროფესორია) ახსენა ბიზანტიის ერთ-ერთი უკანასკნელი იმპერატორი, მონოელ პალეოლოგი (1391-1425), რომელმაც, თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებამდე (1453) 30-იოდე წლით ადრე თქვა: „აბა, მიჩვენეთ, მოჰამედს რა მოუტანია ახალი, რაც არ ყოფილიყოს ბოროტი და არაადამიანური, როგორიცაა, მაგალითად, მისი ბრძანება, რომ მის მიერ ნაქადაგები სარწმუნოება ხმლით იქნას გავრცელებული“. პაპის მიერ ამ სიტყვების ციტაცია მუსულმანურმა სამყარომ აღიქვა როგორც შეურაცხყოფა და ამით დღის წესრიგში დადგა საშიშროება ისეთივე მღელვარე რეაგირებისა, როგორიც გამოიწვია (ჯამურად — 100 კაცის მსხვერპლით) დანიურ გაზეთში მოჰამედის შეურაცხყოფამ არცთუ დიდი ხნის წინ. ამჯერად მოკლეს ერთი იტალიელი მონაზონი სომალიში (ის, რომ მკვლელობის მიზეზი პაპის სიტყვები იყო, უეჭველი არ არის). ფუნდამენტალისტი ფანატიკოსები ალაპარაკდნენ რომის აღებისა და ქრისტიანების დახოცვის აუცილებლობაზე. შეშფოთება გამოთქვეს მთავრობათა წარმომადგენლებმაც, მათ შორის ისეთი ზომიერებისამაც, როგორნიც არიან თურქეთი, მაროკო და მალაიზია. პაპი იძულებული გახდა ბოდიში მოეხადა — ერთხელ განცხადების სახით, ორჯერ — პირადად. სინამდვილეში პაპის ლექცია რეგენსბურგში ეხებოდა მის საყვარელ თემას — მიმართებას სარწმუნოებასა და გონებას შორის — და მისი ძირითადი თეზისის დასაბუთებას, რომ რელიგიისა და გონების ერთობა, რაც აუცილებელია და მიღწევადია, აუცილებლობით გულისხმობს ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას რელიგიასა და ძალადობას შორის.



ევროკომისიის სპოკსმენმა გამოთქვა, ჟურნალის სიტყვით, „ცხადი ჭეშმარიტება, — რომ პაპი ბენედიქტე თავისუფალია თქვას, რაც უნდა“, მაგრამ, ჟურნალისავე აზრით, თავისუფლება ერთია და მიზანშეწონილება მეორე. მუსულმანების მასას ძნელად თუ დააჯერებთ იმაში, რომ განზრახული არაა ახალი ჯვაროსნული ომი მათ წინააღმდეგ (ეს აზრი ბინ ლადენს ეკუთვნის). ამიტომ მუსულმანთა დაშოშმინების ამოცანა, მას შემდეგ, რაც პაპის ბოდიშმა ვნებები შეანელა, დღეს მაინც დგას. დღევანდელი პაპის წინამორბედი, იოანე-პავლე II ხვდებოდა, რომ ის, რაც მუსლიმანებს დასავლეთისა ყველაზე მეტად სძულთ, ქრისტიანული სარწმუნოება კი არ არის, არამედ ყოველისწამლეკავი (rampant) სეკულარიზაცია ანუ ურელიგიო ცხოვრება. „ჯვაროსნული ომის“ ბინ ლადენისეული ჰიპოთეზის ეფექტი გაძლიერა ჯორჯ ბუშმა, როცა სხვა კონტექსტებში თვითონაც იხმარა ეს გამოთქმა. რამდენადაც იოანე-პავლე II მრავალჯერ ღიად იყო გამოსული ავღანეთის ომისა და ერაყის ომის წინააღმდეგ, მუსულმანები მშვიდად იყვნენ, რომ, ვიდრე იგი ცოცხალია, ჯვაროსნული ომი არ მოხდება. მაგრამ რა დაიმედებდათ მათ ახლა, როცა პაპი (როგორც მათ ჰგონიათ) ისლამს უტევს? განსხვავება „ისლამის მიმართ ძალის გამოყენების“ პოზიციასა (რასაც პაპს მიაწერენ) და „არცერთი რელიგიის მხრიდან, მათ შორის ისლამის მხრიდან ძალის არგამოყენების პოზიციას“ შორის (რომელსაც პაპი მართლაც ადგას), ჟურნალის აზრით, ძნელად მოსახელთებელია ნაკლები განათლების ადამიანისთვის. ამიტომ საქრისტიანოს, შექმნილ ვითარებაში, დიდი სიფრთხილით და მოთმინებით წარმოებული ახსნა-განმარტება ჰმართებს, მით უმეტეს, რომ პაპის რეალური პოლიტიკა შეიცავს მომენტებს, რომლებიც არაბრძნულად განწყობილი ფანატიკური მასისათვის შეიძლება გამაღიზიანებელი იყოს.

ჟურნალი ასახელებს რამდენსამე ასეთ მომენტს. ერთი ისაა, რომ ევროპული იდენტობა (ქართულად უნდა ითქვას: ევროპული ვინაობა, ევროპის მიერ საკუთარი ვინაობისა და რაობის განსაზღვრა. რედ.) არის ქრისტიანული. ამ მოტივაციით პაპი ბენედიქტე კარდინალად ყოფნის დროს წინააღმდეგი იყო თურქეთის მიღებისა ევროკავშირში. მეორეც, პაპი საყდარზე (ტახტზე) ასვლისთანავე იმ პოზიციაზე დგას, რომ არ არის მიზანშეწონილი უპირობო დიალოგი ისლამთან, რაც დასაშვებად მიაჩნდა მის წინამორბედს. ამ პოზიციას პაპი ადგას მიუხედავად იმისა, რომ ისლამთან ურთიერთობა და ამ ურთიერთობის რაგვარობა მისი სამოქმედო პროგრამის ერთი არსებითი ელემენტია და მისი ერთერთი ძირითადი პრობლემაა (ამიტომაც მას დაგეგმილი აქვს ვიზიტი თურქეთში ამა წლის ნოემბერში). პაპი მიისწრაფის, რომ დიალოგს ისლამთან საგნობრივი, კონკრეტული სახე მისცეს, იგი „ხორცით შეავსოს“. ამას იგი გამოხატავს სიტყვებით, რომ დიალოგი უნდა იყოს „გულითადი და გულახდილი“. ეს „ხორცი“ დიალოგისა შედგება ორი კონკრეტული პუნქტისაგან. პირველი: ქრისტიანებს მრავალ ისლამურ ქვეყანაში არ აქვთ ის რელიგიური თავისუფლება, რომელიც მუსულმანებს აქვთ ქრისტიანულ ქვეყნებში. მეორე: მეტისმეტად ბევრნი არიან მუსულმანური სამღვდელო პირები, რომლებიც ქრისტიანთა წინააღმდეგ ძალადობას ქადაგებენ.

იმიგრანტები — უუბედურესნი ადამიანთა შორის

ქალაქი ბრესჩია

როგორც ვიგებთ ჟურნალიდან The Economist, ამ ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ჩაიძირა ზღვაზე ცურვისათვის შეუფერებელი ხომალდი, რომელსაც ლიბიის გზით მომავალი არალეგალური იმიგრანტები მოჰყავდა. ეს ამბავი შემთხვევით გახმაურდა (მეტ-ნაკლებად). ჩვეულებრივ, ასეთი ხდომილებების მიჩუმათების ტენდენცია არსებობს.

იტალიაში იმიგრანტთა პრობლემა ისე ფართოდ გახმაურებული არაა, როგორც საფრანგეთში და გერმანიაში, მაგრამ იგი არსებობს და კარგა მწვავეცაა. ბერლუსკონიმ, რომელიც ახლა უკვე ოპოზიციაშია, თავის ცენტრისტ-მემარჯვენე აუდიტორიას უზიარებს თავის პოზიციას, რომ მას სწამს „კათოლიკური იტალია, რომელიც იტალიელებისთვისაა“. მის მოწინააღმდეგეს რომანო პროდის, პირიქით, უნდა „მრავალეთნიკური იტალია“.

ჟურნალის სიტყვით, იტალია მრავალეთნიკური უკვე არის, რამდენადაც მისი მოსახლეობის 6,5%-ს კანონიერი და უკანონო იმიგრანტები შეადგენენ.

ჟურნალის სიტყვით, „რასისა და იდენტობის“ (ანუ ეროვნებისა და ეროვნული ვინაობის) როლის საკითხი ძალიან მწვავე იქნება შემოდგომაზე არჩენების დროს. ბერლუსკონის 2002 წელს გატარებული აქვს კანონი, რომლის ძალითაც იმიგრანტებს მოქალაქეობის ძიების უფლება ეძლევათ იტალიაში ცხოვრების 10 წლის თავზე; დღევანდელ მთავრობას კი განზრახული აქვს ამ ვადის განახევრება.

იტალიელთა არცთუ სახელგანთქმული ტოლერანტობის ზომას შემცირება ემუქრება გახმაურებული მკვლელობების გამო (ორ კვირაში შვიდი მკვლელობა ქალაქ ბრესჩიაში, სადაც ყველაზე მაღალი ემიგრანტული პროცენტია მოსხლეობაში — 13%). ერთი მსხვერპლია ახალგაზრდა პაკისტანელი გოგონა, რომელიც ნათესაობამ მოკლა, რადგან ჯინსებს იცვამდა და იტალიელი საყვარელი ჰყავდა. იტალიელთა აღშფოთება ვერ გაანელა იმან, რომ ადგილობრივმა მუსლიმურმა საზოგადოებამ ეს დანაშაული დაგმო. სამი სულის მკვლელობა ჰბრალდება აღმოსავლეთ ევროპელი ემიგრანტების კრიმინალურ ჯგუფსაც. ასე რომ შესაძლებელია, იტალიის მოქალაქეობის უფლების მოსაპოვებლად ცხოვრების სტაჟმა აღარ იკმაროს.

უკუპროცესი ყოფილ იუგოსლავიაში

იუგოსლავიაში, სადაც ერთი ენაა და სამი (ორი ქრისტიანული — მართლმადიდებლობა და კათოლიკობა — და ერთი მუსლიმანური) აღმსარებლობაა, უწყალო ისტორიულმა პროცესებმა დიდი ურთიერთწიმულვილი შექმნა. დღეს, როცა სახელმწიფო დაიშალა, The Economist-ის ცნობით, გაცოცხლდა ან ცოცხლდება ურთიერთკავშირებიც და ურთიერთსწრაფვაც. ყიდულობენ და კითხულობენ ერთმანეთის წიგნებს, თავის საერთო ენას (რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციაში „სერბულ-ხორვატული“ ჰქვია) უწოდებენ „ნაშ ეზიკ“-ს — „ჩვენს ენას“. ერთმანეთში ვაჭრობენ და ეკონომიკაში ერთიმეორის პროფილებს ავსებენ, როგორც ადრე იყვნენ ერთმანეთის შემავსებელნი, და ცოტა-ცოტა იცნობიერებენ კიდეც თავის ტრაგედიას, როგორც ეს ხდება, მაგალითად, სერბულ-ხორვატულ ფილმში „ვუკოვარ — საბოლოო გაკვეთა“. ჟურნალი ამ პროცესს ხსნის ვაჭრობისა და სხვა პრაქტიკული ამოცანების ძალით. მცირე ხალხებს, რომელთაც ისტორიული ტრაგედიის მეტი გამოცდილება აქვთ, მათ შორის — სერბებს, ხორვატებს, ბოსნიელებსა და მონტენეგროელებსაც — ამისთვის, უთუოდ, უფრო ღრმა და მრავალმხრივი ახსნაც მოეძებნებათ.

რა აინტერესებს დასავლელ ონკოლოგებს ჩინეთში?

გარდა ზოგადადამიანური თანაგრძნობისა და დახმარების სურვილისა, დასავლელ მედიკოსებს, რომლებიც აქტიურად ეხმარებიან ჩინელებს მათი დიდი ანტიკანცერული (კიბოს საწინააღმდეგო) პროგრამის განხორციელებაში, დასავლელებს აქეთკენ უბიძგებს ამ საკითხებზე ჩაფიქრებულ მრავალ ახალ ტვინთა სიმრავლე და პაციენტთა სიმრავლე, რამდენადაც ჩინეთში ამ დაავადების მატარებელთა რიცხვი ძალიან სწრაფად იზრდება.

სურათზე: ერთ-ერთი ოპტიმისტი პაციენტი ქალი ჩინეთის კლინიკაში (Business Week. გვ. 38)

რუსეთს ნავთობისა და გაზის პარტნერებთან ძალადობა ჰბრალდება

კუნძულ სახალინზე უზარმაზარი ენერგეტიკული პროექტები ხორციელდება. ზოგი მათგანი მსოფლიოს უდიდესთა რიცხვს ეკუთვნის. უცხოური ინვესტიცია მათში ძალიან დიდია. სათანადო ხელშეკრულებები ეკუთვნის იმ დროს, როცა ნავთობი ბევრად იაფი იყო და რუსეთის ეკონომიკური პოზიცია — ბევრად სუსტი. დღეს, The Economist-ის სიტყვით, ახალი ვითარებებიდან გამომდინარე, რუსეთი მონდომებულია ეს ხელშეკრულებები გადასინჯოს, რისთვისაც იგი იმოწმებს იმ ფაქტს, რომ ნავთობის ფასების ზრდამ სხვა ქვეყნებს შორისაც არსებული ხელშეკრულებების გადახედვა გამოიწვია. ჟურნალი ფიქრობს, რომ ეს მომიზეზება საფუძვლიანი არ არის, მით უმეტეს უსაფუძვლოა რუსეთის მცდელობა, რომ როგორმე შეიჭრას გაზის გამათხევადებელი გიგანტური საწარმოს მშენებლობის საქმეში იმავე რეგიონში — ერთადერთ ამ მასშტაბის ენერგეტიკულ პროექტში, რომელშიც დღესდღეობით მხოლოდ უცხოური კაპიტალია დაბანდებული, მაგრამ არა რუსული. ამ საწარმოს მშენებელ ფირმებს, ჟურნალის აზრით, ხელოვნურად უქმნიან ეკოლოგიური პრეტენზიების ატმოსფეროს, რათა ისინი დათმობაზე წაიყვანონ. რუსეთის ამ კურსის ჯამური შეფასება ჟურნალის მიერ ისაა, რომ რუსეთმა ამ საქმეში პარტნერის დაშინების გზა აირჩია და არა მოლაპარაკებებისა.

ჟურნალი ფიქრობს, რომ რუსეთს დაფიქრება ჰმართებს. უცხოური დაბანდება მისთვის აუცილებელია თვით ენერგეტიკულ წარმოებაშიც კი, სადაც მას, ბუნებრივი რესურსების წყალობით, უძლიერესი პოზიციები აქვს, მით უმეტეს — ეკონომიკის სხვა უმნიშვნელოვანეს დარგებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ეკლესიური ცხოვრებიდან

ჟურნალი the Economist, რომელიც იხილავს ყველაფერს მნიშვნელოვანს თანამედროვე ადამიანისთვის და თანამედროვე მსოფლიოსთვის, რა თქმა უნდა, რელიგიის თემას გვერდს ვერ აუქცევს. იგი გვატყობინებს, მაგალითად, რომ 1919 წელს იმდროინდელ „თანამედროვე ქალაქელს", წმ. პავლეს საყდრის წინამძღვრის სიტყვით, „არც ღმერთი ჰყავდა და არც ეშმაკი", რის გამოც ეკლესიური ცხოვრება ძირითადად სოფელ ადგილებში იყო გადანაცვლებული. დღეს, პირიქით, იგი ძირითადად დედაქალაქშია თავმოყრილი. ბუნებრივია, რომ ჟურნალი ყურადღებას უთმობს რელიგიისადმი დამოკიდებულების შინაარსობრივ მხარესაც საზოგადოებაში. აზრთა დღევანდელი მიმართულების ერთერთ უკიდურეს, სახელდობრ, ათეისტურ ვარიანტად იგი ასახელებს ბიოლოგის რიჩარდ დოუკინსის წიგნს „ღმერთთან დაკავშირებული გაწბილება", რომელიც, ჟურნალის აზრით, საინტერესოა რელიგიურ რწმენასთან სამივე ამ ლოგიკურად შესაძლებელი დამოკიდებულების მქონე ადამიანისთვის. ათეისტებს მოეწონებათ მისი შემტევი ლოგიკა და მწვავე სიმახვილე, მორწმუნეები იშვიათად თუ იპოვიან სხვა ესოდენ მძაფრ ტესტს მათი რწმენის სიძლიერის გამოსაცდელად, ხოლო აგნოსტიკოსები, ანუ ისინი, ვინც ამბობენ, რომ არა აქვთ აზრი იმის შესახებ, ღმერთი არსებობს თუ არა, დარწმუნდებიან, რომ მათი პოზიციის არგუმენტირებული დაცვა შეუძლებელია. ის, თუ როგორ ახასიათებს ავტორი ძველი აღთქმის ღმერთს, მეტყველებს მისი წიგნის ზოგად ტონალობაზე („ქალთმოძულე", „კაცთმოძულე", „რასისტი" და ა.შ.). ის, რომ იგი 11 სექტემბრის ტერაქტს, რომელიც რელიგიური მოტივაციის მონაწილეობით იქნა ჩადენილი, აზოგადებს, მისი არგუმენტაციის ყველაზე სუსტ მხარეზე მიუთითებს. მაგრამ ამ არგუმენტაციას აქვს სხვა, უფრო სერიოზული მხარეებიც: ზომიერი, ჩვეულებრივი მორწმუნეები, ავტორის აზრით, გზას უკაფავენ ფუნდამენტალისტებს იმით, რომ რწმენას ადამიანს ქველობად უთვლიან (ანუ დამსახურებად) და არა ბედნიერებად. მისი არგუმენტაციის კიდევ ერთი ხაზია ის, რომ — რაკიღა ადამიანმა საუკუნეთა და ათასწლეულთა მანძილზე ხელი არ აიღო რელიგიაზე და ღვთისმსახურებისთვის უზარმაზარი ენერგიის ხარჯვაზე და, მაშასადამე, რელიგია მისთვის მნიშვნელოვანი ყოფილა, — იგი ცდილობს ახსნას, სახელდობრ, რას იძლევა რელიგია ისეთს, რასაც ადამიანი ეძებს. ამ კითხვის პასუხია: რელიგია ადამიანს ოთხ რამეს აძლევს: ახსნას, შეგონებას, ნუგეშს და შთაგონებას (აღმაფრენას, ინსპირაციას). ახსნა ყველაფრისა, რაც ადამიანს აინტერესებს, ავტორის აზრით, რელიგიას არ ძალუძს. რაც შეეხება შეგონებას, პრაქტიკულად — მორალს, რელიგია, ავტორის სიტყვით, ვერ არის მორალისთვის ლეგიტიმური წყარო. მაშ საიდან მოდის მორალი? მისი წარმომავლობა და წყარო ადამიანის სულში, ავტორის სიტყვით, ნათელი არ არის (რაც სავსებით მართალია. ეს ფილოსოფიური აზრის დღესაც ერთერთი ყველაზე ღრმა და მწვავე თემაა). მაგრამ იგი მაინც ვარაუდობს, რომ მორალის წყაროა, ერთის მხრივ, თანდაყოლილი ინსტინქტი, რომელიც გვიკარნახებს, რომ ერთმანეთისთვის კარგის ქმნა ჯობს ავის ქმნას, და მეორეს მხრივ „დროის კულტურული სული", რაც, რა თქმა უნდა, არადამაკმაყოფილებელი ახსნაა. (ჟურნალი, ეტყობა, ამას თავისთავად ცხად რადმე გულისხმობს). რაც შეეხება ნუგეშს და შთაგონებას, ამ ფუნქციაში, ავტორის აზრით, რელიგიას წარმატებით ჩაანაცვლებს ბუნების სამყაროს ჭვრეტა, რის ყველაზე შთამბეჭდავ მაგალითადაც მას თანამედროვე ფიზიკა მოჰყავს. ჟურნალის ირონიული შენიშვნა ამ, მისი სიტყვით, ყველაზე სუსტ რგოლზე ავტორის არგუმენტაციაში იმაში მდგომარეობს, რომ „ისინი, ვინც ქვანტურ ფიზიკაში მეტ ნუგეშს ჰპოვებენ, ვიდრე რწმენაში, რომ იმ ქვეყნად თავის ძვირფას მიცვალებულებს შეჰხვდებიან, ალბათ, ადამიანთა შორის უმცირესობა არიან". ავტორის კრიტიკული შენიშვნა არსებული რელიგიური პრაქტიკის მიმართ ისიც არის, რომ, მისი აზრით, ბავშვების რელიგიური აღზრდა მშობლების მიერ „ინდოქტრინაციის", ანუ საკუთარი აზრის თავს მოხვევის იერს ატარებს (როცა ამბობენ, ეს კათოლიკე ბავშვია, ეს კი მუსლიმანი ბავშვია, რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ერთმა იცის, რა არის ტრანსუბსტანციაცია, მეორემ კი იცის, რა არის ჯიჰადი?).

ავტორს მიაჩნია, რომ ათეისტთა ერთგვარად „სტიგმატიზირებული" ანუ უარყოფითი დამღით აღბეჭილი მდგომარეობა დღევანდელ მსოფლიოში მოგვაგონებს ჰომოსექსუალისტებისას ამ 50 წლის წინ. მას საჭიროდ მიაჩნია ათეისტების „ენერგიზაცია" ანუ მათი გააქტიურება თანასწორი და აღიარებული სტატუსის მისაღებად (რა თქმა უნდა, იგულისხმება ვითარების არაოფიციალური მხარე).

ამ ანტირელიგიურ ლიტერატურაში თავისი სიმახვილითა და სიმკვეთრით გამორჩეული, ამასთან — მეცნიერული დონისა და პრესტიჟის მქონე ავტორის მიერ დაწერილი წიგნის განხილვა ჟურნალის მიერ, როგორც ჩანს, ერთერთ მიზნად ისახავს იმის ილუსტრაციას, თუ როგორია (რამდენად შორსაა ღრმა მეცნიერული ანალიზისა და შთაჭვრეტისაგან) ამ მიმართულების ლიტერატურის დღევანდელი დონე. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამ პოლემიკაში ყურადღების გარეთაა დარჩენილი რელიგიისადმი პიროვნების მიზიდულობის ისეთი ფუნდამენტური და საყოველთაოდ ცნობილი მოტივები, როგორიცაა, ვთქვათ, მოთხოვნილება, რომ სამყაროს კეთილი (სახიერი) ძალა მართავდეს (და არა გულგრილი), და პიროვნების მოთხოვნილება, რომ მის საკუთარ სულისძვრებსა და ქმედებებს გულთამხილავი დამნახავი და განმსჯელი ჰყავდეს, ხოლო თვით მას — მუდმივი ყოვლის გამგები პარტნერი მის დიალოგში მისი ცხოვრების ყველაზე ღრმა პრობლემებზე, მიუთითებს ამ მიდგომის ზერელეობაზე კაცობრიობის მიერ ამ პრობლემის ხედვაში უკვე მიღწეულ სიღრმესთან შედარებით.

რაც შეეხება ინგლისის რელიგიური ცხოვრების განუხრელად მზარდ კონცენტრაციას დედაქალაქში, ჟურნალი ამის ორ მთავარ მიზეზს ასახელებს: დემოგრაფიულსა და სოციალურს. პირველი ისაა, რომ ქალაქში თავმოყრილია აუარებელი არათერი მორწმუნე იმიგრანტი და უამრავი თეთრი ემიგრანტი გაერთიანებული სამეფოს სხვა ნაწილებიდან. მეორე კი ისაა, რომ ლონდონში თითქმის აღარაა ინგლისის საზოგადოების რელიგიურად ყველაზე გულგრილი ნაწილი — თეთრკანიანი მუშა კლასი.

თაგვი, რომელმაც ლომებრ დაიღრიალა

ამ ირონიული სათაურით და ქვესათაურად მიცემული განმარტებით „საქართველომ უჩქმიტა თავის ჩრდილოელ მეზობელს და პასუხად სილა მიიღო" ჟ. The Economist აქვეყნებს ამ ორი სახელმწიფოს ბოლოდროინდელ ურთიერთობათა ამგვარ სურათსა და ახსნას.

„ჯაშუშობასთან დაკავშირებული სკანდალები, ჩვეულებრივ, ჯენტლმენურად (ანუ შინაურულად) მოსაგვერებელ საქმეებად ითვლება და ეჭვმიტანილთა უხმაურო გაძევებით მთავრდება ხოლმე. მაგრამ რუსეთ-საქართველოს ბოლოდროინდელმა წაჩხუბებამ ღიად იფეთქა. იგი დაიწყო, როცა საქართველომ დააპატიმრა ოთხი რუსი ოფიცერი იმ ბრალდებით, რომ ისინი ეკუთვნოდნენ სამხედრო დაზვერვის ერთეულს და ეწეოდნენ ქართველების გადაბირებას საჯაშუშოდ. პუტინმა, თვითონ ყოფილმა „კაგებეს" ოფიცერმა დაგმო ეს, როგორც „სახელმწიფო ტერორიზმის აქტი, რომელიც მოიცავს მძევალთა აყვანას", და ახსენა „დაშანტაჟება". მან საქართველოს ისიც კი დასდო ბრალად, რომ იგი ეჯიბრება ბერიას, სტალინის საიდუმლო პოლიციის შეფს (და მკითხველს უმარტავს, რომ ორივენი ქართველები იყვნენ).

„რუსეთმა გაამკაცრა საქართველოსთან მაკავშირებელი ყველა საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო გზების კონტროლი და აპირებს საფოსტო მომსახურებისა და ფულის ტრანსფერების შეწყვეტას. ყველა ამ აქტს იგი წარმოგვიდგენს, როგორც ბიუროკრატიულ პასუხებს საქართველოს ცუდ მოქცევაზე — გადახდათა დაგვიანებაზე, არაუსაფრთხო პრაქტიკაზე და ა.შ. მაგრამ ბლოკადა, რომელიც ხორციელდება საქართველოს მიერ დაპატიმრებულ „ჯაშუშთა" განთავისუფლების შემდეგ და ქართული მინერალური წყლისა და ღვინისათვის აკრძალვების შემოღების შემდეგ მათი თითქოსდა უსუფთაობის გამო, გამოიყურება როგორც ეკონომიკური ომი. ახლა საქართველომ შესძლოა („საქართველოს უფლება აქვს. Georgia may) დაბლოკოს რუსეთის შესვლა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში.

„ქართველები გაღიზიანებულნი არიან რუსეთის გაფართოებულ ჩარევაზე, განსაკუთრებით — მის მიერ სეპარატისტების მხარდაჭერაზე ანკლავებში — აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა თქვა, ჩვენი მესეჯი ჩვენი დიდი მეზობლისადმი რუსეთისადმი არისო „კმარა! ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ისე მოგვეპყრონ, როგორც ახალი სახის იმპერიის მეორეხარისხოვან უკანა ეზოსო".

„რუსებს, თავის მხრივ, ეჭვი აქვთ, რომ მთელი ეს ამბავი დადგმულია იმ მიზნით, რომ გაადვილდეს საქართველოს შესვლა ნატოში. „ისინი ნამდვილად ცდილობენ რუსეთს იქ დაჭირონ, სადაც ყველაზე უფრო მტკივნეულია, რათა ჩვენი პროვოცირება მოახდინონ", — თქვა პუტინმა და გაურკვევლად ახსენა საქართველოს „უცხოელი სპონსორები". ლავროვმა რუსი ოფიცრების დაპატიმრებები პირდაპირ დაუკავშირა ნატოს თანხმობას, რომ დაიწყოს „ინტენსიური დიალოგი" საქართველოს შესვლაზე ნატოში. სამხედრო მინისტრმა ივანოვმაც ბრალი დასდო, მათი ვინაობის დაუკონკრეტებლად, ნატოს ქვეყნებს, რომ საქართველოს უკანონოდ იარაღს აწვდიან.

„სააკაშვილმა იცის, რომ მისი ქვეყანა ვერ შეუერთდება ნატოს და ვერ ექნება სრული დამოუკიდებლობის პრეტენზია, თუ არ მოაგვარებს თავის დაპირისპირებებს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. მაგრამ ეს შეუძლებელი იქნება მანამდე, სანამ რუსეთი ზურგს უმაგრებს სეპარატისტებს. შესაძლოა, მას იმის ცდუნებაც ჰქონდეს, რომ კიდევ უფრო გამოიწვიოს რუსეთი დასავლელთა მხარდაჭერის იმედით. რუსეთისადმი დაპირისპირებამ მის პარტიას პოპულარობა შეჰმატა ადგილობრივი არჩევნების წინ. მაგრამ მას სიფრთხილე ჰმართებს. სამხედრო დარტყმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე საქართველოსთვის დამანგრეველი იქნება, რადგან რუსეთმა პასპორტები გასცა ამ პროვინციების მაცხოვრებელთა დიდ ნაწილზე და იქადნება, რომ დაიცავს „თავის" მოქალაქეებს. შესაძლებელია, მოსკოვმა ფორმალურადაც ცნოს ამ ორი რეგიონის დამოუკიდებლობა, თუ დასავლეთის მთავრობები კოსოვოს სერბიისაგან დამოუკიდებლობას მისცემენ".

გარდა ამისა, ჟურნალის სიტყვით, სააკაშვილს აქვს უამრავი საშინაო პრობლემა, რომელთა დამძიმებაც რუსეთს შეუძლია თავისი ემბარგოთი. ჟურნალი ახსენებს „რუსეთის მიერ მხარდაჭერილი გაქცეული პოლიტიკოსის (იგულისხმება — ი. გიორგაძის) შეთქმულების ჩაშლას, რომელიც, საქართველოს ხელისუფლების სიტყვით, მან მოახდინა ცოტა ხნის წინ.

გაზეთ „საქართველოს" ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია	რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 ტელ: 93-15-89, 93-17-10	შპს გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 გაზეთის ინდექსი 66447	გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.